


NAEC.GE

გამოცდების ეროვნული ცენტრი



NAEC.GE დაარსებიდან დღემდე

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა - მთავარი მონაწილეობა!

გამოსაშვები გამოცდების ტესტების ნიმუში



2013

NAEC.GE

გამოცდების ეროვნული ცენტრი



2013

სარჩევი

რუბრიკა	გვერდი	სათაური
	3	წინასიტყვაობა
ისტორია	4	Naec.ge - დაარსებიდან დღემდე
	9	ისინი პირველები არიან
ლიტერატურული გვერდი	12	გამოცდაზე შეიძლება გაერთო
რეკომენდაცია	14	პროფესიული უნარების ტესტი - ტიპური შეცდომები და რეკომენდაციები
სიახლე	16	საერთო სამაგისტრო გამოცდა (სსგ) - 2013
	18	ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა - მთავარი მონაწილეობა!
	22	ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში გამარჯვებული ნაწარმოებები
ინტერვიუ	27	ინტერვიუ სტივენ ბაკერთან
	29	ორი მასწავლებლის ერთი დღე
ნომრის სტუმარი	32	მეცნიერებისა და განათლების გარეშე საქართველოს მომავალი არ აქვს
	34	მოგესალმებათ ქართული ანბანი
მეცნიერება	37	საქართველოში ჩატარებული პირველი ასტრობიოლოგიური კვლევების შესახებ
	40	ნინო ქუთათელაძე: „გამოცდების ეროვნული ცენტრი მსოფლიო ბანკის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად არის აღიარებული“
საერთაშორისო	41	„ფლექსი“ - ჩემი ამერიკული ოჯახი
	44	უცხოელებისთვის გაზიარებული გამოცდილება
	46	ნომრის კონკურსში გამარჯვებული სტატია
ტესტი	48	ფიზიკის, ბიოლოგიის, ქიმიისა და გეოგრაფიის ტესტური დავალებების ნიმუშები 2013-2014 წლის გამოსაშვები გამოცდებისათვის



წინასიტყვაობა

ყველა საქმე სიტყვით იწყება და შედეგით ფასდება. ჩვენს საქმესაც საუბრები უძღოდა წინ. ამ საუბრებს შედეგად მოჰყვა ბევრი შეხვედრა, მოსაზრება, წინადადება, სიტყვა — ნათქვამი, მოსმენილი და გაზიარებული...

ჩვენი ყოველდღიური თუ ყოველწლიური საქმიანობისას ვცდილობთ, ვაკეთოთ საქმე, რომელიც გვევალება და არ დაგვკარგოთ მთავარი, რაც აუცილებელია ნებისმიერი წამოწყების წარმატებისთვის - დროსთან კავშირი...

ამიტომ მიგვაჩნია, რომ ყველაზე რთულ და დამაბულ დღეებშიც უნდა ვიყოთ იქ, სადაც ეს კავშირი ყველაზე მძაფრად იგრძნობა — თქვენ წინაშე. ჩვენი საქმიანობის ისტორია იმ შეხვედრების ერთგვარი ქრონოლოგიაცაა, რომელიც თქვენთან — პედაგოგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან გაუმართეთ და შედეგად ჩვენთვის ძალიან ფასეული, რეალური ორიენტირი მივიღეთ. ეს გამოცემაც ამ გეზის გაგრძელებაა, მცდელობა და სურვილი, მეტი გითხრათ და მეტი გაგიზიაროთ... ინტერნეტკომუნიკაციებისა და სოციალური ქსელების ძალიან დინამიკურ ეპოქაში საჭიროდ ჩავთვალეთ, ნაბეჭდი სიტყვაც მოგვეწვდინა თქვენამდე...

გამოცდების ეროვნული ცენტრის გამოცემა, რომლის პირველ ნომერსაც ახლა კითხულობთ, ჩვენი ვებგვერდის მისამართით დავასათაურეთ. ეს სახელწოდება ე.წ. „ონლაინსამყაროსათვის“ გადახდილი ხარკი არ არის, მით უმეტეს, არ გახლავთ ქართული დასახელებების უარყოფა, მხოლოდ იმ მისამართის შეხსენების მცდელობაა, რომელიც სულ უფრო მეტ სტუდენტს, მოსწავლესა და პედაგოგს ემსახურება...

ამ გამოცემით, რომელიც ერთგვარი ექსპერიმენტია, გვინდოდა მკითხველისთვის შემდეგისდაგვარად საინტერესო თემები და საკითხები შეგვეთავაზებინა. გვესმის, რომ ასეთ დროს საუკეთესო გზა თქვენგან მიღებული გამოხმაურებებისა თუ სურვილების გათვალისწინებაა. სწორედ ასე ვაპირებთ შემდეგი ნომრის მომზადებას, რადგან მივიჩნევთ, რომ ნებისმიერი გამოცემის წარმატებისთვის აუცილებელია, არ დაგვკარგოთ მთავარი — თქვენთან კავშირი...

P.S. სტატიების ნაწილი, ისევე როგორც წინასიტყვაობა, გასული წლის მაისის თვეში მომზადდა. ჟურნალი აღარ გამოიცა. 2012 წლის ბოლოს, როდესაც გამოცემაზე ფიქრი განვაახლეთ, გადავწყვიტეთ, მომზადებული მასალების ნაწილი არ შეგვეცვალა. არც წინასიტყვაობაში შემიცვლია რამე...

მაია მიმინოშვილი

NAEC.GE — დაარსებიდან დღემდე

გამოცდების ეროვნულ ცენტრს ფართო საზოგადოება უფრო 2005 წლიდან იცნობს, ანუ მას შემდეგ, რაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩატარდა, თუმცა ცენტრი გაცილებით ადრე შეიქმნა მსოფლიო ბანკის დახმარებით. მცირე ჯგუფმა მუშაობა 1999 წლიდან დაიწყო. მსოფლიო ბანკი ევროპულ და ამერიკის საგანმანათლებლო სისტემებს აცნობდა ცენტრის თანამშრომლებს და ტრენინგებს უტარებდა.

პირველ აქტივობებს კი სკოლებში გამოცდები წარმოადგენდა. 2002 წელს მე-9 კლასის გამოცდები მოამზადეს, ფართომასშტაბიანი ტესტირების ადმინისტრირება შეძლეს. ისინი ერთიანი ეროვნულ გამოცდებს მოუმზადებლები არ შეხვედრიან. მე-9 კლასის გამოცდები ორი წლის მანძილზე მიმდინარეობდა წარმატებით და, როგორც ცენტრში ამბობენ, 2005 წლამდე ჩატარებული მუშაობა ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველი იყო.

გადარჩენის წელი



ეროვნულ გამოცდებზე მუშაობა 2004 წელს დაიწყო. მცირე დროის გამო ერთდროულად მიმდინარეობდა ლოჯისტიკური მოდელისა და ჩასარიცხი ალგორითმის შექმნა. პირველ ეტაპზე ყველა საგნობრივი ჯგუფის საკონსულტაციო საბჭოები შექმნეს, პროექტი უნივერსიტეტებს გაუგზავნეს, საზოგადოების დასაშოშმინებლად კი ვიდეოთვალს მიაგნეს.

ჩარიცხვის პროგრამა ცენტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფის ხელმძღვანელმა დათო ჭანკოტაძემ შექმნა. მისი თქმით, ნებისმიერ პროგრამას სჭირდება წინასწარი გამოცდა, მათ კი ამის დრო არ ჰქონდათ და იძულებული იყვნენ მცირე აპრობაციებით შეექმნათ წარმოდგენა - რასთან ექნებოდათ საქმე. ყველაზე დიდი აპრობაცია ბათუმში ჩატარდა, რამაც იმედი მისცა, რომ შესაძლებელი იყო დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღწევა. ცენტრში ამ წელს გადარჩენის წელს ეძახდნენ.

პარალელურად ტესტების მომზადების, დიზაინის, აპრობაციის კუთხით მუშაობდნენ. რაიონული ცენტრების შესაქმნელად კრიტერიუმი შემოიღეს — სადაც დამამთავრებელი კლასის 1 000-ზე მეტი მოსწავლე იქნებოდა, იმ რაიონში ჩატარებდნენ გამოცდას. შედეგად, სკოლებს ბავშვები სხვა სოფლებიდან და ქალაქებიდან ჩამოჰყავდათ, რომ 1000-მდე შეეკმარათ. საბოლოოდ 12 საგანმანათლებლო ცენტრი შექმნეს, რომელთა შენობების შერჩევასაც რამდენიმე თვე მოანდომეს. დამკვირვებლების კანდიდატურები კი მინისტრმა მიაწოდა, უარი ვერ უთხრეს. ვინაიდან ცენტრი აკეთებდა საქმეს, მეორე ადმინისტრატორი თავად აიყვანეს.

ტესტების კონფიდენციალურობის საკითხიც მოსაგვარებელი იყო. თავიდან, მე-9 კლასში გამოცდების ჩატარებისას, ტესტებს თბილისის სტამბებში ბეჭდვდნენ, სადაც ასობით ადამიანი მუშაობს. “დაზგებში შესული საბეჭდი მასალა არაერთ საწარმოო პროცესს გადის, მანქანებს ხშირად აჩერებენ, რადგან მელანია ჩასასხმელი და სხვ.” ე. წ. “ზარაბანში” დარჩენილი ერთი გვერდიც კი საკმარისი იყო მის გასამრავლებლად, ვერ ვახერხებდით ამის კონტროლს. მეორე მომუშავე პერსონალს ვჩხრეკდით, ღამეს ვათენებდით, რომ არ მოეპარათ, ტესტებთან გვეძინა. ამიტომ გადავწყვიტეთ, ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტები დაგვებეჭდა უცხოეთში, ლონდონში შევარჩიეთ სტამბა, მეორე ტესტები მოდიოდა გემით ფოთში, ხვდებოდა პრესა, ტელევიზია, პოლიცია, კრიმინალური პოლიცია, დაზვერვის თანამშრომლები. ძალიან საინტერესო სანახავი იყო ეს კოლონა — წინ მიდიოდა ინსპექციის მანქანა, შემდეგ დაზვერვის, ამას მიჰყვებოდა დიდი ტრაილერი, კიდევ რამდენიმე მანქანა... სადაც 4 საათზე ჩადიოდა ბოლო წერტილში, თელავში, - გვიამბობს ცენტრის ლოჯისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მერაბ თოფურია, რომელსაც ერთხელ ფოთში ჩასული კონტინერის დაცვის სისტემა არ მოეწონა და მთელ ღამეს დარაჯობდა ტესტებს.

გამოცდები 1 ივლისს იწყებოდა. ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი იმდროინდელ განცდებსა და ემოციებს იხსენებს: “ყოველდღე ვითვლიდი — რამდენი დღის სიცოცხლე დამრჩა-მეთქი. 10 დღის... 9 დღის... გამოცდის პირველ დღეს შეგრძნება მქონდა, რომ მთელ ქვეყანას სუნთქვა ჰქონდა შეკრული და ჩვენ გვიყურებდა.”

საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ლოჯისტიკის კონსულტანტმა, ლიტველმა ალგიდას ზაბულიონისმა, რომელიც ანალოგიური ცენტრის დირექტორი იყო ლიტვაში, სამ დასკვნაში დაწერა, რომ ეროვნული გამოცდები შეიძლებოდა ვერ შემდგარიყო. 2005 წლის მაისში ბათუმში მთლიანი საგანმანათლებლო მოდელის პილოტირება ჩატარეს. მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ზაბულიონისმა მაშინ ირწმუნა, რომ პროექტი გამოვიდოდა.

„მას ამის შემდეგ სხვაგვარი განწყობა ჰქონდა. 2005 წლის ივლისში, პირველ გამოცდაზე, აგრარული უნივერსიტეტის წინ ვიდექით. დილის 8 საათია, კარგი ამინდი და ამ დროს თბილისის ზღვის მხრიდან მოფრინავს სამი თუ ოთხი სამხედრო ვერტმფრენი. ეს რა არისო, - იკითხა. ჩვენ გვიცავს-მეთქი, ვეხუმრე. სანამ ამას ვიტყვოდი,



ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი მერაბ თოფურია

დაცვის სხვა ღონისძიებებს აკვირდებოდა, ძალიან უკვირდა ამხელა მხარდაჭერა სახელმწიფოსაგან. მივხვდი, რომ ვერტმფრენებზე რაც ვუთხარი, დაიჯერა და ავუსხენი, რომ ეს მხოლოდ ხუმრობა იყო. — “რომ გეთქვა, მტკვარში წყალქვეშა ნავები ამოვლენ, ამასაც დავიჯერებდიო, მიპასუხა” - იხსენებს ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე სოსო გოგილიძე.

საგანმანათლებლო პროცესიდანაც ბევრი აქვთ მოსაგონარი, მაგალითად, ერთხელ ბათუმის საგანმანათლებლო ცენტრში აბიტურიენტი ნასვამი მივიდა და ჩაემინა. ადმინისტრატორმა მაია მიმინოშვილს დაურეკა, შავ დღეში ვართ, წესებში არ წერია, დამინების შემთხვევაში გამოცდიდან უნდა მოიხსნას თუ არა და როგორ მოვიქცეთო.

„გამოიბახეთ პატრული და თუ დადასტურდა, გაუშვით-მეთქი. პატრულმა აგვიხსნა, რომ ასეთ

დასკვნას მხოლოდ ნარკოლოგიური გასცემსო. გადავირიე, რომ არ დადასტურდეს, მერე აქ როგორ მოვაბრუნოთ-მეთქი. ბოლოს ადმინისტრატორს ვუთხარი, ეძინოს, დამთავრდება გამოცდა და გაუშვით-მეთქი. ხვრინავს და სხვებს აწუხებსო, მითხრა. ბოლოს სარეზერვო სექტორში გადავიყვანეთ, ეძინა 4 საათს და გამოცდის მერე გაუშვეს,“ - ამბობს ეროვნული ცენტრის დირექტორი.

მაია მიმინოშვილის კიდევ ერთი მოგონება მსჯავრდებულ აბიტურიენტს, უფრო სწორად, მის ბადრავს უკავშირდება. პატიმრებისათვის სპეციალური სარეზერვო სექტორი იხსნება ხოლმე. ასეთივე სექტორებს ინფექციური დაავადების მქონე აბიტურიენტებისათვისაც აწყობენ.

„ჩუტყვავილიანი აბიტურიენტი მოვიდა. სარეზერვო სექტორში დავსვით. იქვე, მეორე სარეზერვო სექტორში, მსჯავრდებული ზის. ვემბ მეთვალყურეს, რომელსაც მოხდილი აქვს ჩუტყვავილა. გავხედე მეორე სექტორში პატიმარს და ვკითხე, მოხდილი გაქვს-მეთქი? მიპასუხა, კიო. ბადრავი დაინტერესდა, რატომ ეკითხებითო. თქვენ მოხდილი გაქვთ-მეთქი? არაო, მიპასუხა. ავუსხენი, რატომაც ვეკითხებოდი. ამის თქმა იყო და ბადრავს თვალი ველარ მოვკარი. მეორე პირბადეები მივუტანე და ისხდნენ ასე პირბადეებით, სანამ აბიტურიენტი მუშაობდა.”

გამოცდების დასრულებისა და ნაშრომების გასწორების შემდეგ მძიმე ერთკვირიანი პერიოდი დაუდგათ. ჩარიცხვებისათვის პროგრამის მომზადება დაიწყო. „კომაროვში“ დაბანაკებული საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფი 24-საათიან რეჟიმში მუშაობდა. მაშინ პირველად უნდა გამოეყენებინათ ცენტრშივე შექმნილი პროგრამა. პატარა შეცდომასაც ყველაფრის თავდაყირა დაყენება შეეძლო. საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფის ხელმძღვანელი დათო ჭანკოტაძე ყველაზე მნიშვნელოვანს სწორედ პირველადი ჩარიცხვების დღეს უწოდებს.

„ეს პროგრამა შინაარსით ძალიან რთულია, რადგან განიხილება ბავშვის რამდენიმე არჩევანი. როცა ინფორმაცია გამოვაქვეყნეთ, პირველი საათები ემოციურად ძალიან მძიმე იყო — თუ სისტემა სწორად არ იმუშავებდა, უამრავი ადამიანი მოვიდოდა პრეტენზიით“, ამბობს დათო ჭანკოტაძე.

თუმცა ტექნიკური შეცდომა მაინც მოხდა. ჩარიცხვების პროცესი ღამის 3 საათზე დასრულდა. ერთ-ერთ გაზეთს სია გადავეცი დასაბეჭდად. 7 საათზე პროგრამაში შეცდომა აღმოაჩინეს. ოპერატორმა 68 და 38 ქულის ერთი და იგივე სკალირებული შედეგი გაუშვა, ანუ, ვინც 38 ქულა მიიღო, 68 ქულიანს გაუთანაბრდა. არასწორად ჩაირიცხა 365 ბავშვი. შეცდომა სასწრაფოდ გასწორდა, მაგრამ გაზეთი უკვე გავრცელებული იყო. გასწორებული მონაცემებით, 300-მდე აბიტურიენტს შეეცვალა ფაქულტეტი. ზოგიერთი საერთოდ ამოირიცხა. დაახლოებით 75, რომლებიც მანამდე ვერ მოხვდნენ სიაში, ჩაირიცხა.

„პირველი, რაც ვიფიქრე, ის იყო, რომ აუცილებლად ღიად და შეულამაზებლად უნდა გვეთქვა ყველაფერი საზოგადოებისათვის. ჩვენ სამართლიანობა აღვადგინეთ ამ ტექნიკური შეცდომის გასწორებით და ვფიქრობდი, რომ საზოგადოება ამას სწორად გაიგებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთიანი ეროვნულ გამოცდებს მოსახლეობის ნდობის მოპოვება გაუჭირდებოდა. კახა ლომაიას, რომელიც მაშინ დამეებს ათენებდა ჩვენთან ერთად, ჩემი აზრი ვუთხარი. ისიც იმასვე ფიქრობდა,“ - იხსენებს



გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი



მაია მიმინოშვილი. გადაწყვეტილება მიიღეს და იმ აბიტურიენტებს, რომლებიც სიიდან ამოირიცხნენ, სახლში მიაკითხეს. 3-კაციანი ჯგუფები შეიქმნა, მათგან ერთი ფსიქოლოგი და ერთი რაიონის იქაური წარმომადგენელი იყო. ლოჯისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ყაზბეგში, მთიულეების ოჯახში, მოუწია მისვლა.

„ცნობილი ოჯახია, წინასწარ გავაფრთხილეთ. რომ მივედით, სუფრა ჰქონდათ გაშლილი, - ჯერ მიირთვიეთ... ისედაც დამაბულები საბოლოოდ გავნადგურდით. ბოლოს როგორღაც ვუთხარით. „ბავშვი მისთვის საოცნებო უნივერსიტეტში ჩაირიცხა და ახლა მეუბნებით, რომ ვერსად ვერ მოხვდაო?“- გვითხრა მამამ. ავუხსენით ყველაფერი, ვაჩვენეთ ნაშრომი, მისი შვილისა და მის ნაცვლად ჩარიცხულის შეფასებები. საშინლად ნერვიულობდა. მაინც

გავვიგო. მეორადი ჩარიცხვები შევთავაზეთ, ახალი უნივერსიტეტები შეიქმნა მამინ, ერთ-ერთში ჩაირიცხა. დღეს წარმატებული ახალგაზრდაა“, ამბობს ქალბატონი მაია.

შემდეგ უკვე საქმე გრანტების განაწილებაზე მიდგა. ძალიან დიდი ყურადღება იყო საჭირო, შევცდომა რომ არ დაშვებულიყო. გამოქვეყნებიდან რამდენიმე საათში დარწმუნდნენ, რომ ყველაფერი წარმატებით დასრულდა.

„მე, როგორც ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტს, ერთიანი ეროვნული გამოცდების მთავარ მიღწევად მიმაჩნია აბიტურიენტებში ცოდნა-გაცნობიერებისა და ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავება. განსხვავებით „ტრადიციული“ მისაღები გამოცდებისგან, როდესაც აბიტურიენტი იძულებული იყო დაეხებინა სტანდარტული (ხშირად მავანთა მიერ დაწერილი) თემები. თანამედროვე საგამოცდო მოდელის მიხედვით, მას მოეთხოვება არა მხოლოდ სათანადოდ ჩასწვდეს მოცემული ტექსტის (თანაც არასაპროგრამოს) შინაარსს (ტექსტის ადეკვატურ გაგებას „ამოწმებს“ თანდართული კითხვები), არამედ სამი მითითების მიხედვით გააანალიზოს ის.“ - ამბობს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ირმა რატანი.

ყველაფერი კომპიუტერით

2007წელს აბიტურიენტთა განაცხადები და შეფასებები ინტერნეტში განთავსდა და საკუთარ ინამუშევრის ნახვა ყველასათვის შესაძლებელი გახდა. 2008 წელს საქართველოში პირველად შეიქმნა და დაინერგა ელექტრონული

გასწორების სისტემა. აპლიკანტების ნაშრომებს პირველ წლებში კალმით ასწორებდნენ. გამსწორებელი ნაშრომის ასლზე მუშაობდა. დროთა განმავლობაში მივიდნენ დასკვნამდე, რომ ელექტრონული ფორმით გასწორებინათ. „ეს საშუალებას გვაძლევს გამსწორებელმა ნაწერი გაასწოროს ინტერნეტში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან, დაცულობა მეტია. ამ შემთხვევაში ნაშრომი იშლება დავალებად და თითოეული გამსწორებელი მხოლოდ მისთვის განკუთვნილ დავალებებს ხედავს. ამ დავალების იდენტიფიცირება შეუძლებელია, ის მას ხედავს ეკრანზე შეზღუდული დროით — თითოეული დავალებისათვის განსაზღვრულია გასწორებისათვის საჭირო პერიოდი. ერთ დავალებას პარალელურად ასწორებს ორი სპეციალისტი, ამას სისტემა აკონტროლებს. თუ შედეგი ერთმანეთს არ დაემთხვა, ავტომატურად ეგზავნება მესამე გამსწორებელს. ეს სქემა სწრაფი და საიმედოა. თან, მინიმუმამდე დაყვანილი ადამიანური ფაქტორი. როცა გამსწორებელი წერს ქულას, ოპერატორს შესაძლოა შეეშალოს და შედეგი არასწორად გადაიტანოს. კომპიუტერს ასეთი შეცდომები არ მოსდის, სისტემური შეცდომები გამორიცხულია.“ - ამბობს დათო ჭანკოტაძე.



გამოცდები ყველასათვის



საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი დათო ჭანკოტაძე

2009 წელს პირველად ჩატარდა საერთო სამაგისტრო გამოცდა და ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა. სამაგისტრო გამოცდებს უკვე გამოცდილები შეხვდნენ. მაია მიმინოშვილის შეფასებით, მაგისტრების დაფინანსების გადაწყვეტილება მთავრობის მხრიდან ძალიან დროული და სასიხარულო იყო. ეროვნულ ოლიმპიადებს გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ყველაზე სასიამოვნო საქმიანობას უწოდებს: „რადგან ეს „გამოცდა“ ნებაყოფლობითაა მოსწავლემ უნდა გადაწყვიტოს, გამოცადოს თავი თუ არა. ამა თუ იმ საგანში საკუთარი ცოდნის შემოწმება თუ არ აინტერესებს, არ გავა ოლიმპიადაზე. ადრე ერთულებს ვარჩევდით, ახლა ყველას ვამლევეთ უფლებას. 2010 წელს რეგისტრაცია რომ დასრულდა, შემეშინდა, რადგან 130 000-ზე მეტი განაცხადი იყო შემოსული. ოლიმპიადას სამ ტურად ვატარებთ. გამარჯვებულები საერთაშორისო ოლიმპიადებზე

გაიან. ძალიან კარგი მოსწავლეები გვყავს, განსაკუთრებით მათემატიკა-ფიზიკა-ინფორმატიკის კუთხით.“

2010 წელს ცენტრმა უკვე მასწავლებელთა პირველი სასერტიფიკაციო გამოცდა ჩაატარა. ასევე, აბიტურიენტებმა სავალდებულო 4 გამოცდა ჩააბარეს და სახელმწიფო დაფინანსება ყველა გამოცდის შედეგის გათვალისწინებით გაიცა.

კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელი ია კუტალაძე პედაგოგთა სერტიფიცირებას განსაკუთრებით მნიშვნელოვან პროექტად მიიჩნევს, რადგან მის მიზანს პროფესიული განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს, პედაგოგი კი საკვანძო ფიგურაა სკოლაში. როგორც თავად ამბობს, სტანდარტი მაღალი იყო და შეტანილი საკითხები მოქმედ პედაგოგებს არ ჰქონდათ გავლილი. მაგალითად, განვითარების თეორიები. როგორც ქალბატონი ია იხსენებს, საცდელ ტესტებში ერთ-ერთი დავალება განვითარების თეორიის ცნობილ ავტორს, პიაჟეს, ეხებოდა. ეს პედაგოგებისათვის იმდენად უცხო იყო, რომ ამბობდნენ, ვინ არის ეს პეკოო. ქუთაისში ერთ-ერთ შეხვედრაზე ისიც გააპროტესტეს — რატომ შეიტანეს „ვიღაც პიაჟე“ და არა ბერიტაშვილი. წინააღმდეგობას უწევდნენ იმას, რომ მათთვის ესწავლებინათ ის, რაც ჯერ არ იცოდნენ. ცენტრმა ამის გამო ბევრი რთული დისკუსია გამართა და მწვავე კრიტიკაც მიიღო. უკუკავშირის იღებდნენ კრებულის გამოცემისა და საცდელი ტესტირებების შემდეგ. პედაგოგები ითხოვდნენ, რომ წინასწარ მიეცათ ტესტები. ცენტრში უწევდათ იმის ახსნა, რომ მათ მესხიერებას კი არ აფასებდნენ, არამედ უნარებს.



„მგონი არც ერთ ტესტს ზოგადი უნარების შემდეგ ასეთი მწვავე რეაქცია არ მოჰყოლია. თუმცა, როცა პირველად ჩავატარეთ გამოცდა, იქიდან გამოსული ყველა პედაგოგი გაოცებული იყო, რომ ტესტი არც ისე რთული იყო და ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემა საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობითაც შეეძლოთ. პირველ წელს არც ისე დიდმა პროცენტმა გადალახა ბარიერი, მაგრამ თავად ტესტისადმი საკმაოდ პოზიტიური დამოკიდებულება ჩამოყალიბდა.“ - ამბობს ია კუტალაძე.

მასწავლებლების გამოცდასაც არაერთი ისტორია ახლდა თან. მაგალითად, მაია მიმინოშვილი იწახავს „შპარგალკებს“, რომლებიც პედაგოგებს ჩამოართვეს. გასულ წელს ეს შედარებით ცოტა იყო. პირველ წელს კი მათემატიკის ფორმულები და განვითარების თეორიების ჩანაწერები დიდი რაოდენობით „ამოიღეს“. სხვათა შორის, ეს ეროვნულ გამოცდებზე არ დაფიქსირებულა.

იმას, რომ სასერტიფიკაციო გამოცდები ჯერჯერობით ნებაყოფლობითია, გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი დადებითად მიიჩნევს: „5 წელი გვაქვს წინ, რომ სტანდარტი ავწიოთ. „ჩაჭრილი მასწავლებლის“ ფორმულირების მე არ მესმის და დრამატულადაც არ ვუყურებ შედეგებს, რადგან მართლა მაღალი სტანდარტი იყო გამოცდებზე, ეს ნამდვილად არ იყო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი“.



საგნობრივი და კვლევის დეპარტამენტის უფროსი ია კუტალაძე

2011 წელს პირველი გამოსაშვები გამოცდები ჩატარდა. მაშინ უკვე გამოცდების ეროვნულ ცენტრს დიდი გამოცდილება ჰქონდა. ისევ შემჭიდრობულ დროში მოუხდათ მუშაობა, თუმცა ახლა ნამდვილად სწამდათ წარმატებისა.

თუ ისევ ძველ გეზს აიღებდნენ, კვლავ რაიონულ ცენტრებში უნდა ჩატარებინათ გამოცდები, რაც დისკომფორტს შეუქმნიდა ბავშვებსა და მშობლებს. შესაძლოა, მოსწავლეს არ სურდა უმაღლესში ჩაბარება და მხოლოდ ატესტატი უნდოდა, ამიტომ სასკოლო გამოცდებზეც სხვა ქალაქში რამდენიმე დღით ცხოვრებას ვერ მიუსჯიდნენ. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს, სკოლაში ჩატარებინათ. 2 000-ზე მეტი სკოლის გაკონტროლება ძველი ფორმით წარმოუდგენელი იყო. სჭირდებოდათ ისეთი სისტემა, რომელიც გადაწერის პრობლემას მოხსნიდა. ამიტომ გამოცდა კომპიუტერის მეშვეობით ჩატარეს. სწორედ მაშინ სრულდებოდა სკოლების ინტერნეტიზაცია

მთელი ქვეყნის მასშტაბით. გამოცდებამდე ოთხი დღით ადრე დაიწყეს აპრობაციები. საშიშროება იყო არა მხოლოდ ინტერნეტის გათიშვისა, არამედ დენისაც — პროფილაქტიკისა თუ ავარიების გამო.

„გამოცდების ჩატარებამდე ძალიან ბევრი პრობლემა გამოვლინდა. 1 500 სკოლაში უნდა ყოფილიყო ინტერნეტი, ერთდროულად უნდა ეპასუხა დაახლოებით 10 000 ბავშვს. პრეტესტების პროცესში ბევრი ტექნიკური პრობლემა გამოჩნდა. არავინ იცოდა, საერთაშორისო კონსულტანტებისა და ქართველი ექსპერტების ჩათვლით, რასთან გვექნებოდა საქმე. ყოველ ნაბიჯზე თავს იჩენდა აისბერგის დამალული ნაწილი და ჩვენ იძულებული ვიყავით, რომ თან ნაბიჯ-ნაბიჯ მივახლოვებოდით გამოცდების დასაწყისს, თან რაც შეიძლება მეტი პრობლემა აღმოგვეფხვრა, რომლებიც ამ გზაზე ჩნდებოდა.“ - ამბობს საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფის ხელმძღვანელი დათო ჭანკოტაძე.

უცხოელების კვებტიკურად იყვნენ განწყობილები. ცნობილი ჰოლანდიური ორგანიზაცია „სიტო“ სთავაზობდა: ჩვენ ჩაგიტარებთ გამოცდას, თქვენ გაგიჭირდებათ, ჩვენთვის ეს ექსპერიმენტი იქნება, თქვენთვის გარანტირებული წარმატებაო.

„უარი ვუთხარით, ამით „შავ ყუთს“ გვამღევთ, გამოსწორების შესაძლებლობა არ გვექნება და სულ თქვენთან უნდა ვირბინოთ. გაცეხას ვერ ფარავდნენ, სისტემა რომ ასე აეწყო და მსოფლიოს მასშტაბით პირველად ჩატარდა ასეთი გამოცდა, ამას ისეთი დიდი დაინტერესება მოჰყვა, რომ საერთაშორისო კონფერენციის აუცილებლობა დადგა.

2011 ჩვენი გამოცდის წელიც იყო. დღეს შეიძლება ითქვას, რომ იდეალურად გამართულ სისტემამდე ბევრი აღარ გვიკლია, შარშანდელი გამოცდები ერთგვარი პილოტირება იყო, მომავალ წლებში კი ნამდვილად მივაღწიეთ სრულყოფილ სისტემამდე.“ - ამბობს მათა მიმინოშვილი.

მარი ახსიაშვილი

ანას, ნიკას და ლევანს წიგნის მაღაზია „ლიგამუსში“ შევხვდით. ამ სამადამიანს, ბევრი განსხვავების მიუხედავად, ბევრი საერთოც აქვთ. სამივე ძალიან დაკავებულია და მათთან შეხვედრა მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მოვახერხე, სამივე ბიზნესისა და ეკონომიკის კუთხით მუშაობს და, რაც ყველაზე მთავარია, სამივე პირველი ერთიანი ეროვნული გამოცდების ყველაზე წარმატებული აბიტურიენტია.

ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოში პირველად 2005 წელს ჩატარდა. ამ პროექტს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანს უწოდებენ ქართულ განათლების სისტემაში. მაშინ აბიტურიენტებმა სავალდებულო გამოცდები ჩააბარეს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ზოგად უნარებსა და უცხოურ ენაში, ხოლო მათემატიკა არჩევით საგანს წარმოადგენდა. გამოცდებში მონაწილეობა 32 ათასამდე აბიტურიენტმა მიიღო, უმაღლეს სასწავლებლებში 16 507 ჩაირიცხა. ჩაირიცხულთა 43% თბილისში, ხოლო 57% რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები იყვნენ. სახელმწიფო გრანტი კი 4 198 სტუდენტს ერგო.



ანა მამუკელაშვილის სახელი 2005 წლის გამოცდების შემდეგ ყველაზე ხშირად ისმოდა. ის პირველი ეროვნული გამოცდების პირველადგილოსანი აბიტურიენტია. მას შემდეგ 7 წელი გავიდა, ბევრ წარმატებას მიაღწია, თუმცა მეტისაკენ ისწრაფვის. ამჟამად „საქართველოს ბანკში“ მუშაობს, პერსონალური საბანკო მომსახურების დეპარტამენტში, გაყიდვების მხარდაჭერის მენეჯერია, კოორდინირებას უწევს გაყიდვებს. პერსონალურ ბანკირებს ეხმარება გეგმების შედგენაში, აძლევს რჩევებს, აანალიზებს მათ შედეგებს და ამზადებს ანგარიშებს. სამუშაოს 10 საათზე იწყებს, მუდამ დატვირთული რეჟიმი აქვს.

„დილიდანვე რაღაც ხდება, არ არსებობს დღე, რომ უსაქმოდ ვიყო, მუდამ სიახლეებია, მუდმივად ვურთიერთობ პერსონალურ ბანკირებთან. სამუშაო დღეს, წესით, 6 საათზე ვამთავრებ, თუმცა 6-ზე ვერასდროს ვასრულებ, ყოველთვის მიწევს გვიანობამდე სამსახურში ყოფნა.“ - ამბობს ანა.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შემდეგ სწავლა „იესუმში“ გააგრძელა. კმაყოფილია და ამბობს, რომ უნივერსიტეტმა ნამდვილად ის მისცა, რასაც ელოდა. გაცვლითი პროგრამით გერმანიაშიც იყო, სამ თვეს ლექციები ჰქონდა, სამ თვეს კი — ბანკში გადიოდა პრაქტიკას. უნივერსიტეტიდან გერმანულენოვანი და მაღალქულიანი სტუდენტები

მიჰყავდათ, ის კარლოსრუეში მოხვდა.

„იქაურ ბანკში მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონია ჩემი ამჟამინდელი სამსახურისათვის, რადგან იმდენად ფართოა საბანკო სფერო, ძნელია შეადარო ერთმანეთს, თუ კონკრეტულად იმავე მიმართულებას არ ეხება. განსხვავებები იყო და ძალიან საინტერესო. მით უმეტეს, მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი და ყველაფერს ხალისით ვუდგებოდი“, - გვიყვება ანა.

რაც ჩამოვიდა, მას შემდეგ „საქართველოს ბანკში“ მუშაობს. მიაჩნია, რომ ამ ეტაპისათვის კარგი გამოცდილება მიიღო. სამსახურიც უნივერსიტეტიდან დაიწყო. იმ პერიოდში „იესუმს“ გერმანულენოვანი სტუდენტებისათვის ბანკებთან ჰქონდა ხელშეკრულება დადებული, რომლის მიხედვითაც, ბოლო ორ წელს, თეორიული სემესტრის შემდეგ, პრაქტიკას გადიოდნენ. სწორედ იქ გაიცნეს ანა მამუკელაშვილი და, როდესაც „სოლოს“ დეპარტამენტი შეიქმნა და მისი თანამდებობა გაჩნდა, დაუკავშირდნენ, გასაუბრების შემდეგ კი სამუშაო შესთავაზეს.

ანას მეორე სამსახურიც აქვს — სხვებს ასწავლის მენეჯმენტის საფუძვლებს. „ჯორჯიან ლაინინგ ცენტრში“, ყოფილ „იესუმის“ ლიცეუმში, მეათეკლასელების მასწავლებელია. კვირაში ერთ დღეს აქვს ორი გაკვეთილი. საინტერესოდ და ცოტა რთულად მიიჩნევს საქმეს, რადგან „მენეჯმენტის საფუძვლები“ არ არის ის აუცილებელი საგანი, რომელიც ყველას მოეთხოვება. „ამაშია ცოტა სირთულე, მაგრამ ის არის საინტერესო, რომ ყველა გაკვეთილზე გიწევს რაღაცის მოფიქრება, მოსწავლეები რომ დაინტერესო და ჩართო“.

ერთიანი ეროვნული გამოცდების წინა პერიოდს ცხოვრებაში ჯერ კიდევ ყველაზე მნიშვნელოვან დროდ იხსენებს. ამბობს, რომ მაშინ ყველაზე მონდომებული იყო.

„ეს იყო პერიოდი, როდესაც ცხოვრება მსიამოვნებდა. მეცადინეობაც კი არ მდლიდა, იმდენად დიდი სურვილი მქონდა, რომ კარგად ჩამეებარებინა. თან ეს პირველი გამოცდები იყო, რაც განსაკუთრებით ზრდიდა ჩემს მოტივაციას. რა თქმა უნდა, შედეგები რომ გავიგე, ყველაზე ბედნიერი ვიყავი მთელ დედამიწაზე, მაგრამ ამ პერიოდმა გაიარა, დამთავრდა, სწავლაც დავასრულე და მიმჩნია, რომ ჯერჯერობით მე ძალიან ბევრი მაქვს გასაკეთებელი. თუნდაც ამ ეტაპზე, რასაც ახლა ვაკეთებ, თუნდაც კარიერის მხრივ და თუნდაც შემდეგ - უკვე სწავლის გაგრძელების

თვალსაზრისით. იმედია, როდისმე მეტს მივაღწევ“. - ამბობს ანა.

მაგისტრატურაში სწავლა ჯერჯერობით არ გაუგრძელებია, რადგან უნდა კარგი MBA გააკეთოს, რაც სამუშაო გამოცდილებასაც მოითხოვს. ამიტომაც გადაწყვიტა, რომ ჯერ ამ კუთხით გაიზარდოს. კმაყოფილია სამსახურით, თუმცა მიაჩნია, რომ შემდეგ ეტაპზე უნდა გადავიდეს:



„ორ წელიწადზე მეტია უკვე ერთ სამსახურში ვარ და მიმაჩნია, რომ უკვე ცვლილებებზე უნდა ვიფიქრო. პირველი ეტაპისათვის მართლა ძალიან კარგი იყო“.

ანას მომდევნო აბიტურიენტი 2005 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების რეიტინგში 23 წლის ლევან კანკავაა. ის ახლა კონსულტანტია აუდიტორულ კომპანიაში - PWC. მესამე წელია იქ მუშაობს და კმაყოფილიც არის. ამჟამად მეტს არაფერს საქმიანობს. სწავლა არ გაუგრძელებია. ფიქრობს, რომ სამსახური და სწავლა ერთად არ მოხერხდება. აპირებს, მაგრამ როგორ და როდის, ჯერ არ იცის. საერთო სამაგისტრო გამოცდები კი ჩააბარა, მაგრამ სამსახური რომ გამოჩნდა, არჩია, იქ დარჩენილიყო. ჯერჯერობით არ ნანობს.

სამუშაო დღეს დილის 9 საათზე იწყებს. წესით და რიგით, საღამოს 6 საათამდე მუშაობს,

მაგრამ უფრო ხშირად 6-ზე ვერ ასრულებს, თუმცა ცდილობს ისე დააბალანსოს, რომ 7-8 საათზე მაინც დაამთავროს. თუ ასე მოხდა, საღამოს მეგობრების წრეში ატარებს.

„ჩვენი კომპანია ახორციელებს სხვა ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტს. ფინანსურ მონაცემებს მათივე დაკვეთით ვამოწმებთ და ვდებთ დასკვნას მათი სისწორის შესახებ. ყველა კომპანიაში იგზავნება გუნდი, რომელიც ამოწმებს ფინანსურ ანგარიშგებას. სხვადასხვა სირთულის პროექტზე სხვადასხვა დარგის კომპანიაში სხვადასხვა დროს სხვადასხვა დონის დავალება მაქვს, ზოგან მეტად, ზოგან კი ნაკლებად საპასუხისმგებლო. ეს გამომდინარეობს იქიდან, რა წარსული გაქვს, სად გისწავლია, რა გაგიკეთებია და რა გამოცდილება დაგიგროვებია. ამ სამი წლის მანძილზე ეს პასუხისმგებლობა იცვლებოდა. ახლა უკვე რაღაც დონეს მივაღწიე“, - გვიყვება ლევანი.

ამბობს, რომ აბიტურიენტობის შემდგომმა 7-მა წელმა ძალიან სწრაფად გაიარა. „იესუმში“, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე, გააგრძელა სწავლა. რაღაც მოსწონდა, რაღაც არა, თუმცა, საბოლოო ჯამში, კმაყოფილი და ბედნიერია. „სანამ ჩააბარებ, ბუნებრივია, კარგად არ იცი სად მიდიხარ და როგორ მიდიხარ. მე 16 წლის ვიყავი, რომ ჩავაბარე, გადაწყვეტილებას როცა იღებ, ჯერ კიდევ არა ხარ გარკვეული, რა გინდა აკეთო. მეც კარგად არ ვიცოდი, სწორად ვირჩევდი თუ არა... ნამდვილად არ მინანია“.

მესამე კურსზე ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო ერთი სემესტრი, ფლორიდაში ისწავლა ერთ-ერთ უნივერსიტეტში. ამასაც თავის სასწავლებელს უმადლის:

„იგივე და ცოტა მეტი საგანი გავიარე, უფრო მეტი ვისწავლე, მაგრამ მთავარი იყო ის გამოცდილება, რომელიც სხვა უნივერსიტეტში ყოფნამ, სხვა ქვეყანაში ცხოვრებამ, სხვა კლასში ჯდომამ და სხვა ლექტორის მოსმენამ მომცა“.

სამსახურის დასაწყებად ძალისხმევა თითქმის არ დასჭირვებია. ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში მოკლევადიანი სტაჟირებები ჰქონდა საკონსულტაციო კომპანიაში, მერე უკვე უნივერსიტეტს ამთავრებდა, როცა „გაერთიანებულ ტელეკომში“ დაიწყო მუშაობა. რამდენიმე თვის შემდეგ კი, აუდიტორულმა კომპანიამ გამოაცხადა ვაკანსია, შეიტანა განაცხადი და აიყვანეს.

მომავალში მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას აპირებს, თუმცა, როგორც თავად ლევანი ამბობს, საჭირო დროსა და საჭირო ადგილას. „უბრალოდ საბუთის ქონა არ მინდა, არც ისეთი რამ მინდა მოხდეს, რომ უსაბუთოდ დავრჩე. რაღაც ისეთი მინდა, რომ ჩემთვის იყოს შედეგიანი. იმედი მაქვს, რომ საჭირო დროსა და ადგილას აღმოვჩნდები“.

საბოლოო ჯამში, თავს წარმატებულად მიიჩნევს. ლევანი ფიქრობს, რომ ყველაფერი შედარებითია. როგორც ამბობს, ყოველდღე იმის ათას მაგალითს აწყდება, რომ თქვას — „მე წარმატებული ვარ“ — და ასევე ათას მაგალითს,

იმის სათქმელად, რომ „მეტი შემეძლო მე, ლევან კანკავას, ან ჩემნიარ ჩვეულებრივ 16 წლის ქართველ ბიჭს“, თუმცა მაინც კმაყოფილია იმით, რასაც ამ ეტაპზე მიღწია.

„ბოლოს და ბოლოს, ყოველ კონკრეტულ მომენტში გადაწყვეტილებას იღებ იმ პირობებიდან გამომდინარე, რომლებიც შენ თვალწინაა. ვთვლი, რომ თუ ყოველთვის არა, ხშირ შემთხვევაში მაინც სწორად ვიქცეოდი. ზოგჯერ იცვლება გარემოებები, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს შედეგზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის გადაწყვეტილება არასწორი იყო. როცა წყვეტდი, მაშინ შენ სხვა პირობები გქონდა, აქედან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ წარმატებული ვარ“ — ამბობს ლევან კანკავა.

ნიკა ელიზბარაშვილი 2005 წლის გამოცდების საერთო რეიტინგში მეოთხე ადგილზე გავიდა. ახლა სადაზღვევო კომპანია „ასი ჯგუფში“ მუშაობს ფინანსური ანგარიშგებისა და აღრიცხვის მენეჯერის თანამდებობაზე. გასულ წელს მაგისტრატურაშიც ჩააბარა, თსუ-ს ბიზნესის ეკონომიკის პროგრამის სტუდენტია. იქამდეც, რა თქმა უნდა, საერთო სამაგისტრო გამოცდებით მივიდა, ცხადია, უმადლესი შეფასებით — პირველ 15 კაცში მოხვდა.

2005 წლის ეროვნული გამოცდების შემდეგ კავკასიის უნივერსიტეტში დაიწყო სწავლა, შემდეგ, უკვე მესამეკურსელი, ერთი სემესტრის მანძილზე ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ „თიბისი“ ბანკში დაიწყო მუშაობა, მერე „ალდაგი ბი-სი-აიში“ და ბოლოს „ასი ჯგუფში“.

„კავკასიის უნივერსიტეტს ჰქონდა პროგრამა — მესამე კურსზე ნიშნების ჯამის მიხედვით პირველ სამ კაცს უშვებდნენ უცხოეთში და იმ სამ კაცში მოხვდი. აქ ვსწავლობდი ბიზნესის სკოლაში, ჯორჯიის უნივერსიტეტში იყო ბიზნესის კოლეჯი. ვსწავლობდი დაახლოებით იმავე საგნებს, რომლებიც იმ სემესტრში აქ უნდა გამეგლო. კრედიტები ჩამეთავალა და მერე აქ ჩვეულებრივად გავაგრძელე“, - ამბობს ნიკა.

ერთიან ეროვნულ გამოცდებს ემოციის გარეშე ვერ იხსენებს. არც მეოთხე ადგილს ელოდა. იმაში კი დარწმუნებული იყო, რომ სასურველ ფაკულტეტზე ჩააბარებდა და დაფინანსებაც ექნებოდა, თუმცა ათეულში გასვლაზე არ უფიქრია.

„ეროვნული გამოცდები ძალიან, ძალიან, ძალიან მაგარი რაღაც იყო. პოლიტიკაში ვერ ვერკვევი, მაგრამ ეს მართლა კარგი რამ გაკეთდა. მანამდე შეჩვეული ვიყავი საუბრებს, რომ სწავლა აუცილებლად ჩაწყობით ხდება. იმ განწყობით ვიზრდებოდი, რომ სტუდენტობისას მეც ამგვარი რაღაცეები უნდა გამეგლო. სანამ ახალი იყო, შემფოთებული და შემინებული ვიყავით, მაგრამ თავად გამოცდებზე რომ მიდგა საქმე და დამხმარე ბროშურებიც გამოვიდა, მივხვდი, სადაც მივდიოდით და ნერვიულობაც გაგვიქრა, რადგან ინფორმაცია დიდი იყო“, - იხსენებს ნიკა.

შედეგები მოულოდნელად გაიგო. კახეთში იყო, როდესაც კლასელს დაბადების დღის მისალოცად დაურეკა. სწორედ მან უთხრა, რომ რეიტინგში მეოთხე იყო. გურჯაანში სწავლობდა, ბოლო წელს ემზადებოდა. ამბობს, რომ ძალიან კარგი სკოლა დაამთავრა და მასალის მხოლოდ გადამეორება მოუწია. ნაკლებად დატვირთული იყო, ვიდრე ეს შეიძლებოდა ყოფილიყო, თუმცა არც ღამეების თენებაა მისთვის უცხო. უნივერსიტეტის კმაყოფილია. ფიქრობს, რომ ის მიიღო, რაც სურდა. არც სამსახურის დაწყება გასჭირვებია პირველ ეტაპზე.



„ომი და ფინანსური კრიზისი ჯერ არ იყო და კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებს არ უჭირდათ მუშაობის დაწყება. მეც შიდასაუნივერსიტეტო დასაქმების ფორუმზე გავედი და „თიბისი“ ბანკში მოხვდი. ომის შემდეგ თანამშრომლების შემცირება დაიწყეს და, ვინც ახალი მისულები ვიყავით, გამოგვიშვეს. შემდეგ ინტენსიურად ვემუშავებ სამსახურს. რაღაც პერიოდი არ ვმუშაობდი და ძალიან გამიჭირდა. ბოლოს, „ალდაგი“ მოხვდი, საიდანაც სხვა თანამდებობაზე გადამიყვანეს. შემდეგ უკვე „ასი ჯგუფში“ და იმ ადგილზე, სადაც ახლა ვარ“.

სამუშაო დღეს 10 საათზე იწყებს. ამ დროს

სამუშაო დღეს 10 საათზე იწყებს. ამ დროს

უკვე სამსახურში უნდა იყოს. პირველ რიგში, ელექტრონულ ფოსტას ამოწმებს — არ უნდა გამოეპაროს, თუ რამე მიიღო სახლიდან წამოსვლის შემდეგ. მერე უკვე საქმეს გააჩნია: ან მიმდინარეა და მარტივს აკეთებს, ან, როცა ანგარიშების მომზადების პერიოდია - თვის ან წლის ბოლოს - რთული საქმე ხვდება ხოლმე წილად.

„ყველა ფინანსური ინსტიტუტი ანგარიშს აბარებს ეროვნულ ბანკს, ჩვენც მათ შორის და ამ ანგარიშების მომზადება მევალება. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ვაკეთებ. თავისუფალი დრო ცოტა მაქვს, შაბათ-კვირა და საღამო, 7 საათის შემდეგ“ — გვიყვება ნიკა.

თუმცა 7 საათის შემდეგ უკვე ლექციები ეწყება. ამბობს, რომ ბაკალავრიატზე უფრო რთული იქნებოდა სწავლის შეთავსება, ახლა კი ლექციები გვიან აქვს. თან ლექტორებიც ითვალისწინებენ მის სამსახურს და ყოველდღიურ დასწრებას არ მოითხოვენ, მთავარია, სემინარები, კოლოკვიუმები და პრეზენტაციები მოამზადოს, რასაც აკეთებს კიდეც. ფიქრობს, რომ წარმატებულია. როგორც თავად ამბობს, უფრო მეტი წარმატების მიღწევაც შეიძლებოდა, მაგრამ უფრო ნაკლებსაც.

„ამიტომ ამ ეტაპზე წარმატებული ვარ“, - ამბობს ნიკა.

შეჯამებისათვის შემოიღია ვთქვა, რომ პირველი ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველადგილოსნებთან შეხვედრამ ჩემი წინასაგამოდო ემოციები გამახსენა. იმის მიუხედავად, რომ მეც სასურველ ფაკულტეტზე ჩავირიცხე სახელმწიფო დაფინანსებით, პირველ ათეულში მოხვედრილი აბიტურიენტები მაინც ყოველთვის „შორეულ“, „არაჩვეულებრივ“, „არაამქვეყნიურ“ ადამიანებად მეჩვენებოდნენ. არადა, ყველაფერი ხომ ძალიან მარტივია: მათ მიზანს უდიდესი მონდომებითა და საკუთარი შრომით მიაღწიეს. ეს კი შეიძლება ბევრი აბიტურიენტისათვის სამაგალითო იყოს.



მარი ახსიაშვილი

გამოცდაზე შეიძლება გაერთო

ყოველთვის, როცა შეცდომით ვირჩევთ პროფესიას, ვნანობთ, რომ საყვარელი საქმის კეთების შანსი დაკარგეთ.

მე მინდა პოეტი გავხდე. ადრე ავტორები თავიანთ ნაწარმოებებს არ აწერდნენ სახელს და გვარს, მით უმეტეს, ითვლებოდა, რომ შემოქმედებითი ნიჭი არ არსებობდა. შენ იყავი ღვთის სიტყვის გამტარი, მედიუმი და უხერხული იყო, მიგეთვისებინა მისგან „წამოსული“. მეც მირჩევს ღმერთი ხანდახან ასეთ მედიუმად. ამ დროს მთავარია ყური უგდო და ზუსტად გადმოიტანო ყველაფერი. მე ჯერ ამ „მოსმენას“ ვსწავლობ იმისთვის, რომ დამარქვან პოეტი. ერთი-ორჯერ გამომივიდა. სხვის ლექსებად ვასაღებ და როცა გაფართოებული თვალეებით გამოგლეჯენ ფურცელს ხელიდან და ნაწერის დახეპირებას იწყებენ, ვხვდები, რომ ჩემი გამტარობის ამ შემთხვევამ წარმატებით ჩაიარა.

მამაჩემმა, პოეზიით ოჯახს ვერ არჩენ, ეგ რა ნიჭიაო და



პროფესია შემირჩია, წელს ძალიან საინტერესო ფალსულტეტზე ვაბარებ - „ბიზნესი და მართვა“. ამ პროფესიის დაუფლების სურვილის გასაჩენად თუ მის გასამძაფრებლად მამამ კათედრაზე გამიშვა, რომ გამეგო, როგორი საინტერესო ოთხი წელი მელოდა წინ. წავედი და გავიგე შემდეგი: ამ სპეციალობაზე არც ცნობილი ბიზნესმენების ცხოვრება, არც ბრენდების ისტორიები და არც მილიონერად გახდომის საიდუმლო არ ისწავლება. თურმე უნდა იკითხო და ისმინო მხოლოდ ვიდეების სუბიექტური აზრები ბიზნესზე, რომელიც ბანალური ფაქტებითაა გამყარებული. უცნაურია, მაგრამ ცუდი ინფორმაციის მიღების დროს ყოველთვის მეხსენება ფანტაზია, ამ შემთხვევაშიც მე წარმოვიდგინე, რომ ბიზნესის ფაკულტეტზე სწავლის დროს პრაქტიკას, ალბათ, საკასო აპარატთან გავივლი რომელიმე ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაში, ლექციებზე სტუმრად გვეყოლება რომელიმე ბუტიკის ქსელის მფლობელი „თბილისიდან“. ის არ იტყვის, რომ 90-იან წლებში, სამოქალაქო ომის დროს, მუქთად ჩაიგდო ხელში კომერციული ფართები და აფხაზეთის ომიდან ჩამოტანილი „ნადავლით“ აწყობილი ბიზნესის დროს თუ როგორი მნიშვნელოვანია აკონტროლო ბაზარი და მიხედო კონკურენტებს. ამ მოწვეული ლექტორის გარდა, ტრიბუნას აუდიტორიაში ადგილობრივი დარგის პროფესორიც დაიკავებს. მას, ალბათ, არასოდეს ჰქონია საკუთარი ბიზნესი და არც შეხება მსხვილ ბიზნესმენტა წრესთან და მაინც მისი პროფესიობა ვლინდება იმ ნიჭში, რომ წიგნებიდან ამოკითხულით დამაჯერებლად გაიმბოს, როგორ უნდა მართო ბიზნესი?! მდაა... სამწუხაროა, კარგი რომ

ვერაფერი დაინახა ამ ფაკულტეტში ჩემმა ფანტაზიამ. შეიძლება ფანტაზია აზვიადებს, მაგრამ მე არ მესმის, რა საჭიროა სპეციალობა, რომელიც არ გიტოვებს კონკრეტულ თეორიულ ცოდნას? მაგალითად, რა საჭიროა არსებობდეს კულტურული ფაკულტეტი, თუ ვერ გასწავლის მსოფლიო კულტურას და დასჯერდება მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომ გაარკვიო, რა არის კულტურული იდენტობა, სოციუმი, როგორ მოქმედებს კულტურა ადამიანზე და სხვ. ეს ყველაფერი ხომ სუბიექტური, აბსტრაქტული და ინდივიდუალურია. ზოგჯერ ძალიან შენი და ინტიმურიც კი.

მე ახლა გამოცდაზე ვზივარ და ზოგადი უნარების ტესტს ვწერ. ეს საუკეთესო ტესტია ყველა საგამოცდო ტესტს შორის, იმიტომ, რომ ვერაფრით გამძვრები, თუ უნიჭო ხარ და მე ხომ ვიცი, რომ პოეზიის ნიჭით ვარ დაჯილდოებული. ჰოდა, ეს განსაკუთრებული ნიჭი მეხმარება მის სწორად გაკეთებაში. თან ვაბარებ ისეთ ფაკულტეტზე, სადაც მეორეხარისხოვანია ცოდნა და წიგნიერება, მთავარია უნარები და მოხერხება. შესაბამისად, მომეთხოვება ამ გამოცდაზე საუკეთესო შეფასების მიღება. მეთვალყურე ქალბატონი მაბნევეს. ისეთი კეთილგაწყობილი და მშვიდია, ბოტიჩელის ნიჭიდან დაბადებულ ვენერას ჰგავს სიბერეში. მუზას მიღვიძებს და ლექსის წერის სურვილს მიჩენს, მუზას ვთოკავ და ღმერთს ვთხოვ კონცენტრაცია გამიმძაფროს უნარების ტესტზე. მეთვალყურე ქალი რიგებს შორის დადის და წელი რხევით დააქვს. არა სპეციალურად, ისე, ბუნებრივად. ასეთი სიარულის მანერა აქვს. ნეტავ რა ჰქვია? სოფიო? არა, სოფიოები უფრო სწრაფად დადიან და უფრო დიდი ზომის თვალეები აქვთ, არც მათა - ყველა მათა ძლიერი და ოდნავ უფრო ჭკვიანია. ნინო, ეკა, თამარი... ჰო, ალბათ, თამარი - პალმასავით ადევს ვარცხნილობა თავზე*. საკითხავია, რომელი თამარი? თამუნა- უფრო ჩურჩულთა, ვიდრე თაკო, თამარა უფრო ძლიერი და გონიერია, ვიდრე ის წინა ორი - პატარა თვალეები აქვს და კარგი მეტყველება.

- უკაცრავად, ქ-ნო თამარ!
- მეძახდით? - შემობრუნდა გაკვირებული ქალი, გამიღიმა და ჩემთან მოვიდა. მე უარის ნიშნად თავი გაუქნიე, არ ვიცოდი, რა მეკითხა, არანაირი აზრი არ მომდიოდა თავში. გამიხარდა, სახელი რომ გავარტყი და ვიფიქრე, ფსიქოლოგიურზე ხომ არ გადამეტანა მეორე კურსიდან საბუთები-მეთქი?!

თამარი (ებრ.)- პალმა.

პროფესიული უნარების ტესტი — ტიპური შეცდომები და რეკომენდაციები

რეკომენდაციები მოგვარადა გამოცდების ეროვნული ცენტრის პროფესიული უნარების ჯგუფმა

დავალების პირობის პერიფრაზირება. ღიადაბოლოებიანი დავალებების შესრულებისას ხშირია შემთხვევები, როდესაც აპლიკანტის პასუხი, არსებითად, დავალის პირობის პერიფრაზს წარმოადგენს. პერიფრაზით შეუძლებელია შევავსოთ საკითხის შესახებ პედაგოგის ცოდნა და /ან მისი პროფესიული უნარი. „ღია“ დავალებებით ფასდება დავალის პირობაში დასმული პრობლემის გადაჭრის და არა ტექსტის (ამ შემთხვევაში დავალის პირობის) გაგების უნარი. გაიგო თუ არა პედაგოგმა პირობა და პირობაში დასმული პრობლემა, ჩანს შეკითხვაზე ადეკვატური პასუხით და არა პირობის პერიფრაზით.



რეკომენდაცია: ამგვარი ხარვეზის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია დავალის პირობისა და შეკითხვის ყურადღებით წაკითხვა და იმის გააზრება, თუ რას მოითხოვს დავალმა. აპლიკანტის პასუხი უნდა ეფუძნებოდეს და შეესაბამებოდეს დავალის პირობას, თუმცა სწორი პასუხი არასოდეს არ არის დავალის პირობაში მოცემული ინფორმაციის პერიფრაზი. პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და უპასუხებდეს დასმულ შეკითხვას.

რელევანტურობა. ზოგჯერ პასუხი აცდენილია პირობას და არ უპასუხებს იმ კითხვას, რომელიც დავალშია დასმული. ღია დაბოლოებიანი დავალის შეფასების პირველი კრიტერიუმი კი პასუხის რელევანტურობაა.

ზოგჯერ პასუხი შეიცავს რომელიმე დამხმარე სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას, ფრაზებს, მაგრამ არ უპასუხებს დავალში დასმულ შეკითხვას. ასეთი პასუხი ფასდება ნული ქულით. ნებისმიერი ღია ტიპის დავალმა სწორდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პასუხი დავალში დასმული შეკითხვის რელევანტურია.

რეკომენდაცია: ამ ტესტით ფასდება არა რომელიმე სახელმძღვანელოს ზედმიწევნით ცოდნა, არამედ კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად ამ ცოდნის გამოყენების უნარი. ამდენად, აპლიკანტებმა შეძენილი ცოდნა უნდა დაუკავშირონ დავალში დასმულ კონკრეტულ პრობლემას და ისე ააგონ მსჯელობა, რომ ჩანდეს საკითხის გააზრებული ცოდნა და/ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი.

მითითებების იგნორირება. ღიადაბოლოებიანი დავალებების უმეტესობას რამდენიმე მითითება აქვს. უმეტესად მოცემულია შეკითხვა და შემდეგ, კონკრეტული მითითებები. მითითება ეხმარება პედაგოგს განსაზღვროს, თუ რა მიმართულებით უნდა წარმართოს მსჯელობა. ჩვეულებრივ, მითითება კონკრეტული საკითხების შესახებ მსჯელობას, პრობლემის დამლევის კონკრეტული სტრატეგიის აღწერას მოითხოვს. ხშირად აპლიკანტები უგულვებელყოფენ ამ მითითებებს და შემოიფარგლებიან შეკითხვაში დასმული საკითხის შესახებ ზოგადი მსჯელობით.

რეკომენდაცია: დავალის პირობის გაცნობისას ყურადღება მიაქციეთ, რამდენ მითითებაზე ითხოვს პასუხს დავალმა. უპასუხეთ ყველა მითითებას. პასუხი მაქსიმალური ქულით ფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი უპასუხებს ყველა კითხვას/მითითებას, რომლებიც მოცემულია დავალში.

არგუმენტაციის სიმწირე. ღიადაბოლოებიანი დავალებები, ჩვეულებრივ, პასუხის არგუმენტირებას/ დასაბუთებას მოითხოვს. მაგალითად, თუ დავალმა მოითხოვს კონკრეტული პრობლემის გადაჭრის გზის აღწერას, იმავდროულად, პედაგოგს იმის დასაბუთებასაც ვითხოვთ, თუ რატომ შეუწყობს ხელს მის მიერ აღწერილი აქტივობა პრობლემის მოგვარებას. დასაბუთების ნაწილით ვაფასებთ, რამდენად გააზრებულია

ის ცოდნა, რომელსაც პედაგოგი ამჟღავნებს. სწორედ ამიტომაც ღია დავალებებში ვითხოვთ არგუმენტირებას. ხშირად პასუხებში გვხვდება ნასწავლის უბრალო რეპროდუცირება/გახსენება: მაგალითად, აპლიკანტს ახსოვს რომელიმე თეორიის ძირითადი დებულებები, მაგრამ კონკრეტულ ვითარებაში ამ ცოდნის გამოყენება უჭირს. პედაგოგების ნაშრომების ძირითადი ხარვეზი იყო დასაბუთების კომპონენტის უგულვებელყოფა.

რეკომენდაცია: გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულ დამხმარე სახელმძღვანელოში „როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის — პროფესიული უნარები“ შეტანილია რეკომენდაციები და ნიმუშები, რომლებიც ეფექტურად შეიძლება გამოიყენონ პედაგოგებმა იმისთვის, რომ მათი პასუხი იყოს არგუმენტირებული და სრული, შეფასება კი – მაღალი.

ზოგადი მსჯელობა დავალის პირობაში მოცემული საკითხის შესახებ. ღიადაბოლოებიანი დავალებებზე კონკრეტული პასუხისაგან თავის არიდება და საკითხის ირგვლივ ზოგადი მსჯელობის წარმოდგენა გავრცელებული ტენდენციაა.

რეკომენდაცია: ყველა ღია დავალმა აპლიკანტისაგან საკმაოდ კონკრეტულ, ფოკუსირებულ პასუხს მოითხოვს, შესაბამისად, დადებითი შეფასების მისაღებად მნიშვნელოვანია, რომ ზოგადი შეფასებითი მსჯელობების ნაცვლად პასუხში წარმოდგენილი იყოს დავალის პირობის რელევანტური, კონკრეტული სტრატეგიები, არგუმენტები, აქტივობები, რომელთა გამოყენებაც დაეხმარება მასწავლებელს დავალში აღწერილი პრობლემის გადაჭრაში.



კითხვის შებრუნება. ე. წ. „ჭეშმარიტია/ მცდარია“ ტიპის დავალებებზე „მცდარია“ პასუხის მონიშვნის შემთხვევაში აპლიკანტები სწორი კომენტარის ჩაწერის ნაცვლად „შებრუნებული“ (ნეგატიური ან პოზიტიური) ფორმით აყალიბებენ დავალში მოცემული დებულების შინაარსს/კითხვას. (მაგ. დებულება: სახელმძღვანელოებს ამტკიცებს საგნობრივი კათედრა. აპლიკანტის პასუხი: სახელმძღვანელოებს არ ამტკიცებს საგნობრივი კათედრა).

რეკომენდაცია: ისევე როგორც ნებისმიერი სხვა დავალის შემთხვევაში, „ჭეშმარიტია/მცდარია“ ტიპის კითხვის შებრუნება პირობის პერიფრაზად მიიჩნევა. დავუბრუნდეთ ზემოთ განხილულ მაგალითს: დებულებაზე — სახელმძღვანელოებს ამტკიცებს საგნობრივი კათედრა — პასუხის „მცდარია“ მონიშვნით აპლიკანტმა მიუთითა, რომ სახელმძღვანელოებს არ ამტკიცებს საგნობრივი კათედრა. კორექტული ფორმა/ სწორი პასუხი მოითხოვს იმის ჩაწერას, თუ ვინ ამტკიცებს სახელმძღვანელოებს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. ამგვარი ხარვეზის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია კითხვის ყურადღებით წაკითხვა და „მცდარია“ პასუხის მონიშვნის შემთხვევაში კომენტარის ფორმულირების მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობა.

რამდენიმე პასუხის მონიშვნა. დახურულბოლოებიანი დავალებების შესრულებისას საკმაოდ ხშირად აპლიკანტები რამდენიმე პასუხს ნიშნავენ, რაც შეუძლებელს ხდის მათი ცოდნის ადეკვატურად შეფასებას.

რეკომენდაცია: ამგვარი ხარვეზის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი მანამ, სანამ საბოლოო პასუხზე შეჩერდებით. შესაძლოა, სავარაუდო პასუხების ჩამონათვალში იყოს ორი, ერთი შეხედვით, მსგავსი ვარიანტი, თუმცა არჩევითპასუხიანი დავალებების შემთხვევაში ყოველთვის მხოლოდ ერთი პასუხია სწორი. ამდენად, მნიშვნელოვანია სავარაუდო პასუხებში წარმოდგენილ ყველა დეტალზე ყურადღების გამახვილება.

საერთო სამაგისტრო გამოცდაზე 2013 წელს დაგეგმილი სიახლეების შესახებ სამაგისტრო ჯგუფის ხელმძღვანელი ივანე წერეთელი გვესაუბრება.

— ბ-ნო ივანე, რა აუცილებელი პროცედურების გავლაა საჭირო იმისთვის, რომ სტუდენტმა სწავლა სამაგისტრო პროგრამაზე გააგრძელოს?

— დადგენილი წესის მიხედვით, 2009 წლიდან მოყოლებული, საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში ნებისმიერ სამაგისტრო პროგრამაზე (გარდა საშემსრულებლო სპეციალობებისა) სწავლის გაგრძელების აუცილებელი პირობაა თითოეული მსურველის მიერ ორი გამოცდის ჩაბარება. ეს გამოცდებია: საერთო სამაგისტრო გამოცდა (სსგ) და გამოცდა სპეციალობაში. სსგ-ის ჩატარებაზე პასუხისმგებელია გამოცდების ეროვნული ცენტრი, ხოლო სპეციალობაში გამოცდაზე - შესაბამისი უმაღლესი სასწავლებელი.

— რა ფუნქცია აქვს საერთო სამაგისტრო გამოცდას?

— სსგ, პირველ რიგში, ამოწმებს აპლიკანტის მიერ მოცემულ პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მინიმალურ შესაძლებლობებს (უზრუნველყოფს მინიმალურ სტანდარტს); გარდა ამისა, სსგ-ზე მიღებული შედეგები შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს მოცემულ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესში; და ბოლოს, სსგ-ის შედეგების მიხედვით ხდება სახელმწიფო დაფინანსების (გრანტის) განაწილება.

— როდის და რა ფორმატით ჩატარდება წელს საერთო სამაგისტრო გამოცდა?

— სსგ-ის ტესტი შედგება ოთხი ნაწილისაგან. ეს ნაწილებია: წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა, ლოგიკა, რაოდენობრივი მსჯელობა. 2013 წელს (ისევე როგორც გასულ წელს) გამოცდის ჩატარება იგეგმება ივლისში, ორ დღედ. პირველ დღეს ჩატარდება გამოცდა პირველ ორ ნაწილში (წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა), მეორე დღეს კი - დარჩენილ ორ ნაწილში (ლოგიკა, რაოდენობრივი მსჯელობა). თითოეულ დღეს ორივე ნაწილში ერთად გამოცდის ხანგრძლივობა 2 სთ და 20 წთ იქნება (თითოეული ნაწილისათვის - 1 სთ და 10 წთ).

— როგორ იქნება კომპეტენციის მინიმალური ზღვარი და შეფასების სისტემა?

— საგამოცდო ტესტის წაკითხულის გააზრების ნაწილში ნავარაუდევია 20 - 23 დავალების შეთავაზება, ანალიტიკურ წერაში 2 დავალების, ლოგიკის ნაწილში 17-ის, ხოლო რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილში - 20-ის. კომპეტენციის მინიმალური ზღვარი თითოეულ ნაწილში, გარდა რაოდენობრივი მსჯელობისა, შეადგენს ამ ნაწილისათვის განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 30%-ს, ხოლო რაოდენობრივ მსჯელობაში - ამ ნაწილისათვის განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 25%-ს. მოცემულ ნაწილში აპლიკანტის მიერ კომპეტენციის მინიმალური ზღვარი ჩაითვლება გადალახულად, თუ მან დააგროვა ამ ნაწილის შესაბამისი მაქსიმალური შესაძლო ქულის დადგენილ ზღვარზე მეტი). სსგ-ის ტესტის სამი ნაწილის (წაკითხულის გააზრება, ლოგიკა, რაოდენობრივი მსჯელობა) თითოეულ დავალებას ახლავს 5 ან 6 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. თითოეული დავალება ფასდება 1, 0, ან -0,2 ქულით. სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა, თუ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა, ხოლო არასწორად გაცემული პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ, იწერება -0,2 ქულა). რაც შეეხება ტესტის ანალიტიკური წერის კომპონენტის ორ დავალებას, თითოეული მათგანი სწორდება წინასწარ დადგენილი სქემის მიხედვით. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის კონკურსში მონაწილეობის გაგრძელებისათვის აუცილებელია სსგ-ის ბარიერის დამლევა, რაც გულისხმობს საგამოცდო ტესტის 4 ნაწილიდან რომელიმე 3-ში მაინც კომპეტენციის მინიმალური ზღვრის გადალახვას. ამასთან, უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია: ა) თვითონ დააწესოს ის 3 ნაწილი, რომელშიც მოითხოვს კომპეტენციის მინიმალური ზღვრის გადალახვას, ბ) მოითხოვოს კომპეტენციის მინიმალური ზღვრის გადალახვა ტესტის ოთხივე ნაწილში, გ) დააწესოს კომპეტენციის უფრო მაღალი მინიმალური ზღვარი ტესტის ერთი, რამდენიმე, ან ყველა ნაწილისათვის.

— როგორ ხდება საკონკურსო ქულის დაანგარიშება?

— ჩარიცხვის პროცესში უმაღლესი სასწავლებელი სსგ-ს და გამოცდას სპეციალობაში ანიჭებს გარკვეულ კოეფიციენტებს (რომელთა ჯამი 100-ის ტოლი უნდა იყოს). უმაღლეს სასწავლებელს უფლება აქვს სსგ-ის ბარიერდამლეულ აპლიკანტთა სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა მოახდინოს მხოლოდ სპეციალობაში გამოცდის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი სასწავლებელი საჭიროდ მიიჩნევს ჩარიცხვის პროცესში სსგ-ის შედეგების გათვალისწინებას, მის მიერ სსგ-სათვის მინიჭებული კოეფიციენტი უნდა იყოს არანაკლებ 35-სა და არაუმეტეს 65-ის ტოლი. ამასთან, სსგ-სათვის მინიჭებული კოეფიციენტი უნდა ნაწილდებოდეს ტესტის ოთხივე ნაწილზე (თითოეული ნაწილისათვის მისანიჭებულ კოეფიციენტს განსაზღვრავს უმაღლესი სასწავლებელი, მაგრამ ეს კოეფიციენტი, თითოეული ნაწილისათვის, არანაკლებ 5-ის ტოლი უნდა იყოს). სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის საკონკურსო ქულის დაანგარიშება ხდება შემდეგი პრინციპის მიხედვით: სსგ-ის თითოეული ნაწილისა და სპეციალობაში გამოცდის ნორმირებული ქულები (მიღებული შეფასება გაყოფილი მაქსიმალურ ქულაზე) მრავლდება შესაბამის კოეფიციენტებზე და ჯამდება.

— როგორ უნდა მოიპოვოს მაგისტრანტმა საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება?

— საგრანტო კონკურსში მონაწილეობენ მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის კონკურსი. მაგისტრანტობის მსურველის საგრანტო ქულა წარმოადგენს მის მიერ ტესტის ოთხივე ნაწილში მიღებულ ნორმირებულ ქულათა ჯამს (გამრავლებულს გარკვეულ, ფიქსირებულ, მთელ დადებით რიცხვზე).

— რა სიახლეებია დაგეგმილი 2013 წელს საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარების ფორმატში?

— გასულ წლებში სსგ-ზე ყოველი აპლიკანტი (ყოველ მიმართულებაზე) აბარებდა ერთსა და იმავე საგამოცდო ტესტს. წელს (გასული წლების სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით) გადაწყდა, რომ უმჯობესი იქნება საგამოცდო ტესტების დიფერენცირება საგანმანათლებლო მიმართულებათა მიხედვით. შესაბამისად, სსგ-ზე შეთავაზებული იქნება რამდენიმე განსხვავებული სირთულის ტესტი. სსგ-ის ერთი და იმავე მიმართულებით ჩამბარებულ ყოველ ორ აპლიკანტს ერთი და იგივე ტესტი შეხვდება, თუმცა შესაძლებელია, სხვადასხვა მიმართულებაზე ერთი და იგივე ტესტი იყოს შეთავაზებული. ტესტებისა და მათი შემადგენელი ნაწილების შინაგანი სტრუქტურა არსებითად არ შეიცვლება (გარდა ანალიტიკური წერის ერთი ნაწილისა, რომელიც განკუთვნილი იქნება მხოლოდ იურიდიული მიმართულებით ჩამბარებულ მაგისტრანტობის კანდიდატთათვის). წაკითხულის გააზრების ნაწილი ყველა აპლიკანტისათვის ერთი და იგივე იქნება. განსხვავება სირთულეში შეეხება ლოგიკისა და რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილებს. თითოეული ამ ნაწილისათვის შედგება ორი სხვადასხვა სირთულის (უფრო მარტივი და უფრო რთული) დავალებები. ორი სხვადასხვა ტესტი ჩაითვლება განსხვავებულად, თუ ერთი მათგანის ერთი ნაწილი მაინც განსხვავებული იქნება (სირთულის ან სტრუქტურის თვალსაზრისით) მეორე ტესტის შესაბამისი ნაწილისაგან. მაგალითისათვის, სავარაუდოდ, ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულების ტესტის ლოგიკური და რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილების სირთულე უფრო მაღალი იქნება, ვიდრე იმავე ნაწილების სირთულე აგრარული მიმართულებისათვის. უფრო კონკრეტული ინფორმაცია ყველა ამ საკითხზე (განსხვავებული ტესტების რაოდენობა, მიმართულებათა ნუსხა და სხვა) ცნობილი გახდება უახლოეს პერიოდში.

— იგეგმება თუ არა ცვლილებები გრანტის განაწილების წესში?

— სახელმწიფო გრანტი გაიცემა მხოლოდ აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სამაგისტრო პროგრამებზე, სსგ-ის შედეგების მიხედვით. ამასთან, კონკურსში გამარჯვებული ის აპლიკანტები, რომელთაც სურვილი აქვთ გააგრძელონ სწავლა ისეთ სამაგისტრო პროგრამებზე, რომელთა სწავლის ღირებულება არ აღემატება 2250 ლარს, სწავლის ორი წლის მანძილზე ფინანსდებიან სრულად, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში გამარჯვებულ აპლიკანტებს გრანტის სახით წელიწადში (სწავლის ორი წლის მანძილზე) ეძლევათ 2250 ლარი. განსხვავებით 2012 წლისაგან, გრანტის მთელი მოცულობის 40% თანაბრად გადანაწილდება მიმართულებებზე, ხოლო დარჩენილი 60% კი - ე.წ. პრიორიტეტების მიხედვით. თითოეული მიმართულებისათვის გამოყოფილი თანხა განისაზღვრება ამ 40 და 60 პროცენტადან გამოყოფილი თანხების ჯამით. საგრანტო კონკურსში ერთმანეთს შეეჯიბრებიან მხოლოდ ის აპლიკანტები, რომელთა მიერ არჩეული სამაგისტრო პროგრამები ერთსა და იმავე მიმართულებას მიეკუთვნება, რაც მაქსიმალურად გამორიცხავს იმის საშიშროებას, რომ (ასეთი სისტემის არარსებობის შემთხვევაში) დაფინანსდეს მხოლოდ რამდენიმე სპეციალობა, სპეციალობათა დიდი ნაწილი კი დარჩეს დაფინანსების გარეშე.



სამაგისტრო ჯგუფის ხელმძღვანელი ივანე წერეთელი

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა — მთავარი მონაწილეობაა!

2007 წლიდან საქართველოში სასკოლო ოლიმპიადები ისევ იმართება. მესამე წელია საქართველოს მასშტაბით ოლიმპიადებში მონაწილეობას ასობით სკოლა იღებს. ყოველწლიურად იზრდება ოლიმპიადებში მონაწილეობის მიღების მსურველ ბავშვთა რაოდენობაც. სასკოლო ოლიმპიადების მიმართ სკოლის, საზოგადოების, მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, რაც მეტწილად თავად ოლიმპიადისადმი განსხვავებულმა მიდგომამ განაპირობა.

ეროვნული ოლიმპიადის ერთადერთი მიზანი ნიჭიერი, განსაკუთრებული უნარის მქონე მოსწავლეების გამოვლენა აღარ არის. ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენასთან ერთად მთავარი სასწავლო პროცესის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაზრდა და მოტივირება გახდა. სასკოლო ოლიმპიადებში მონაწილეობას მხოლოდ ნიჭიერი ან მასწავლებლის მიერ შერჩეული მოსწავლეები არ იღებენ, გადის ყველა, ვისაც საკუთარი თავის გამოცდის სურვილი და მოტივაცია აქვთ. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღების მსურველი მოსწავლეების რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება.

„მთავარი და მნიშვნელოვანი სწავლისადმი მოსწავლეების მოტივაციის გაზრდაა. როდესაც მოსწავლე პირველიდან მეორე ტურში გადავა, დარწმუნებული ვარ, მეორე წელს ის ისევ გავა და უკეთ მოემზადება. ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ დასახულ მიზანს მივაღწიეთ,“ - ამბობს გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი.



რატომ ვმონაწილეობ ოლიმპიადაში?

რუსთავის 24-ე საჯარო სკოლა, ოლიმპიადის შედეგების მიხედვით, ერთ-ერთი წარმატებული სკოლაა. ყოველწლიურად სხვადასხვა საგანში ათობით ბავშვი გადის ოლიმპიადაზე. თითოეულ მათგანს საკუთარი თავის გამოცდისა და წარმატების მიღწევის სურვილი ამომრავებს.

ანა, მე-11 კლასელი: „შარშან მესამე ტურში გადავედი გეოგრაფიაში, რუსულშიც გავედი მესამე ტურში, ისტორიასა და ბიოლოგიაში — ვერა. მინდა გამოცდილება მივიღო, ვერც ერთხელ ვერ გავიმარჯვე, მაგრამ მაინც ვცდილობ ყველა საგანში მივიღო მონაწილეობა, ახლა მე-2 ტურის შედეგებს ველოდები“.



თეონა, მე-11 კლასელი: „მეორე ტურში გავედი შარშან. წელს გავედი ქართულსა და გეოგრაფიაში. საინ-ტერესოა გამოცდილების მიღების თვალსაზრისით, ოლიმპიადებზე გასვლით უფრო მეტს ვიგებთ, ტესტები საკმაოდ რთულია,“ - ამბობს თეონა.

ტესტების სირთულის შესახებ საუბარს მისი თანაკლასელებიც შეუერთდნენ. ილია კვარაცხელია ამბობს, რომ მათემატიკაში ხშირად ისეთი სირთულის ტესტები ხვდება, რომ ბოლო ადგილზე გადის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს არ აბრკოლებს, მეტიც, ოლიმპიადაზე გასვლის მოტივაციას უფრო უმძაფრებს.

„ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ სწორ პასუხამდე მივდივარ, ვიგებ, რა შემეშალა,“ - ამბობს ილია კვარაცხელია.

ვახო, თანაკლასელებისაგან განსხვავებით, მხოლოდ იმ საგნებს ირჩევს, რომლებიც იცის. ამიტომ თითქმის ყოველ წელს საკუთარ კომპეტენციას ენებში ამოწმებს.

ნანას ოლიმპიადის შედეგები მომავალ წელს უკეთესი შედეგის მიღების სურვილს უმძაფრებს. „რადგან ვერ გავდივარ მესამე ტურში, ესე იგი, ნაკლებს ვმეცადინებო, შედეგების გაგების შემდეგ ყოველთვის ვცდილობ, შევაფასო შეცდომები. მოტივაცია საკმაოდ მაღალია, დიდი ტრავმაც არის, როცა რაღაცაში ვერ გადადიხარ, სტიმული მეტი გაქვს, რომ უკეთესად გააკეთო,“ - ამბობს ნანა.



ოლიმპიადაზე გადის ყველა, ვისაც სურვილი აქვს. ოლიმპიადების გამართვასთან დაკავშირებული ორგანიზაციული თუ სხვა საკითხების შესახებ თითქმის ყველა მოსწავლე ინფორმირებულია — რამდენად რთულია ტესტი, რას ამოწმებს, რა უნდა გააკეთონ



მომავალ წელს უკეთესი შედეგის მისაღებად და წარმატების შემთხვევაში ვინ რითი ჯილდოვდება. როგორც გაირკვა, მესამე ტურში გადასული და შემდგომ საუკეთესო ათეულში გასული მოსწავლეებისათვის პრიზებია დაწესებული. ჯილდოს მიღების სურვილი კი ოლიმპიადაში ბავშვების მონაწილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივია.

„შარშანაც მივიღე მონაწილეობა. როგორც წესი, ჩემი სურვილით გავდივარ ხოლმე ოლიმპიადებზე უფრო იმიტომ, რომ ინგლისში წასვლის შანსია. ოლიმპიადაში მონაწილე ბავშვები ფულად ჯილდოებსაც იღებენ,“ - გვითხრა გიორგიმ.

თამარ მესაბლიშვილი თითქმის ყოველ წელს გადის ოლიმპიადაზე. ქართული, ისტორია და ფრანგული მისი საყვარელი საგნებია, ყველაზე მეტად ეს სამი საგანი აინტერესებს და თავის გამოცდაც ამ სამ საგანში სურს.

„ოლიმპიადა იმ ცოდნას ამოწმებს, რომელიც სასკოლო სტანდარტებში არ ჯდება, — ამბობს თამარი. — სკოლის დონეზე შეიძლება ძალიან კარგი მოსწავლე იყო, მაგრამ ოლიმპიადაში გახვიდე და ნული ქულა აიღო.“

ძალიან მიყვარს კითხვა, როცა შემძლია, ყველაფერს ვკითხულობ, დაბალ კლასებში მასწავლებლებმა შეგვაჩვიეს და შეგვაყვარეს კლასგარეშე წიგნების კითხვა, გვირჩევდნენ, რა უნდა წავგვიკითხა. ახლა უკვე დამოუკიდებლად ვირჩევ, რა წავიკითხო“, — ამბობს თამარი.

სასკოლო ოლიმპიადების მიმართ მოსწავლეთა დამოკიდებულებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თავად სკოლა, სკოლის პედაგოგებისა და ადმინისტრაციის დამოკიდებულება. მნიშვნელოვანია, როგორ ეკიდება თავად პედაგოგი და სკოლა მოსწავლეთა მონაწილეობას, მათ შედეგებსა და მიღწევებს.

24-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან საუბრიდან ირკვევა, რომ სკოლისათვის მთავარი მათი მონაწილეობაა, სწორედ ამიტომ ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღების მსურველთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება.

ადრე ოლიმპიადაზე მასწავლებელს ჰქონდა გადაწყვეტი ხმა, ყველა მასწავლებელი ცდილობდა, რომ კარგი მოწაფე გაეშვა. ახლა გადაწყვეტილებას იღებს თავად მოსწავლე, რომელმაც შეიძლება ვერ გაიმარჯვოს, მაგრამ თუ სურვილი აქვს, უნდა გავიდეს. წელს თუ ვერ გავა, მეორე წელს გააუმჯობესებს შედეგს. სკოლის დირექტორის, მარინა უგულავას თქმით, ამგვარი მიდგომა 24-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს ოლიმპიადებში მონაწილეობის მოტივაციას უჩენს. ოლიმპიადებისადმი სკოლას მკაფიო და ჩამოყალიბებული პოლიტიკა აქვს. „ჩვენთვის ოლიმპიადა ერთ-ერთი დიდი მაჩვენებელია ბავშვის წარმატებისა, თუმცა წარუმატებლობისაც არ გვეშინია. არის შემთხვევები, როცა სასურველ შედეგს ვერ ვიღებთ, მაგრამ ამ პრაქტიკას ისევ ჩვენდა სასიკეთოდ ვიყენებთ. ვსხდებით და ვმსჯელობთ, რატომ ვერ მივაღწიეთ შედეგს, ამიტომ სკოლაში თითოეულმა ბავშვმა იცის, რომ მთავარი მონაწილეობაა,“ - განმარტავს სკოლის დირექტორი. მისივე თქმით, სწორედ ამ პოლიტიკის შედეგია ის, რომ ხშირად თავად მოსწავლეები სთხოვენ მასწავლებელს სხვადასხვა საგანში დამატებით მუშაობას. „სასკოლო პროცესი ბავშვზეა ორიენტირებული და თავიანთ საჭიროებებზე ხშირად თვითონ ბავშვები მიგვითითებენ, რაც სკოლასა და მოსწავლეს შორის თანამშრომლობის შედეგია,“ - ამბობს ქალბატონი მარინა.

ქალბატონი მარინა მასწავლებლის როლს მნიშვნელოვნად მიიჩნევს. „მასწავლებლები ამ ბავშვებთან მუშაობენ, საგაკვეთილო პროცესის შემდეგ რჩებიან, მსჯელობენ სხვადასხვა საკითხზე,“



- ამბობს ქალბატონი მარინა და დასძენს, რომ ამ პროცესში მასწავლებელი ფასილიტატორის როლშია, მოსწავლეს მიუთითებს ლიტერატურას, ეხმარება პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებაში.

„თავისთავად ცხადია, რომ რამდენიმე მეცადინეობით ოლიმპიადებში გამარჯვება წარმოუდგენელია. ეს ყოველდღიური მუშაობისა და სხვადასხვა პროექტში ჩართულობის შედეგია. ასე მალდება ბავშვებში ცოდნა და მოტივაცია, რომ გავიდნენ ოლიმპიადებზე,“ - ამბობს სკოლის დირექტორის მოადგილე.

სასკოლო ოლიმპიადებში სკოლის წარმატების განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ინდიკატორი სკოლის დირექტორისათვის სკოლაში გამართული სხვადასხვა ღონისძიებაა, საკლასო და კლასგარეშე აქტივობებია.

„ვიდრე ოლიმპიადა ჩატარდება, გარდა საგაკვეთილო პროცესისა, ჩართული ვართ სხვადასხვა პროექტში, მრავალმხრივ გამოცდილებას იძენენ ბავშვები, ეს მათ ოლიმპიადებისათვის ამზადებს,“ - ამბობს სკოლის დირექტორი.

სკოლაში იმართება სხვადასხვა შემოქმედებითი და შემეცნებითი ღონისძიება, რომლებიც მოსწავლეებს თავიანთი შემოქმედებითი უნარების რეალიზაციაში ეხმარება.

გასული წლის აპრილში ბავშვებს პენ-მართონი ჩავუტარეთ, წაიკითხეს ვაჟს თარგმანები. ერთ-ერთმა მოსწავლემ, თამარ მესაბლიშვილმა, ფრანგულ და ინგლისურ ენაზე თარგმნა ვაჟს ლექსი.

როგორც ქალბატონი მარინამ აღნიშნავს, კლასები ხშირად მართავენ საერთო ღონისძიებებს, ეჯიბრებიან ერთმანეთს სხვადასხვა საგნის ცოდნაში. მარინა ვადაჭკორია ასევე გამოყოფს მშობლების როლს სასკოლო ცხოვრებაში. „მშობლები ხშირად მოდიან და ინტერესდებიან სკოლის წარმატებით, ხშირად მშობლებისათვისაც ეწყობა სხვადასხვა შეჯიბრება, ამას წინათ ქართულის პედაგოგმა მარინა ვადაჭკორიამ ერთი ლექსის კონკურსი მოაწყო მასწავლებლებისა და მშობლებისათვის. ასეთი ღონისძიებები სკოლასა და მშობელს შორის ურთიერთობის, თანამშრომლობის გაღვივებასა და გაძლიერებას უწყობს ხელს“.

სასკოლო ოლიმპიადებში სკოლის წარმატების განმსაზღვრელ მიზეზებზე საუბრისას სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა მარინამ, სკოლის ისტორია გაიხსენა და აღნიშნა, რომ რუსთავის 24-ე საჯარო სკოლა, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, თითქმის ყოველთვის იღებდა საგნობრივ ოლიმპიადებში მონაწილეობას. სკოლა ასევე ჩართული იყო სოროსის მიერ ორგანიზებულ ოლიმპიადებში, სადაც ჯილდოს გამარჯვებული მოსწავლეებისათვის პედაგოგი იღებდა. შემდეგ წლებში ეს შეიცვალა და გამარჯვებული მოსწავლეებიც იღებდნენ ფულად ჯილდოებს. ამ პერიოდის გამოცდილებამ სასკოლო ოლიმპიადები სკოლის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად აქცია.



„მანამდე ჩვენ სკოლა აქტიურად იყო ჩართული, არა მარტო რესპუბლიკურ, არამედ სოროსის დასწრებულ და დაუსწრებელ ოლიმპიადებშიც. ჩვენ ქიმიასა და ბიოლოგიაში ბევრი გამარჯვებული მოსწავლე გვყავდა. ადრე იყო პროფილური სწავლება. გენრიეტა ჩახნაძემ 10-ჯერ მიიღო სოროსის ოლიმპიადების პრემია. ჩვენთან ასწავლიდა ნანა სენიაშვილი, ბიოლოგიის პედაგოგი, რომელსაც 9 პრემია აქვს მიღებული, პირადად მე, სოროსის 8 პრემია მაქვს,“ - ამბობს ქალბატონი მარინა.

24-ე საჯარო სკოლის მაგალითზე ირკვევა, რომ ოლიმპიადებში სკოლისა და მის მოსწავლეთა წარმატება სასკოლო ოლიმპიადებისადმი სკოლის სწორი პოლიტიკის შედეგია. მეტი მონაწილეობა, თანამშრომლობითი ურთიერთობა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის და ხშირად გამართული სასკოლო ღონისძიებები, კლასგარეშე და სხვადასხვა ტიპის პროექტში მონაწილეობა სკოლას თვითგანვითარებაში ეხმარება.

დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ სასკოლო ოლიმპიადები განახლებული ფორმით 2009 წლიდან იმართება. იქამდე სიტყვა „სასკოლო“ „საგნობრივით“ იყო ჩანაცვლებული და სახელთან ერთად განსხვავებული იყო მიდგომაც. გამოცდების ეროვნულ ცენტრს სასკოლო ოლიმპიადების ჩატარება 2009 წელს, ნიკა გვარამიას მინისტრობის პერიოდში, დაევალა. სასკოლო ოლიმპიადების ჩატარება გამოცდების ეროვნული ცენტრის საქმიანობის ჩამონათვალში ერთადერთია, რომელიც გამოცდა არ არის და, როგორც ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი აღნიშნავს, სწორედ ამიტომ მათი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი საქმიანობაა.

„ყველა მიჩვეული ვიყავით და ახლაც ვართ იმას, რომ ოლიმპიადა ასოცირდება საუკეთესო, ყველაზე ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენასთან. ეს ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მიზანია ოლიმპიადისა, მაგრამ მაშინვე ვფიქრობდით, რომ ეს ერთადერთი არ უნდა ყოფილიყო. არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება, თუ ეს საქმიანობა ხელს შეუწყობს მოსწავლეების მოტივაციის გაზრდას, ინტერესის გაღვივებას საგნების მიმართ. და, რაც ყველაზე მთავარია, მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ არა მხოლოდ ნიჭიერ მოსწავლეებსა და გამორჩეულებს კონკრეტულ საგანში, არამედ, თუ მას სურვილი აქვს, რომ თავის თანატოლებთან ერთად გამოვიდეს ოლიმპიადებზე, შეეჯიბროს, საკუთარი თავი გამოცადოს,“ - აღნიშნავს მაია მიმინოშვილი.

2009 წელს პირველი ტურის ნაშრომებიც გამოცდების ეროვნულ ცენტრში გასწორდა, თუმცა ამის შემდეგ ეს შეიცვალა და თავად სკოლას დაევალი პირველი ტურის ჩატარება, ნაშუქვების გასწორება და მეორე ტურში

გადასული მოსწავლეების სიების გამოქვეყნება. ეს ინიციატივა ქალბატონ მაია მიმინოშვილს ეკუთვნის, და მიზნად ოლიმპიადების მომზადების პროცესში სკოლების ჩართულობის წილის ზრდას ისახავდა.

„მანამდე პირველ ტურსაც ჩვენ ვატარებდით. პირველი ტური სასკოლო გახდა შარშან, რადგან მივხვდით, რომ სკოლებსაც უნდა მივცეთ თავისუფლება, რათა თვითონ შეარჩიონ მოსწავლეები მეორე ტურისათვის. თუმცა პირველ ტურშიც ტესტურ დავალებებს ჩვენ ვამზადებთ და ვაწვდით სკოლებს,“ - ამბობს მაია მიმინოშვილი.

სასკოლო ოლიმპიადების ფინალურ ტურში გადასული მოსწავლეებისაგან დგება ნაკრები გუნდები, რომლებიც შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობენ. საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილე ჩვენს ბავშვებს შთამბეჭდავი შედეგები აქვთ. გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის თქმით, მომავალი წლისათვის ქიმიისა და ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადებში გასვლას გეგმავენ.

„რაც შეეხება საერთაშორისო ოლიმპიადებს, წინა წლებში მათემატიკაში, ფიზიკასა და ინფორმატიკაში ვიღებდით მონაწილეობას, მაგრამ ახლა გვინდა, რომ სხვა საგნების ოლიმპიადებშიც მოვახერხოთ გასვლა, პირველ რიგში, ქიმიასა და ბიოლოგიაში. თუმცა ამისათვის ქვეყანა აუცილებლად ერთ წელს დამკვირვებლის სტატუსით უნდა მონაწილეობდეს და დეტალურად შეისწავლოს პროცესის მიმდინარეობა. სახელმწიფო მხოლოდ ამის შემდეგ აკეთებს განაცხადს და უფლება ეძლევა წარადგინოს ნაკრები. წელს გვინდა, რომ საქართველომ ქიმიის დამკვირვებლის სტატუსით მიიღოს მონაწილეობა,“ - ამბობს მაია მიმინოშვილი.

ლიკა ზაკაშვილი

ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადამი გამარჯვებული ნაწარმოებები

დაუსრულებელი სურათი (დიალოგი ზებუნებრივ ძალთა კაბინეტში)

— გამოუსწორებელი რომანტიკოსი ხარ, მოხუციო! — ღიმილით თქვა ლამაზმა მწვანეთვალემა ქალმა ოთახში შესვლისთანავე, — რომანტიკოსი და ოპტიმისტი! შენ, მგონი, ერთადერთს შეგრჩენია იმედი მათი გადარჩენისა... ოთახის ბოლოში ვერცხლისფერ მოსასხამში გამოწყობილი მოხუცი იდგა. თმაწვერი მთლიანად გაჭაღარავებოდა და ფანჯრიდან შემოსულ შუქზე, სწორედ რომ, ზებუნებრივად უელავდა. მან ახალმოსულს მრისხანე ცისფერი თვალები მიანათა დამაგიდასთანადგილზემითითა, რომლისგარშემოც უკვე იჯდა რამდენიმე მისტიკური ფიგურა. ქალიწელა მიუახლოვდა მაგიდას და წყნარად ჩამოჯდა სკამზე. — საშინელება მწვანე თვალებით, — სიცილით შენიშნა მაგიდასთან მსხდომთაგან ერთ-ერთმა და ცბიერი თვალები ახალმოსულს შეანათა. ქალს თითქოს ეწყინა, მაგრამ სახეზე ღიმილი გადაიფინა და სიცილითვე უპასუხა: — შექსპირიც რომანტიკოსი იყო! მან, უბრალოდ, ვერ შეძლო ჩემი კარგად შეთვალერება და მის თვალთაგან დაფარული ნაწილი თავისი რომანტიკული ფანტაზიით შეავსო, — შემდეგ სახეზე ღიმილი მოიშორა და გამყინავი ხმით, თუმცა წყნარად დასძინა: — საშინელება არაა ის სიტყვა, რომელსაც ჩემი არსის ბოლომდე გადმოცემა შეუძლია. უმალ სიჩუმე ჩამოვარდა. მოხუცი ფანჯარასთან იდგა და კაბინეტის სხვა წევრთა მოსვლას ელოდებოდა. როდესაც ყველა შეიკრიბა, ერთ-ერთი, როგორც ჩანს, ყველაზე გულადი დამსწრეთაგან, წამოდგა და რიხიანი ხმით იკითხა: — მოხუციო... განგვიმარტეთ შეკრების მიზეზი... მე... — მოხუცი არ კარგავს ადამიანთა გადარჩენის იმედს, — შეაწყვეტინა მწვანეთვალემა ქალმა, — მას სურს კიდევ ერთხელ სცადოს, კაცობრიობას საკუთარი შეცდომები შეაგნებინოს და გამოსწორების გზაზე დააყენოს... რაც, ჩემი აზრით, დროის ფუჭი კარგავა... — სიჩუმე! — ვირველად ამოიღო ხმა მოხუცმა, — თითოეულმა უწყოდეს ადგილი თვისი და ნუ გადავა ზღვარსა დაწესებულს! სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ოთახში იმ დროისათვის ათამდე ზღაპრული ფიგურა იქნებოდა შეკრებილი. — იტალიის სოფელ კარდინოში ცხოვრობს ერთი ბიჭი, ინაიმადა არის მისი სახელი. — როგორ? რა ჰქვია მას? — წამოიძახა კაცმა, რომელსაც თავზე ჯამბაზის ქუდი ეხურა. მოხუცმა წარბი შეიკრა და გაიმეორა: — ინაიმადა... უცებ კარი გაიღო და ოთახში, რომელშიც სუსხიანი, გაბზარული კედლები ძვირფასი ხალიჩებით შეიცვალა, ყმაწვი-ლი შემოვიდა. ის დამფრთხალი აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით, თუმცა გრძნობდა, რომ არ ეშინოდა, არც ეჭვი და არც სიმბდალე არ ეპარებოდა მის სულს; გრძნობდა, რომ უნდა მომხდარიყო ის, რაც მას სურდა გულის სიღრმეში. მაგიდა, რომლის გარშემოც სტუმრები შეკრებილიყვნენ, ჩაბნელები, შუქში მხოლოდ მოხუცი დარჩა. — შევილო ჩემო... — მიმართა მან ბიჭს, — ახლოს მოდი. ინაიმადამ გაბედულად გადადგა ნაბიჯი და მოხუცს მიუახლოვდა. იგი გრძნობდა, რომ ახლა მისთვის რაღაც უნდა ეჩვენებინათ, გრძნობდა, რომ უკვე აღარა... — უკვე აღარაფერი აღარ იქნება ისე, როგორც იყო ადრე, — წყნარად, მაგრამ ისეთი ხმით წარმოთქვა მოხუცმა, რომ კაცს მისი სიტყვები ფოლადისგან გამოჭედილი ეგონებოდა. — ვინ იცის, უკვე მერამდენეჯერ იცვლება ყველაფერი, — გაისმა ეჭვიანი ჩურჩული, — თუმცა ბოლოს აღმოჩნდება ხოლმე, რომ არც არაფერი შეცვლილა. მაგიდიდან, რომელიც წყვედიანად იყო ჩანთქმული, ეს ხმა მოისმა და კვლავ მიწყდა. მოხუცმა ხელი გაიქნია და კედელზე უზარმაზარი სურათი გამოისახა. მოქმედება სოფელში ხდებოდა. ხალხი ერთ რიგად ჩამწკრივებულიყო, ხოლო რიგის ბოლოს ვიღაც კაცი ტალახში ეგდო. მას ზემოდან კიდევ ერთი ეცემოდა, მის წინ მდგომის ჯოხის დარტყმისგან მუხლებმოკვეთილი. უკანა პლანზე მოჩანდა ხეები, ეკლესია, უცნაური პირამიდა... მაგიდიდან ერთ-ერთი წამოდგა და ნახატს მიუახლოვდა. ეს კაცი დამსწრეთაგან ყველაზე მსუქანი იყო. ქონი ფენა-ფენად ეწყო მის შესიებულ სხეულს. ქამარზე ქისა ეკიდა, რომლიდანაც სიარულის დროს მონეტები ცვიოდა... ეს, — თქვა მან და ჯოხით სურათზე გამოსახული რიგის ბოლოში მდგარ, თეთრ მოსასხამში გამოწყობილ და თვალებდახუჭულ კაცზე მიუთითა, — სინიორ არნოლფინია. გუშინწინ მან გადაწყვიტა, საკუთარი კაპიტალი მრგვალ ციფრამდე მიეყვანა და ერთადერთი შვილი მონად გაყიდა... თუმცა, ამბობენ, რომ ეს სისულელეა და შვილი უბრალოდ დაიკარგა... — ხოლო ეს, — კიდევ ერთი ფიგურა წამოდგა მაგიდიდან და სენიორ არნოლფინის შემდეგ მდგომ მღვდელზე მიუთითა, — პადრე ანდრეა... — დადიოდა ხმები, თითქოს იგი ხშირად შეუნიშნავთ ბორდელიდან გამოსული... არც მძიმე მარხვაში ხორცის ჭამას მორიდებია... ის კი არა, ხშირად ქუჩურ ორთაბრძოლებშიც მიუღია მონაწილეობა... ის გახლავთ ამ სოფლის სულიერი მამა. — სინიორა კავალდი... — თქვა მწვანეთვალემა ქალმა და ბიჭს მიუახლოვდა, — ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მას მთელი კვირის განმავლობაში ლუკმა არ ჩასვლია პირში... იმასაც ამბობენ... თუმცა რა საჭიროა ეს სენტემენტები, ყველამ იცის, რომ მის ეზოში მის მიერვე გამარცხული და მოკლული არაერთი ბავშვია დამარხული... და გარწმუნებთ... — ამ სიტყვებზე ქალმა გადაიხარხარა, — ეს მხოლოდ დასაწყისია...

ბიჭი ამ ყველაფერს გაოგნებული უყურებდა, თუმცა ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ეს სახეები მისთვის საოცრად ნაცნობი იყო. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მათ ყოველდღე ხვდებოდა ეზოში, ეკლესიაში, საკუთარ თავში... მასში! ინაიმადაში... მაგიდიდან კიდევ ერთი ფიგურა წამოიშორა და ნახატს მიუახლოვდა. ის შავ, ძვირფას მოსასხამში იყო გახვეული და თავი მაღლა ჰქონდა აწეული. მან მრავალმნიშვნელოვნად გადახედა დამსწრეებს და რიგის თავში მდგომ კაცზე მიუთითა: — ბატონი ვიქტორ გარტოლინი, უფრო სწორად, ბატონი ვიქტორ დე გარტოლინი, როგორც მას სურს, რომ უწოდებდნენ, მეზობელი სოფლიდან გადმოსახლებული გლეხია, თუმცა თავი აზნაურად მოაქვს. სურს, რომ ყველა მოწიწებით ეპყრობოდეს და მუდამ გზას უთმობდეს. ხშირად უშიშროა, რათა ძვირფასი მოსასხამი ეყიდა... ხოლო ის, ვისაც იგი ჯოხს ურტყამს, მისი ყოფილი მსახურია, იგი ტალახშია მოსროლილი, რადგან, როგორც ვიქტორ დე გარტოლინი ამტკიცებს, სიცრუის სენმა შეიპყრო, რამეთუ ამტკიცებდა, რომ... ბატონი დე გარტოლინი ერთი უბრალო გლეხია... — ხოლო ტალახში გადაგდებული პირველი პერსონაჟი ბატონი ფრედერიკო ბართოლომეა... — სინანულით თქვა მოხუცმა, — ის იყო ყველაზე პატიოსანი კაცი ამ სოფელში და, როგორც ჩანს, ამ პატიოსნებამ შეიწირა, რამეთუ ეს სოფელი ის ადგილია, სადაც პატიოსნება ერთ-ერთი მომაკვდინებელი ცოდვაა... დროებით სიჩუმემ დაისადგურა. ბიჭის თავში ფიქრები უსისტემოდ ირეოდა ერთმანეთში... — კი მაგრამ, სად იყურება ეს ხალხი? — იკითხა მან. — თავისი მზრძანებლისაკენ, — უპასუხა მოხუცმა, — ვნებებისაკენ. ყველას სხვადასხვა მზრძანებელი ჰყავს, მაგრამ მათ ყველას საერთო სახელი ჰქვია _ ცოდვა. _ მაგრამ... _ გაუბედავად დაიწყო ბიჭმა, _ ეს სურათი არ არის დასრულებული? მოხუცს გაეღიმა... გაეღიმა ნეტარი ღიმილით და გამოცოცხლებული თვალები შეანათა მაგიდასთან მდგომთ, რომლებიც ბიჭს გაკვირვებით მისჩერებოდნენ. — მართალი ხარ, შვილო ჩემო... — თქვა მოხუცმა, — აქ აკლია ერთი კაცი, კაცი, რომელიც უნდა გამოჩნდეს. ეს ხალხი ვნებებსაა დამონებული, ისინი საკუთარი ბიწიერი მიდრეკილებების ბრძანებებს ასრულებენ... — მაგრამ გესმის? იქ... შორს... ეკლესიის ზარი რეკავს... მტერი ძლიერია, შვილო ჩემო... ინაიმადას ბევრი მტერი ეყოლება, რამეთუ ესენი ყველგან არიან, თითოეულ თქვენგანში და მათ ესაჭიროებათ მხსნელი, ესაჭიროებათ კაცი, რომელიც სურათს აკლია, რომელიც არა მიეახლა სამყოფელსა ბოროტისა და არა დაიდგა გულში ბოროტების ტახტი. გასწი, შვილო, დაასრულე სურათი... ბიჭი უსიტყვოდ გაბრუნდა და კარისაკენ გაემართა. — ინაიმადა! — დაუძახა მოხუცმა, — ადამიანი იყავი... რამდენიმე წელიწადში ინაიმადა სახელს გადაირქმევს და ლეონარდო და ვინჩი გახდება.

სანდრო დოლიძე თბილისი, 34-ე საჯარო სკოლა, ქვედა ასაკობრივი ჯგუფი



1 მარტიდან "ქარჩხაძის გამომცემლობა" და გამოცდების ეროვნული ცენტრი იწყებენ ერთობლივ აქციას

ჩვენ ერთად ვავრცელებთ ცოდნას!

თუ თქვენ ხართ:

- საქართველოს სკოლის სერტიფიცირებული პედაგოგი;
- ან
- 2012 წლის ეროვნულ გამოცდებში გასული სტუდენტი და ყველა ჩაბარებულ საგანში საშუალოზე მეტი ქულა გაქვთ მიღებული;
- ან
- მიმდინარე წლის სასკოლო ოლიმპიადის მესამე ტურის მონაწილე მოსწავლე;

შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ **ქარჩხაძის გამომცემლობის** ვებსაიტზე **www.karchkhadze.ge** და ავტომატურად მოგენიჭებათ 17% ფასდაკლება ამ გამომცემლობის ნებისმიერ წიგნზე.

ფასდაკლება იმოქმედებს ნახევარი წლის განმავლობაში, 1 სექტემბრამდე, როცა, შესაძლოა, კვლავ გამოცხადდეს ასეთივე ფასდაკლება ამავე კატეგორიების განახლებულ წიგნზე.

საიტისგან წიგნების შეძენა შეგიძლიათ როგორც პლასტიკური ბარათით, ასევე სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით. და რაც მთავარია: წიგნები თბილისში მოგენოდებათ მითითებულ მისამართებზე, რეგიონებში კი — იქაური ლიბრთი ბანკის/ფოსტის ოფისში, ყოველგვარი დამატებითი გადასახადის გარეშე!

“მე ყოველთვის ვისჯებოდი იმის პირდაპირ და მკვახედ თქმისთვის, რასაც ვფიქრობ...”

პროლოგი

უხსოვარ დროში, როდესაც ადამიანი ჯერ მხოლოდ იზადებოდა, რომელიღაც ბესტიალურმა ძალამ შვა ხუთი ძმა: სისასტიკე, ფარისევლობა, ბოღმა, ძალადობა და უგუნურება. დადგეს თუ არა ფეხი მიწაზე, ძმები სამარადისო გზას გაუდგნენ და სადაც კი მივიდოდნენ, მტრედებს აფრთხოვდნენ, ოქროს აშავებდნენ და საკმევლის სურნელებას საკუთარი სიმყრალით რყვინდნენ.

და თუ სადმე მური ეყარა, ისე ედებოდა ცეცხლი, თითქოს დენთიაო... ჰაერი სიმზურვალთ აცახცახდებოდა, მიწა გასკდებოდა და იქიდან თითქოს შორეული ხარხარი მოისმოდა ძმათა წყეული მამისა...

ილუპებოდნენ საუკუნეები...

ძმა პირველი

—არ შეიძლება ერთი შეხედვით იმსჯელო ადამიანზე, — საუბრობდა დამრიგებელი. თუმცა ბავშვები, სიმართლე რომ ვთქვათ, მისი მოსმენით დიდად თავს არ იწუნებდნენ: ზოგი ერთ კუთხეში საქმეს არჩევდა, ზოგი თვალებს აჟუჟუნებდა, ზოგი `აუცილებელ საქმეზე` ლაპარაკობდა მობილურით, ზოგსაც უბრალოდ ფეხები შემოეწყო მერხზე და ეძინა, — შეიძლება გარეგნულად ულამაზესმა ადამიანმა შეგვზაროს, დახვეწილმა გულარძნილობით განგვაცვიფროს, შემზარავმა კი მოგვხიზლოს. იფიქრეთ ამაზე.

ამ გაკვეთილის შემდეგ ჯავახ ბექაური, თვრამეტოდე წლის ბიჭი, ჩაფიქრებული და ამ ფიქრით ტვინადუღებული, ნელი ნაბიჯით გამოემართა სახლისაკენ. თბილისში არაბუნებრივად ცხელოდა: ასფალტს ოხშივარი ასდიოდა, ცაზე გამოკიდებული ღრუბლის ნაგლეჯები მზის სიმზურვალისაგან თითქმის დნებოდნენ.

ქუჩაში მოძრაობა გადატვირთული იყო: დაქოქილი მანქანები ისედაც ბინძურ ჰაერს ჭვარტლავდნენ. შემელოტებული, შეღიპიანებული მძღოლები შუბლიდან ოფლს იწმენდნენ და რატომღაც უწმაწურად იგინებოდნენ, თან აღრენილნი აყვირებდნენ საკუთარ მანქანებს. დროგამოშვებით ბატებივით აყაყანდებოდნენ, კითხულობდნენ: “რა ჭირს ამ დედა...” თითქოს თავადვე არ იცოდნენ პასუხი.

იქით ვიღაც ცხოველივით ჭამდა ხაჭაპურს. მუშტისხელა ლუკმა გადაყლაპული არ ჰქონდა, რომ მოსვრილი ტუჩებით ახალს ეტაკებოდა, თან ნეტარებისაგან თვალებს ნაბავდა და დროგამოშვებით ძლივსგასაგონად კრუტუნებდა.

ქალაქის ერთ-ერთ მოედანზე რომ გავიდა, ჯავახმა უჩვეულო სურათი დაინახა: დაკონკილი, წვერგაბურმნილი, აყროლებული, სახეანგრეული ერთი გიჟი მთელი არსებით, ამოკვნესით შეიგინებოდა, თანაც უმისამართოდ, ყოველ წამს იფურთხებოდა, ყვიროდა: — ო, თქვენ, ო, თქვენი! ტირილზე უარესი ხარხარით გადაიხარხარებდასავით, მუშტებს შეკრავდა, ერთს ღრმად ამოისუნთქავდა, სწრაფად მოსწყდებოდა ადგილიდან და რომელიღაც შენობის ნაცრისფერ, ქვითა და ბეტონით ნაგებ კედელს ეჯახებოდა. შემდეგ ისევ ყველაფერს იმეორებდა.

უკვე გვარიანად დაჟეჟილიყო, სახე სისხლიანი ჰქონდა, წინა კბილები ნაწილობრივ ჩამსხვრეოდა, მაგრამ გაჩერებას მაინც არ აპირებდა.

— გიჟი თავისუფალია, ვერ ხედავ? ჰა-ჰა, მე ამისი... — მუხლზე ხელი დაირტყა ერთმა სიცილისაგან გაწითლებულმა ქართველმა.

— უფალო, შეგვიწყალო! — წაიჩურჩულა მანდილიანმა ქალმა (მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვევად ჰქონდა ამ სიტყვების თქმა), რომელსაც გაახსენდა, რომ შეიძლებოდა ეკლესიაში მისვლა დაჰგვიანებოდა. ეს რომ გააცნობიერა, ისე მოკურცხლა იმ ადგილიდან, რომ გიჟისაკენ საერთოდ აღარ მიუხედავს.

შემდეგ ჯავახის თანატოლები გამოჩნდნენ, კარგ განწყობაზე იყვნენ, ყველაფერზე ეცინებოდათ.

- რა კაცია! — შესძახა ერთმა ბიჭმა, — მოდი, ე, დავეხმაროთ!
- დავეხმაროთ, შენს ძმობას ვფიცავ! — უპასუხა ე. წ. ძმაცაცმა, — რას იტყვი, ნინ?
- კარგი რა, დაანებე თავი! — სიცილით თქვა “გერლფრენდმა”.
- არა, მაგარი იქნება, აი, “ცვეტში!” ჰე-ჰე! წამო, გიო, შენს ძმობას ვფიცავ!

ჯავახს გულმა რეჩხი უყო, კინაღამ გული აერია და სწრაფად მოშორდა იმ ადგილს.

ძმა მეორე

- ჯავახ, შენ მათი განკითხვის ნება ვინ მოგცა! _ უმტკიცებდა იმავეს ერთი კლასელი.
- არავის განვიკითხავ. ეგ ჩემი საქმე არაა. მე მათ ვამხელ!

— არც მაგის უფლება გაქვს!

— როგორ არ მაქვს! როგორ შეიძლება არ ვამხილო! ნორმალურია, როგორც იქცევა ეს ხალხი? ამათ ფსიქოლოგი სჭირდებათ, მღვდელი და მოძღვარი კი არა! რომის პაპის ინდულგენციებს პირველები ესენი იყიდდნენ შუა საუკუნეებში. ესენი თავს იმშვიდებენ იმით, რომ, რადგან წესებით ცხოვრობენ, ცოდვები მიეტევებათ! ცოდვების გამოსყიდვა სურთ, გესმით, სადამდე მივიდა ხალხი?! რაიმე ცვლილება რომ იყოს, კიდევ ჰო, მესმის, მაგრამ ესენი აიღებენ ფურცელს, ჩამოაწიკწიკებენ ცოდვებს, მივლენ, გამოისყიდნიან, და მერე ისევ, მერე ისევ, მეტი თუ არა, იმდენივე ცოდვა! ამიტომაც, რომ ეს შენი ეკლესიური ხალხი, რომელიც ასე ლამაზად ეტაკება ხორცს მარხვის დასრულების შემდეგ, თითქოსდა სავალდებულო ბორკილები ახსნესო, მგლადაა გადაქცეული. არა, გაიხედე, რა სახით დადიან, რას არ აკეთებენ, შეხედე და მერე მითხარი, რომ არ უნდა ვამხილო. თქვენ არ იღვწოთ, ჩემო ეკლესიურო ხალხო, ფურცელი, კალამი და იმისი ჯანი! მე შენ გეტყვი და, გაგიჭირდებათ ისევ იმდენივე ცოდვის ჩამორაკრავება! მიდით, დაიწყეთ!

— შენ არ გაქვს ამის თქმის უფლება! შენ მართალი არ ხარ და ამას ხვდები.

— მე? რა გინდა ჩემგან? ეს სად ვარ! — და როდესაც მეგობარი მოშორდა, ჯავახმა საკუთარ თავს ჰკითხა: — რა მჭირს? რატომ ვანთხევ ბოღმას? რატომ არ მწამს ადამიანის? ღმერთო, მი...

და აღარ დაამთავრა, შეეშინდა, იმ ქალივით არ გამოსვლოდა, გუშინ რომ გიჟთან ნახა. შემდეგ იმაზე დაფიქრდა, რამდენად სწორად მოიქცა და ამ ფიქრებმა ცრემლები მოჰგვარა.

ძმა მესამე

ჯავახი მეტროში იჯდა და ჩაფიქრებულიყო, როდესაც ვაგონში ერთი ქალი შემოვიდა ორი ქვასავით მძიმე ჩანთით. ქალს ვამბობ, თორემ ალბათ ყველაფერი ეთქმოდა, ქალის გარდა: გვარიანად გასუქებული, ჩანაოჭებული, წირპლიანი, უღვაშებიანი არსება, რომელიც ბაზარში მიდიოდა, რათა კარტოფილი გაეყიდა... კარტოფილი გაეყიდა... კარტოფილი...

ჯავახს გულ-მუცელი აეწვა, ისე შეებრაღა ეს ქალი. ტირილი მოუნდა ისევ, მაგრამ თავი შეიმაგრა, ჩაფიქრდა და უცნაური რამ “მოახდინა”...

— ახლა კი, ქალბატონებო და ბატონებო, კარტოფილის გამყიდველი ქალი გეტყვით თავის სათქმელს, სიმღერით, რა თქმა უნდა, _ გამოაცხადა რაღაც ხმამ. ვაგონში დახველდა და ლურჯი განათების ფონზე ქალი ნელა წამოდგა.

— მე ჩემს ბაღში კარტოფილი მომყავს... არ მომერიდოს, სიმართლე რომ ვთქვა... ჩემი ცხოვრება თავად კარტოფილია... ნუ იცინით, დიახ... ის კარტოფილია... მე ის მომყავს და ყველას ვურიგებ... მხოლოდ ეს გული ვერაფრით გაიგებს, მასში რა რჩებაა...

ჯავახი წამოიწია, მოეწონა სიმღერა, დააკვირდა და განაგრძო:

— მე ჩემს ბაღში კარტოფილი მომყავს... ო, როგორ მინდა ვუპოვო რამე ამ საქმეს..., რითაც დამინტერესებს, რითაც... თავს დამაკარგვინებს... ვიღაც წიგნებს წერს... ვიღაც თამაშობს... ვიღაც აცხობს ლექსს... ვიღაც კამათობს... მე კი ჩემს ბაღში კარტოფილი მომყავს... ვიცი, დიდი არაფერია, მაგრამ რაღაც ხომ არის...

ჩაფიქრდა.

— რაღაც ხომ არის... არიის...

ჩაფიქრდა. ჯავახმა ქალს შეხედა, ის კანკალებდა, მერე მწარედ გაიცინა, ორივე ჩანთა მოისროლა და:

— მე ჩემს ბაღში კარტოფილი მომყავს! ეს სულელური კარტოფილები რომ მოვიყვანო, თავბედს ვიწყევლი: თვეობით ვბარავ, ვთოხნი, ვწვალობ, ოფლს ვღვრი, წელეზე ფეხს ვიდგამ! და მე არარაობა გავხდი, აღარაფერი შემიძლია, აღარც ჩემს შვილებს შეუძლიათ! მხოლოდ კარტოფილები! ვიღაც ყავას წრუპავს მოდურ ქუჩაზე და სიგარეტს ეწევა... ვიღაც ოლიმპიადის ნაწერებს ასწორებს! ვიღაც თავის მოსაკლავადაა მზად! ვიღაც სიკეთის კეთებაში კვდება... მე კი, ამის მაგივრად, ჩემს ბაღში კარტოფილი მომყავს! წყეულიმც იყოს ყველა სხვა, არ გაიხაროს არავინ, ჩემს ბოღმაში ამოიხრჩობა მთელი სამყარო!... ჩემი ბოღმა საკმარისია, რათა მთელი სამყარო ამოიხრჩოს!...

— დიდუბე, — გამოაცხადა ვიღაცამ და ქალი კოჭლობით გავიდა ვაგონიდან...

ძმა მეოთხე

— კობალტის ქლორიდი საინტერესო ნაერთია იმით, რომ გამოიყენება საიდუმლო წერილის დასაწერად. მაგალითად, ჩვენ კობალტის ქლორიდით ვწერთ ფურცელზე, ის შრება, აღარ ჩანს. შემდეგ შევატობთ ცეცხლის ალზე და ნაწერი გამოჩნდება.

— კარგი რა, არ მოგბეზრდა! — დაიღრიალა ერთმა მოსწავლემ, ე. წ. “რაუ-რაუმ”.

— წესიერად ელაპარაკე დედისტოლა ქალს! — გაღიზიანებით უპასუხა ჯავახმა.

— რა, ბიჭო? ჩემი დედა... თუ ეგ შეგარჩინო, შენი...

ორიოდე წუთში “რაუ-რაუმ” და იმისმა ექვსმა მძაკვამა ჯავახი მოფარებულ ადგილას მიათრია. პირველი სამი მუშტი აიცდინა, მაგრამ მეოთხე მოხვდა და დააგდო. ჯავახმა წამებში შეცვალა სამყარო, უფრო სწორად, დანახა ისეთი, როგორც არის; ამაში მას საიდანდაც მოსული ცეცხლი დაეხმარა.

— ასეა, ძამია! — ყვირილით მღეროდა “რაუ-რაუ”, — ნებისმიერი საჯარო სკოლა! ასეა, ძამია! თბილისის საჯარო სკოლა! მოდით, ძმებო, ცალი ხელით დანა ჩავარტყათ, ცალით პირჯვარი გადავიწეროთ... ხომ იცით, ჩემი ხელით უკვე არაერთი დაჭრილა!

დანა არა, მაგრამ შვიდი კაცი ფეხებით შესდგა ჯავახს. მან კი სისხლი ამოიღო. “რაუ-რაუმ” თმებში ხელი მოჰკიდა და სახე სისხლში გაასვრევინა, თან ხითხითებდა და მღეროდა:

— მე მიყვარს ნებისმიერი საჯარო სკოლა! ასეა, ძამია! თბილისის ნებისმიერიიიიი... — ფეხი მოამზადა ბოლო დარტყმისათვის — საჯარო სკოლა!!!

ჯავახმა გონება დაკარგა.

ძმა მეხუთე

— მე შენთვის ვწვალობ! — ყვიროდა ჯავახის დედა მას შემდეგ, რაც ძლივს მოლასლასე შვილი ჩააბარეს. — მე შენთვის ვწვალობ! შენ კიდევ!... რა მოხდებოდა, ჩუმად რომ დამჯდარიყავი, რაც გინდა უთხრას იმ სულელმა მასწავლებელს!.. არ მინდა ასეთი შვილი მყავდეს!..

— რას მეუბნები, ვერ ვხვდები! რისკენ მიბიძგებ! არაფერი მექნა? ხომ არ გაგიჟდი?..

— გველო!... — შესძახა ქალმა — გველო!.. შენ განსხეულებული ბოროტება ხარ, შენი აზრები გგონია, არ ვიცი? ვიცი, ვიცი, რაც ხარ, რა გიჟიც ხარ! უფლება არ გაქვს სხვა ამაგო, თავად ხარ საძაგელი! მრცხვენია, რომ ასეთი შვილი მყავს, მარცხვენ ნათესაობაში, მეზობლობაში, ყველგან! მოვიდა ნაცემი, ბარემ მერე გამოთვერი და ქუჩაში დაეგდე! შენი ბოლო ეგ არის! — თვალბეჭით დიდი ბელადის სიყვარულმაც დაიკვესა.

რაო?.. ჰო. ეგ კი მართალი თქვი, ჯავახი ნამდვილად ქუჩაში დაასრულე ცხოვრებას! ჰა-ჰა!

— აღმოსავლეთიდან მტერი გიახლოვდება! — იყვირა ჯავახმა იმ მდგომარეობაში, რომელშიც არც ღვიძილია, არც ძილი, რომელშიც ამ ორის საზღვარზე მარადიული მძრწოლავი ნისლია, — ხუთი ძმა უკვე დიდი ხანია, რაც მოვიდა! ისინი აქ არიან, ჩვენ შორის, ჩვენში!... ვაი მას, ვინც ვერ ხედავს მათ! დაიჭერენ და ხუთივე შეჭამს მის ხორცს, დამშეულნი და ბრმანი! მე კი გადავრჩები და ერთადერთ გზას გამოვჩინებ, არ მივცემ ნებას შემჭამონ! მე ვიცი მხოლოდ... აი, სწორი გზა...

— შვილო, რას აპირებ...

ჯავახი სწრაფად გავიდა სახლიდან...

ეპილოგი

მთელი არსებით, ამოკვნესით შეიგინა, თანაც უმისამართოდ, ზიზღით გადმოაფურთხა, მუშტები შეკრა, ერთი ღრმად ამოისუნთქა, გაიღიმა, მოვდივარო, წაიჩურჩულა და სწრაფად მოსწყდა ადგილიდან.

.....
თქვენ საქართველოში ხართ...

ქვეყანაში, რომელშიც ერთმანეთს წარმოუდგენლად ავადმყოფური ფასეულობები ეჯაჭვება, ჭამენ, ყლაპავენ და ინელებენ...

თქვენც ნახევრად გძინავთ, თავს იტყუებთ, რომ ეს ნორმალური და დროებითია... რომ დადგება დრო და ყველა-ფერი გაივლის... ლანძღავთ მათ, ვინც არ გეთანხმებათ... ხანდახან ოდნავ ფხიზლდებით... ოდნავ...

თქვენ ფხიზლდებით...

გინდათ გაიღვიძოთ...

რათა ბოლოს და ბოლოს თავი დააღწიოთ საქართველოს უკლებლივ ყველა ავადმყოფურ ბორკილს... რომ-ლებმაც გიგანტურ რვიანად გადაგიქციეს ქვეყანა...

მაგრამ ეს...

შეუძლებელია...

ბექა არაშიძე
თბილისი, I საჯარო სკოლა, ზედა ასაკობრივი ჯგუფი

ინტერვიუ სტივენ ბაკერთან

ეს იყო “გარდამტეხი წამი” საქართველოს საგანმანათლებლო სივრცისთვის, საინტერესო პროცესი, რომელმაც მომცა საშუალება, ცოდნა და გამოცდილება გამეზიარებინა მათთვის. მთავარი მაინც ის არის, რომ მეც ბევრი რამ ვისწავლე. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ წარმატების მთავარი ხაზი სწორ მიზანსა და დიდ მონდომებაზე გადის..

სტივენ ბაკერი უკვე აღარ ითვლის, საქართველოში მერამდენედაა, თავს აღარც უცხო ქვეყანაში გრძნობს და აღარც სტუმრის სტატუსს ირგებს. ევროპის საერთაშორისო საგანმანათლებლო ასოციაციის პრეზიდენტი, ჰოლანდიის “დაჩ ტესტის” დამფუძნებელი და საერთაშორისო დონის ექსპერტი გამოცდების ეროვნული ცენტრის მთავარი კონსულტანტია. თბილისში ამჯერადაც კონკრეტული მიზნითა და რეკომენდაციით ჩამოვიდა.

— ბატონო სტივენ, თქვენ თავიდანვე იყავით ჩართული საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმაში, კარგად იცით, როგორ მზადდებოდა ერთიანი ეროვნული გამოცდები. როგორ იწყებოდა ყველაფერი?

— კარგად მახსოვს ის, რომ ცენტრს, რომელსაც იმ დროისთვის რეალურად გამოცდილება არ ჰქონდა, უდიდესი პასუხისმგებლობა დაეკისრა. მახსოვს განწყობა — ყველას ჰქონდა განცდა იმისა, რომ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებდა. რაც მთავარია, იყო დიდი ენთუზიაზმი, სწორი იდეა და ერთგულება საქმისადმი. ცენტრის დაკომპლექტება და თანამშრომლების გადამზადება მოკლე დროში მოხდა. ამ გადასახედიდან ვხვდები, როგორ ზუსტ გათვლას აკეთებდა ცენტრის ადმინისტრაცია თანამშრომლების შერჩევისა და მათი გადამზადების კუთხით. მაშინ უცხოელი კონსულტანტები გაკვირვებული ვიყავით, როგორ შეძლო ამ ხალხმა ასე უცებ, დიდი მონდომების ხარჯზე, ახალი ცოდნისა და უნარის ათვისება. ვთვლი, რომ 2005 წელი - ეს იყო გარდამტეხი პერიოდი ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის. პირველმა ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა შეცვალა არსებული სისტემა და განათლების მიღების ახალი სტანდარტი დაამკვიდრა. მოსახლეობა დარწმუნდა — უმაღლეს სასწავლებელში მიღების პროცესი გამჭვირვალე და სამართლიანი გახდა. არ დავმალავ, საზოგადოების ნაწილი სკეპტიკურად იყო განწყობილი. მოსამზადებელ პერიოდში შეხვედრები გვქონდა უმაღლესი სასწავლებლების რექტორებთანაც. ვატყობდი, მათ არ სჯეროდათ, ვერც წარმოედგინათ მისაღები გამოცდები, სამართლიანი, გამჭვირვალე, კორუფციის გარეშე. არ დამავიწყდება, ერთ-ერთი პირველი საგამოცდო დღე და აგრარული უნივერსიტეტი, სადაც საგამოცდო ცენტრი იყო გახსნილი. ეზოში ტელევიზორები იყო დამონტაჟებული. ცხელიყოფი, მიუხედავად ამისა, უამრავი ადამიანი იყო შეკრებილი. ეზოში გავედი. მაინტერესებდა ხალხის აზრი. ერთ-ერთმა ქალბატონმა, რომელიც ქოლგით ხელში იდგა და შვილს ელოდებოდა, ასეთი სიტყვები მითხრა: “ამ ეკრანიდან ვუყურებ ჩემს შვილს და ვხედავ, ყველას ერთნაირად ექცევიან, ექცევიან ისე, როგორც ადამიანებს და ეს ჩემთვის, დედისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანია”.



— რა სირთულეები იყო მაშინ და რა გამოწვევის წინაშე დგას ამჟამად გამოცდების ეროვნული ცენტრი?

— ეს იყო “გარდამტეხი წამი” საქართველოს საგანმანათლებლო სივრცისთვის, საინტერესო პროცესი, რომელმაც მომცა საშუალება, ცოდნა და გამოცდილება გამეზიარებინა. მთავარი მაინც ის არის, რომ მეც ბევრი რამე ვისწავლე. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი — წარმატების მთავარი ხაზი სწორ მიზანსა და დიდ მონდომებაზე გადის. წარმატება ასევე განაპირობა გამოცდების სწორმა ორგანიზებამ და უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებმა. იყო ბევრი კურორული მომენტი. გამსწორებლები ერთ-ერთი სკოლის შენობაში მუშაობდნენ, ყველაფერი დაცული იყო, სკოლაში შესვლა მხოლოდ სპეციალური საშვებით ხდებოდა. ერთხელ დავინახეთ, როგორ შეიპარა სკოლაში პატარა ლეკვი. რამდენიმე წამში ხმაური მოგვესმა. ყველა შესასვლელისკენ გავიქეციით. გაკვირვებულმა დაცვის თანამშრომელმა გვითხრა: “ძალი

არ შევუშვით შენობაში , მას ხომ საში არ ჰქონდა...” . ყველა აცნობიერებდა და პასუხისმგებლობით უდგებოდა იმას, რასაც აკეთებდა, რაც კონკრეტულ დროში ევალუბოდა. იმავე განწყობას ვხედავ ახლაც, წლების შემდეგაც. ცენტრის მთელი გუნდი ცდილობს დაუმტკიცოს საზოგადოებას , რომ ეს არის უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ გამოცდა.



მთავარია ზუსტად იცოდეთ, რას ემსახურება ტესტი და გამოცდა. მნიშვნელოვანია ჯერ კითხვის დასმა და გააზრება — პასუხიდან გამომდინარე იქმნება განსახვევებული მოდელიც. მაგალითად , თუ მისაღები გამოცდისთვის შექმნილ ტესტში მთავარი აქცენტი პრობლემის გადაჭრის უნარზე კეთდება , საუნივერსიტეტო გამოცდის დროს ყურადღება მიღებული ცოდნის შემოწმებას ექცევა. თავისთავად ერთი ტესტი მეორე დავალების კომპონენტსაც შეიცავს. მე პროფესიით ქიმიკოსი ვარ. რამდენიმეწლიანი პედაგოგიური საქმიანობის შემდეგ გამოცდების შექმნის სტრუქტურით, ფორმითა და შინაარსით დავინტერესდი . ეს ინტერესი დღითი დღე მეზრდება . ჩემთვის ეს არის “შემოქმედებითი” პროცესი, რომელსაც შემფასებელი და დამფასებელი ყოველთვის ჰყავს. ვცდილობ, ამ საქმიანობამ უფრო მეტი ადამიანის

მოთხოვნა დააკმაყოფილოს.

—თქვენი რეკომენდაცია, თქვენი რჩევები, რა მიმართულებით უნდა განახორციელოს გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა მომავალი საქმიანობა?

—პირველი და მთავარი რეკომენდაციაა — არ გააკეთოთ კომპრომისი ხარისხის ხარჯზე. მუდმივად ეცადეთ, მაღალი სტანდარტი დააკმაყოფილოთ, ღია იყოთ შემეცნებისა და სწავლისთვის. არ შეგეშინდეთ დანერგოთ სიახლე. თუ არ განვითარდი — ესე იგი, უკან მიდიხარ. გააფართოვეთ თვალსაწიერი და მუდმივად ემეხეთ სხვა საშუალებები, რომლებიც კიდევ უფრო მრავალფეროვანს და კომფორტულს გახდიან საგამოცდო სერვისების ფორმას. დღევანდელი გადასახედიდან სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ცენტრის წარმატების მთავარი ფაქტორი საზოგადოებასთან ურთიერთობა გახდა, ურთიერთობა იმათთან, ვინც ცენტრის მომსახურებით უშუალოდ სარგებლობს. ტესტის შექმნა — ეს მთელი მეცნიერებაა, მაგრამ თუ შეძლებ და ზუსტ ინფორმაციას მიაწვდი საზოგადოებას, მაშინ შენი ქვეყნის მოქალაქეები შენი ოპონენტები კი არა, მხარდამჭერები და თანამოაზრეები გახდებიან.

ესაუბრა თეიკო ანჯაფარიძე

ორი მასწავლებლის ერთი დღე

გაკვეთილი პირველი

სამასწავლებლოში შევდივართ, კომპიუტერის მონიტორზე ვორდის დოკუმენტი მოჩანს - სერიები და მწკრივები ამოსახეჭდად გამზადებული. მე-7 კლასელებთან იყო გაკვეთილზე, სწორედ მათ ასწავლიდა მყოფადის ხოლმეობით. უფრო ზუსტად, თავად ბავშვები არკვევდნენ, რის მიხედვით დალაგდა მწკრივები.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ღია გოგობიას, ვსტუმრობთ „კომაროვის“ სკოლაში. გაკვეთილის დაწყებამდე თავის სადამრიგებლოსთან მივყავართ და მე-7 კლასელებთან, როგორც თავად უწოდებს - „ყურცქვიტებთან“, გვასაუბრებს.

„ის მოსწონთ, რომ ვეუბნები, დღეს თქვენ ხართ ჟურნალისტები, ხვალ ოპერატორები, ზეგ — მკვლევრები მეთქი, უხარიათ, გამოაქვთ სანიშნი და სერიოზული სახეებით ფიქრობენ. ასე თუ არ ათამაშე, სხვანაირად არ გამოვა“.

მათემატიკურ კლასს ქართული ენის მასწავლებელმა ლიტერატურული ელემენტებიც შესძინა. მაგალითად, საათი, რომელსაც ვაჟას, ილიას, აკაკისა და გალაკტიონის ფოტოები ფარავს 3-6-9-12 საათებზე.

ზარის შემდეგ მე-9 კლასში შევდივართ. ქართული ენის გაკვეთილია. ღია გოგობიამ მოსწავლე დანიშნა მასწავლებლად და თანატოლებს სწორედ ის იძახებს დაფასთან. შემდეგ ბავშვები აფასებენ, როგორ იმასწავლებლა მათმა კლასელმა. მოგვიანებით ქალბატონი ღია სატელევიზიო გამოსვლებიდან ამოკრებილ შეცდომებს ურიგებს მოსწავლეებს, ისინიც ემბენ და ასწორებენ. შემდეგ პარონიმებს უხსნის და ბოლო დროის „მარგალიტებს“ — „არტილერია“ და „არტერია“ იხსენებს.

—მეორე გაკვეთილიც მეცხრე კლასში აქვს, ოღონდ მეორე მეცხრეში. იქ ბიოლოგიისა და ქართულის ენის ინტეგრირებული გაკვეთილისათვის ემზადებიან, რეპეტიცია აქვთ. ღია გოგობია გეგმას მაჩვენებს: ნიკო ლორთქიფანიძის „გული“, როგორც უსამშობლო კაცის ტრაგედია, ასევე, იდიომატური გამოთქმები და ფრაზეოლოგიზმები გულის შესახებ და „ბიოლოგიური გული“, მისი მუშაობა, ემოციები და დატვირთვა — ერთ პრეზენტაციაში უნდა განიხილონ. ჰო, ყველაფრის გეგმას წინასწარ წერს. ამბობს, რომ ამ დროს უფრო კარგი გაკვეთილი გამოსდის.



44 წლის ღია გოგობიას სამუშაო დღე დილაადრიან იწყება. რადგან წყნეთში ცხოვრობს, ეშინია არ დაავიანდეს და სკოლაში ნახევარი საათით ადრე მიდის. პირველ რიგში, სადამრიგებლოში ადის და პანსიონის სამ მოსწავლეს ეკითხება, როგორ ეძინათ.

„უდევოდ მეშვიდე კლასი მიმიმა, თორემ მერე რომ ეჩვევიან, აღარაფერი უჭირთ,“ - აღნიშნავს ქალბატონი ღია. კოლეგებთან ურთიერთობა და სიცილი ძალიან უყვარს. ფიზიკოსებს ყველასაგან გამორჩეულებად მიიჩნევს. ამბობს, რომ ისინი „ძალიან ფიზიკოსები და ძალიან ლირიკოსები არიან“.

პედაგოგობა გალში დაიწყო. შემდეგ დევნილი გახდა და თბილისის პირველ სკოლაში ჩამოიყვანეს. შემდეგ ენის ინსტიტუტში მუშაობდა. 2005 წელს სკოლაში დაბრუნება გადაწყვიტა. მაშინ „კომაროვი“ იყო საგამოცდო ნაწერების გამსწორებელთა კომისიაში, როდესაც დირექტორს თავისი პედაგოგიური წარსული გააცნო და სკოლაში მუშაობა ითხოვა. მას შემდეგ იქ ასწავლის და არაერთ პროექტშიც არის ჩართული.

„ახლა გვაქვს პროექტი - „ჩვენ, ენა და ქუჩა“. ვაგროვებთ ფოტოებს, რომლებიც ასახავენ ენობრივი ნორმების დამახინჯებას და ვამზადებთ 14 აპრილისათვის, დედაენის დღისათვის. მაგალითად, არის წარწერები: „თანხას აიღებთ ბანკომატის ქვემოთა ნაწილში“. ბავშვებიც, ტელევიზორს რომ უყურებენ და დამახინჯებულად საუბრობენ, ვეღარ არკვევენ, რომელია სწორი“, გვიყვება ქალბატონი ღია.

სერტიფიცირება პირველივე წელს გაიარა. ტესტები ძალიან მარტივი მოეჩვენა. თავიდან ისიც კი იფიქრა, რომ შეეშალათ და მოსწავლეების ტესტი მისცეს.

„გამოცდა ძალიან საინტერესო იყო იმ მხრივ, როგორ მოვერგებოდი სიახლეს,“ — აღნიშნავს ქალბატონი ღია.

ბრისტოლის გაცვლითი უნივერსიტეტის სტუდენტი ყოფილა და ინგლისურად კარგად სცოდნია. ამ ეტაპზე კიდევ ერთ პროექტზე — „მე, ენა და ქართველობა“ — მუშაობს. ფიქრობს, რომ კონსტიტუცია ირღვევა, რადგან დაწესებულებებზე ჯერ ქართული წარწერები უნდა იყოს და მერე ინგლისური.

„ჩვენთან ბევრ ადგილას სულ არ არის ქართული წარწერა. ვცდილობთ, რომ ქართული არ დაბინძურდეს და ბარბარიზმებს ვებრძოლოთ“.

სახლში გვიან მიდის, სადამოს 9 საათზე, რადგან სკოლაში ბევრი საქმე აქვს, პროექტებზე ბავშვები უნდა შეკრიბონ, მათი კითხვები განიხილონ, პროექტის სურათები გადაახარისხოვნ. რადგან „კომაროვის“ საიტის ადმინისტრატორიც არის, ინფორმაციის ყოველდღიურად განახლება უწევს.

„შემდეგ უამრავი კონკურსია, „ჩვენი სკოლის ლოგო“, „ჩვენი სკოლა“. ოკუპაციასთან დაკავშირებით... საქმე არის ბევრი. გაკვეთილებზეც ხომ უნდა იფიქრო, ხვალ ამდენი გაკვეთილი მაქვს, იმათთან ეს უნდა ავხსნა, ამათთან — ის. სულ გაკვეთილს ხომ არ ჩაატარებ, მათი სურვილები უნდა გაითვალისწინო, რომ თავი მოაწონო. ინტეგრირებული დაგეგმო, პრეზენტაციები გააკეთებინო“.

სახლში მისვლის შემდეგ შვილის საკითხებით ინტერესდება. პროფესიით მათემატიკოსს კითხვა არ უყვარს და დედას სთხოვს, წაუკითხოს და თავად უსმენს. „კითხვა არ უყვართ, კითხულობენ ერთ საათს და ამოცანას ხსნიან ერთ წუთში. მაყოლებს ამ მათემატიკის ვიენტის თეორემას და ათას რაღაცას. მერე ოჯახურ



საქმეებს ვაწესრიგებ, რადგან აქედან უკვე მომზადებული ვარ. ფილმსაც ვუყურებ, თუ ძალიან დაღლილი არ ვარ. გაკვეთილისათვის შევდომა როცა მჭირდება, საინფორმაციოსაც ვუსმენ“.

„სილქნეტის“ ახალი პროექტი მოსწონს - „საშინაო სკოლა“, სადაც გაკვეთილებია კლასების მიხედვით ჩამოწერილი. მიიჩნევს, რომ ეს გაკვეთილები მასწავლებლებს კარგ რაღაცებს აწვდის, თავადაც სწორედ ამით ერთობა.

„ვერ ვგრძნობ დაღლას. ზოგადად, ისეთი მოსაწყენია ცხოვრება, რომ თავად უნდა გაიხალისო. სულ მეკითხებიან, რატომ ხარ 44 წლის ქალი ასეთი ხალისიანი? იმიტომ, რომ ბავშვების ცხოვრებით ვცხოვრობ და ცუდ რაღაცებზე არ ვფიქრობ. ამისათვის დრო უბრალოდ არ მრჩება“, ამბობს ლია გოგოხია.

გაკვეთილი მეორე

— ჯემალი მოვიდა, ჯემალი. აი, კიდევ ერთი დაგვიანებული, ძალიან შორს რომ ცხოვრობს. — მწვანე პალტომოსხმული მასწავლებელი კარისკენ ბრუნდება და მოსწავლეს ღიმილით უთითებს მერხისკენ.

ამჯერად კასპის N1 საჯარო სკოლას ვსტუმრობთ. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთან, მარინა მენაბდიშვილთან, ვართ გაკვეთილზე. მე-10 კლასელებთან ერთად არჩევს ავთანდილის ანდერძს „ვეფხისტყაოსნიდან“.

მოსწავლეები ავთანდილის დამახასიათებელ ეპითეტებს მოიხმობენ, დასამახსოვრებელ აფორიზმებს ამბობენ, სხვა ლიტერატურულ პერსონაჟებთან ავლებენ პარალელს, ნასწავლიდან გამომდინარე, სხვადასხვა პერსონაჟს ახასიათებენ, გაკვეთილის ბოლოს კი მასწავლებელს ჰპირდებიან, რომ კიდევ აუცილებლად მიუბრუნდებიან ამ თავს.

ქალბატონი მარინას ერთი დღე, როგორც თავად ამბობს, ძალიან ჩვეულებრივად იწყება. ადრე დგება, რადგან საოჯახო საქმეებიც უნდა მოასწროს, მით უმეტეს, ზამთარში ჭირს, რადგან სიცივის გამო წყალი იყინება.

„ეს ყველა ქალის ხვედრია. ჩემი გასაკეთებელი რაც არის, იმას სხვა ვერ გააკეთებს. თანაც დიდი ოჯახია, სახლში პატარა გვყავს. ვიტვირთები, თუმცა არ მაწუხებს, ადვილად კეთდება“.



მერე გაკვეთილები იწყება. სკოლაში მიდის. ამბობს, რომ დიდი სიხარულით, რადგან ძალიან უყვარს სკოლა. გაკვეთილების შემდეგ კი სხვა სკოლაში მიდის.

„ძალიან კარგი სპეცსასწავლებელია. კარგი სკოლაა შედეგების თვალსაზრისით. ხშირად ისევ აქ ვბრუნდები, ბევრ რაღაცას ვაკეთებ, ვმუშაობ. ახლა ინგლისურისა და კომპიუტერის გამოცდისთვის ვემზადები. მინდა, რომ ჩავაბარო. ინგლისურსაც ვსწავლობ და კომპიუტერზეც ვმუშაობ,“ - ამბობს 53 წლის პედაგოგი და დასძენს, რომ ინგლისური არასოდეს უსწავლია, ფრანგული იცის კარგად და გული სწყდება, რომ ეს უცხო ენა „აღარავის სჭირდება“.

კლასში კი ხან რვეულებია გასასწორებელი, ხან გეგმა დასაწერი და ხანაც ტესტი შესადგენი, ცდილობს,

რომ შუალედებში შვილიშვილს მოეფეროს, პატარა ჰყავს, წლინახევრის. შემდეგ წიგნს კითხულობს, თუ მოასწრო, ტელევიზორს უყურებს, შემდეგ იძინებს და დილით ყველაფერი თავიდან იწყება.

სასერტიფიკაციო გამოცდები პირველივე წელს ჩააბარა. ამბობს, რომ არ გასჭირვებია. მიიჩნევს, რომ საგნის მასწავლებელს საკუთარ საგანთან ისეთი შეხება უნდა ჰქონდეს, რომ გამოცდის ჩაბარება შეძლოს.

„ეს ჩემი წესია, სხვათა შორის, ყოველთვის მიყვარდა გამოცდები. თან დროც ნაკლები მქონდა მეცადინეობისათვის, რადგან პარალელურად ვმუშაობდი, საგამოცდო ნაწერებს ვასწორებდი. მაგრამ საკუთარ საგანს უნდა მოერიოს ადამიანი, არ შეიძლება სხვანაირად“.

სერტიფიცირების შემდეგ დატვირთვა მოემატა. როგორც თავად ამბობს, განაკვეთზე ნაკლები დატვირთვა სერტიფიცირებულ პედაგოგს რომ არ უნდა ჰქონდეს, წესად იქცა სკოლებში.

„სერტიფიცირებული პედაგოგი სამი გვყავს კიდევ, პირველ წელს მე ვიყავი და მეორე წელს კიდევ სამმა ჩააბარა. ძალიან მიხარია, ჩემი კოლეგები ასე რომ მომყვნენ. ვთხოვდი, ერთად გავიდეთ-მეთქი. დარწმუნებული ვიყავი, რომ მაშინაც ჩააბარებდნენ“.

ღონისძიებებსა და შეჯიბრებებში ყოველთვის ერთვება. წელს ვაჟას იუბილესთან დაკავშირებით ჩაატარეს ღონისძიებები. თავადაც ჩაერთო თავისი პროექტით. ამბობს, რომ ძალიან უყვარს შეჯიბრებები.

„ბავშვებსაც უხარიათ და მეც. მიყვარს ინტელექტუალური თამაშები და ამ კუთხით სულ ვცდილობ, რომ სკოლას დავეხმარო, თუ საჭიროა სკოლაც წარმოვადგინო ხოლმე“.

ინტელექტუალურ თამაშებში სახლშიც ერთვება. ამბობს, რომ ძალიან უყვარს „რა, სად, როდის“ და თავს ამ კლუბის „ფანად“ თვლის. თუ თავისუფალი დრო რჩება, ხშირად ჯდება კომპიუტერთან და ცდილობს, კითხვებს უპასუხოს.

მარინა მენაბდიშვილის მოსწავლეებს ერთიან ეროვნულ გამოცდებსა და სასწავლო ოლიმპიადებზე უმაღლესი შეფასებები აქვთ ხოლმე. ამას მაინც პირობითს უწოდებს და ნაკადის დამსახურებად მიიჩნევს.

„მაგალითად, ძალიან კარგი ნაკადი მყავდა პირველი ერთიანი ეროვნული გამოცდების დროს. 7 აბიტურიენტი იყო ისეთი, 90 ქულაზე მეტი რომ მიიღო. ჩემი მოსწავლე იყო ერთადერთი, რომელმაც ასი ქულა დაიმსახურა. ამის მერე მეც ჩავერთე გამოცდების გასწორების პროცესში და წელიწადში ერთ ას ქულას არ ავცილებივართ. ალბათ, წელს უფრო გაჭირდება, რადგან ტესტის ფორმატი შეიცვალა ქართულში. წელსაც მყავს მე-12 კლასი. ერთი გოგონაა ძალიან კარგი და იმედი მაქვს, რომ მას ექნება მაღალი მაჩვენებელი“.

გაკვეთილზე ცდილობს მასალა თანამედროვეობას დაუკავშიროს და მოსწავლეების ინტერესებს მოარგოს, გააგებინოს, რომ ეს არ არის მხოლოდ აკადემიური რამ, რაც წიგნში ჩარჩა და ცხოვრებაში არ სჭირდებათ.

„ამას ვცდილობ ყოველთვის, რომ მათთვის ლიტერატურა იყოს ყოველდღიურობაში მოსახმარი, ზნეობის ასამაღლებელი და გამაფაქიზებელი საშუალება, ეს ვაგრძნობინო და გავაკეთებინო. სხვათა შორის, გადასარევედ



ივებენ. შეიძლება რაღაცა ვერ ისწავლონ, რაღაცა ჩააგდონ. რაღაც დეტალი ვერ დაიმახსოვრონ, მაგრამ იმას, რაში ეხმარებათ ლიტერატურა, მე მგონი, ვახერხებ, რომ ავუხსნა“.

განსაკუთრებით უფროსკლასელებთან მუშაობა უყვარს. ფიქრობს, რომ მათ უკეთ აგებინებს, რადგან მეტი ესმით და მასალის დამუშავებაც მათთან უფრო ადვილია.

„ზოგჯერ ნაწყენიც გამოვსულვარ გაკვეთილიდან, როცა ვერ ვაღწევ იმას, რაც მე მინდა, ან ბავშვი არ მოგდევს იმ დონეზე, როგორც გინდა. თანამედროვეობის პრობლემაა, კითხვასთან მწყრალად არიან და ყველანაირად ვცდილობ ეს დავძლიოთ. ძალიან ვცდილობ ტექნიკაც გამოვიყენო. ყოველთვის ვავალებ ინტერნეტში მოძებნონ მასალები, ეს მაინც ეხალისებათ“.

დროის დეფიციტს უჩივის და წუხს, რომ კითხვისათვის ძალიან ცოტა დრო რჩება. თუმცა მაინც ყველანაირად ცდილობს, დროს ფეხი აუწყოს და ახალი მწერლები გაიცნოს.

„ძალიან ბევრი რამ იბეჭდება, სხვა თუ არაფერი, ინტერნეტით

შემოდის ძალიან ბევრი წიგნი. ვცდილობ, მაგრამ გული მწყდება, რომ დრო სწრაფად მიდის და არ გრჩება იმდენი, რამდენიც გინდა“.

შაბათ-კვირასაც, როგორც თავად უწოდებს, „მოჯადოებულ წრეს“ ვერ შორდება - წიგნები, წიგნები, წიგნები. ახლა ძველს დაუბრუნდა. სიცოცხლეში 50 წასაკითხი წიგნის ფარგლებში აკუტაგავას ჩაუჯდა. ისე კი, ცდილობს უფრო ახალ, თანამედროვე მწერლებსაც მიაქციოს ყურადღება.

„თუმცა ძველიც მიტაცებს. თუ მიყვარს წიგნი, შემიძლია ძალიან ბევრჯერ წავიკითხო. ძალიან მიხარია, რომ მოსწავლეებიც მივაჩვიე“.

ახლა ანთოლოგიაზე მუშაობს მოსწავლეებთან ერთად. სკოლაში აკეთებენ პროექტს და ერთი სული აქვს, როდის იქნება პრეზენტაცია, საყვარელი ლექსების ანთოლოგია უნდა წარმოადგინონ ბავშვებმა.

„საინტერესო ყოველთვის რაღაც არის, პლუსიც და მინუსიც. ყოველ სადამოს უნდა ჰკითხო საკუთარ თავს, რა გამომივიდა ან რა არ გამომივიდა. შეჩერება არ შეიძლება, ყოველთვის უნდა იბრძოლო ამისათვის“, — ამბობს ქალბატონი მარინა.

მარი ახსიაშვილი

მეცნიერებისა და განათლების გარეშე საქართველოს მომავალი არა აქვს

— როდის დაინტერესდა „სიცოცხლის მომღვრებით“, რატომ აირჩია სამეცნიერო კვლევის საგნად ტვინი, რატომ უნდა იყოს თავისუფალი ადამიანი მეცნიერული კვლევის დროს და როგორ გახდა ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორი „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კომისიის წევრი — დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, შვედეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერი ზაალ კოკაია ჟურნალ „naec.ge“-ს ვრცელ ინტერვიუზე თანხმდება.

— ბატონო ზაალ, თქვენ ბრძანდებით განათლებისა და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კომისიის წევრი — რამდენად მოულოდნელი იყო თქვენთვის ეს შემთავაზება?

— ეს შემთავაზება მე პირადად მივიღე არა მთავრობიდან, არამედ გაა დვალისგან და ეს ნამდვილად არ იყო ჩემთვის მოულოდნელი. გას უკვე დიდი ხანია ვიცნობ და ჩვენ ბევრჯერ გვექონია მრავალსაათიანი დისკუსიები, თუ როგორ უნდა გარდაიქმნას და განვითარდეს მეცნიერება და განათლება საქართველოში. ბევრი წლის წინ გაამ მიიღო წინადადება, გამხდარიყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. მაშინ გას პირადად არ ვიცნობდი. ამისდა მიუხედავად, გა დამიკავშირდა და შემომთავაზა, ერთად მოგვეფიქრებინა უნივერსიტეტის რეორგანიზაციის და თანამედროვე დონეზე აყვანის გზები. მე, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი. მოგვიანებით გაამ უარი თქვა რექტორის თანამდებობაზე, მერე მე შემომთავაზეს რექტორობა და გარკვეული დროის მერე მეც უარი ვთქვი. მიზეზი ორივეს განსხვავებული გვექონდა, მაგრამ ჩვენი სურვილი - წვლილი შეგვეტანა საქართველოში მეცნიერებისა და განათლების განვითარებაში - მსგავსი და ურყევი იყო და დარჩა. იმედი გვაქვს, რომ მოგვეცემა საშუალება განვხორციელოთ ჩვენი იდეები და კონცეფცია, რომელიც დაფუძნებულია მსოფლიო პრაქტიკაზე და ჩვენს პირად გამოცდილებაზე. კომისიის საინიციატივო ჯგუფში ასევე შედიან დავით ლორთქიფანიძე და ვაჟა ბერეჟიანი. ისინი არიან ძალიან გამოცდილი და თანამედროვე მეცნიერები და პედაგოგები. ჩემთვის ძალიან დიდი პატივი და სიამოვნებაა მათთან ერთად მუშაობა. გაამ შეძლო შეეკრა თანამოაზრეთა გუნდი, რომელიც ძალზე ენერგიულად და იმედია ნაყოფიერად მუშაობს ახალი კონცეფციების ჩამოყალიბებისთვის.



— კომისია ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით მუშაობს, მუშავდება კონცეფცია ზოგადი და უმაღლესი განათლების შესახებაც. თქვენი აზრით, სისტემის რეფორმირების პროცესში კონკრეტულად რაზე უნდა გაკეთდეს მთავარი აქცენტი?

— ჩვენ ვთვლით, რომ მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს ადამიანებზე, რომლებმაც უნდა გააკეთონ საქმე და ცხოვრებაში გაატარონ კონცეფციის დებულებები. მასწავლებელი, ლექტორი, მეცნიერი - ის ხალხია, რომელმაც უნდა მოახდინოს სისტემის გარდაქმნა. ჩვენ გვინდა ვიაროთ ევოლუციური გზით - გამოვარჩიოთ ძლიერი, მცოდნე, უნარიანი და მაღალი პოტენციალის მქონე ადამიანები და მათ მივცეთ შანსი გარდაიქმნან სისტემა. ამასთან ყველას ეძლევა თავის გამოვლენის ერთნაირი პირობები და წარმატებულის წარმოჩენა და სტიმულირება არ ხდება წარუმატებლის ხარჯზე. ერთ რამეზე უნდა შევთანხმდეთ - არ არსებობს ცუდი მოსწავლე ან სტუდენტი, არსებობს მასწავლებელი და ლექტორი, რომლებსაც არ შესწევთ უნარი ან არ აქვთ მოტივაცია, რომ თავიანთი საქმე წარმატებით შეასრულონ. ჩვენი კონცეფციის მიზანია გამოვლინდეს უნარიანი და მონდომებული ხალხი და მათი წახალისებისა და მხარდაჭერის გზით არსებული განათლების და მეცნიერების სიტემა გახადოს თანამედროვე და ეფექტური. ჩვენ სისტემა კი არ უნდა მოვარგოთ რეალობას, არამედ უნდა შევთანხმდეთ ოპტიმალურ და გამოცდილ სისტემაზე და დავსახოთ გზები, თუ როგორ მივალწიოთ ამ სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებას ჩვენს სინამდვილეში. ამას შეიძლება წლები დასჭირდეს, მაგრამ შეუძლებელი არაფერია, მთავარია კეთილი ნება და ბევრი მუშაობა.

— როგორ ფიქრობთ, რა შეცვალა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა? უმაღლესი სასწავლებლის შესახებ ხედავს სამ მთავარ რამეზე დგას - აკადემიური თავისუფლება, მიუკერძოებლობა, დაცულობა. რამდენად უქმნის ფონს ეს გამოცდა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს დააკმაყოფილონ მაღალი სტანდარტი?

— მე პირადად ვთვლი, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდა წინა წლებში განხორციელებული განათლების სისტემის რეფორმის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული მონაპოვარია. რა თქმა უნდა, ბევრი შეიძლება ვიმსჯელოთ დეტალებზე და ვიკამათოთ თუ რამდენი გამოცდა უნდა ჩატარდეს და სად და ა.შ. მაგრამ ეს ჩემთვის არაა პრინციპული -

პრინციპული არის ის, რომ ყველა მოსწავლეს მიეცეს ერთნაირი შესაძლებლობა გამოავლინოს თავისი ცოდნა, მიიღოს ობიექტური შეფასება და მხოლოდ ამ შეფასების საფუძველზე მოიპოვოს შანსი, რომ გააგრძელოს თავისი განათლება და აირჩიოს სასურველი პროფესია. ეს არის ზუსტად ჩვენი კონცეფციაში ჩადებული კომპონენტის, აკადემიური მიუკერძოებლობის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა. მოსწავლისა და სტუდენტის ცოდნის ობიექტური და სამართლიანი შეფასებიდან იწყება მიუკერძოებლობის ის პრინციპი, რომელიც მთელი კარიერის მანძილზე უნდა გასდევდეს თანამედროვე მკვლევარს და პედაგოგს.

— რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ საქართველოს ინტელექტუალური სივრცე გაჯანსაღდეს, სწორი იდეა კი ეფექტურად შეიფუთოს?

— ალბათ, უპირველესად უნდა ვირწმუნოთ, რომ მეცნიერებისა და განათლების გარეშე საქართველოს მომავალი არა აქვს. ამის შემდეგ შევარჩიოთ ეფექტური სისტემა და ყველამ ერთად, მეთოდურად და დაულალავად დავიწყოთ ამ სისტემის იმპლემენტაცია და ამით მივცეთ ჩვენს ქვეყანას გადარჩენის შანსი.

— რა როლს თამაშობს პედაგოგი განათლების მიღების პროცესში, რამდენად განსაზღვრავს და აყალიბებს მასწავლებლის სწავლების ფორმა მოსწავლის კრიტიკულ და შემეცნებით აზროვნებას, არის თუ არა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა კარგი პედაგოგის გამოვლენის საუკეთესო ხერხი?

— პედაგოგი არის მთელი სასკოლო განათლების სისტემის ხერხემალი. მასზე დამოკიდებულია ამ სისტემის ნორმალური ფუნქციონირების ლომის წილი. ყველა ოჯახში არის ბავშვი, ყველას ჰყავდა, ჰყავს ან ეყოლება მოსწავლე შვილი ან შვილიშვილი. ამდენად, სასკოლო განათლება ყველას ეხება და ამიტომაცაა ჩვენი მოსახლეობა ასე მგრძობიარე ყოველივე იმის მიმართ, რაც ხდება ამ სისტემაში. როგორი კარგი სისტემაც არ უნდა ავირჩიოთ, როგორი კარგი პროგრამები და სახელმძღვანელოებიც არ უნდა შევქმნათ, პროფესიონალი და წარმატებული პედაგოგის გარეშე არაფერი გამოვა. ამიტომაც მე პირადად ვთვლი, რომ ყველა ჩვენგანის ვალია ერთად, მთელმა საზოგადოებამ ვიზრუნოთ ამ პროფესიის პრესტიჟისა და ხარისხის ამაღლებაზე. რაც შეეხება პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდას, მე ვთვლი, რომ ეს კარგი, მაგრამ არასაკმარისი მიდგომაა მასწავლებლების დონისა და ხარისხის დასადგენად. მომავალში, ალბათ, სასურველია, რომ გამოცდასთან ერთად სერტიფიცირების კომპონენტები იყოს გასაუბრება და მასწავლებლის პორტფოლიო.

— ბატონო ზაალ, თქვენ თავად რამდენად გეხმარებათ თქვენი პედაგოგიური გამოცდილება ზუსტად დაინახოთ და განსაზღვროთ, საქართველოს განათლების სისტემის რომელ საფეხურზე რა პრობლემებია და როგორ უნდა მოხდეს მათი გადაჭრა?

— ალბათ, პირადი პედაგოგიური გამოცდილების გარეშე ძალიან ძნელია მხოლოდ თეორიის ხარჯზე განათლების სისტემაში პრობლემების იდენტიფიცირება და რაიმე ქმედითი ზომების დაგეგმვა. შვედეთში წასვლამდე სკოლაში ვასწავლიდი ბიოლოგიას, ახლა კი უკვე მრავალი წელია ლუნდის უნივერსიტეტში ვასწავლი სტუდენტებს, თბილისში კი თსუ-ს სამედიცინო ფაკულტეტის დოქტორანტებთან მიმყავს 2 კურსი. ასე რომ, საკმაოდ დიდი პრაქტიკული გამოცდილება მაქვს საქართველოშიც და შვედეთშიც, რაც უდავოდ მეხმარება პრობლემის დანახვაში და მათი გადაჭრის გზების ძიებაში.

— საუბრის ბოლოს თქვენთვის, ალბათ, უკვე ბანალური და მკითხველისთვის ერთ-ერთი საინტერესო კითხვა, რომელზეც პასუხი ყველა ჩვენგანს აინტერესებს — რატომ აირჩიეთ სამეცნიერო კვლევის ძირითად საგნად ადამიანის ტვინი?

— საინტერესო კითხვაა, მაგრამ ჩემთვის პასუხი ძალზე მარტივია: რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო სახალისო და მისტიკური, რომ ადამიანმა ტვინის გამოყენებით შეისწავლოს თავისივე ტვინი. ალბათ, ეს უწყვეტი პროცესია და ბოლომდე ჩვენი ტვინი ვერასდროს შეძლებს საკუთარი საიდუმლოებების ამოხსნას. ჩვენ დღეს ძალიან ბევრი რამ ვიცით ტვინის შესახებ, ცალკეული გენისა და მოლეკულის დონეზე, მაგრამ ეს, ალბათ, ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, თუ რამდენ საიდუმლოს გვიმაღავს ჩვენ საკუთარი ტვინი. მე ჩემს კოლეგებთან ერთად ვცდილობ დავეხმარო დაზიანებულ ტვინს აღიდგინოს საკუთარი უნარი და დაიბრუნოს ის ფუნქციები, რომლებიც დაზიანებამდე ჰქონდა. ამის განხორციელებას ვცდილობთ იმ ღეროვანი უჯრედების ხარჯზე, რომლებიც თავად ტვინს აქვს ან რომლებიც შეგვიძლია გადავწეროთ ტვინში. ეს ყველაფერი ჯერჯერობით ექსპერიმენტულ დონეზე ხდება, თავგებასა და ვირთავებში, მაგრამ ჩვენ ღრმად გვწამს, და ექსპერიმენტული მონაცემები იძლევა იმის იმედის საფუძველს, რომ მოვა დრო და ამ მიდგომით შევძლებთ დაზიანებული ნერვული სისტემის მქონე ადამიანების დახმარებას.



ესაუბრა თეიკო ანჯაფარიძე

„მოგესალმებათ ქართული ანბანი“

- ახლა რა გვაქვს?
- ანბანი.
- ანბანის მერე?
- ბუნება.
- ბუნების მერე?
- მუსიკა.
- მუსიკის მერე?
- არ ვიცი.

ეს ლუკას და დათოს საუბარია. ორივე პირველ კლასშია და ორივე უსინათლოთა 202-ე სკოლა-პანსიონში სწავლობს. პარასკევს პირველი ქართულის გაკვეთილი აქვთ, ახლა სწავლობენ ანბანს.

— ამოიღეთ „ბუქები“, ბავშვებო, - მზექალა მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს ეხმარება კომპიუტერის გახსნასა და ჩართვაში. ყურსასმენის მორგების შემდეგ კი 6-ბავშვიანი კლასისთვის ანბანის გაკვეთილი იწყება.

„მოგესალმებათ ქართული ანბანი,“ - ისმის „ბუქში“ დაინსტალირებული სპეციალური ხმოვანი პროგრამიდან, რომელიც მოხმარების წესებს უხსნის მოსწავლეებს, სარჩევისა და აღწერისკენ უთითებს მათ. ბავშვები ჯერჯერობით ვარჯიშობენ, კლავიატურას უნდა შეაჩვიონ თითები და კლავიშების რიგითობა ისწავლონ — რომელი დილაკი რომელ ასოს გამოხატავს. ამჯერად ზედა ხაზზე განლაგებულ დილაკებს სწავლობენ, თითოეულის დაჭერაზე ყურში ესმით ხმა - რომელი რომელი ასოა, სწორედ ეს უნდა დაიმანსოვრონ — სმენა და ხელი მიაჩვიონ.

ანბანს მხოლოდ კომპიუტერით არ სწავლობენ. სპეციალური საჭიროების ადამიანებისთვის შექმნილი ბრაილის შრიფტით უნდა წერონ მომავალში. ამიტომაც მერხებში შენახულ დაფებს და ქაღალდებს იღებენ ჩხირებითურთ.

„მომავალ შეხვედრამდე,“ — ისმის „ბუქის“ ხმა და ითიშება. პირველკლასელები კი ბრაილის დაფას ერკინებიან. ჯერ ჩაჩხვლებს ეჩვევიან, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე წერტილები აქვთ დავალებად, როგორც იამზე მასწავლებელი უხსნით, ეს ციფრების წერტილებია, თუ ვერ ისწავლეს, რიცხვებს ვერ დაწერენ.

კლასის დამრიგებლის, იამზე ლებანიძის თქმით, ჯერ შეგრძნებები უნდა დაამუშაონ, მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდებიან, რომელ უჯრაში უნდა დაწერონ ან რომელი წერტილია გამოტოვებული. წერა რომ ისწავლონ, თითო ძალიან პატარა უჯრაში 33 ჩხვლეტა და თითოეულის ადგილის განსაზღვრა მოუწევთ.

— მასწ., მომეხმარები? სკამი მოიტანე შენთვის, მასწ., — უყვირის მზექალა მასწავლებელს 5 წლის ლუკა. ბიჭუნა მოზრდილ, შუბლზე ჩამოფხატულ თმას ისწორებს, მარჯვენა ფეხს სკამის ქვეშ დებს და მარცხენით აწევს. ხმაურობს, არ ისვენებს, კლასელებს შენიშვნას აძლევს და მასწავლებელს დაჟინებით უხმობს.

მასწავლებელი ჯერ მარიამთან არის. მას, მხედველობის გარდა, მეორადი ფსიქოსენსორული პრობლემებიც აქვს და მეტი ყურადღება სჭირდება. სკოლის დირექტორი ხათუნა ჯალაღონია ხელს ხელზე ჰკიდებს მარიამს და ჩაჩხვლეტაში ეხმარება.

მასწავლებლის მოლოდინში 5 წლის ლუკა სიმღერის ხასიათზე დგება. „არ ვიცი შენი თვალეები, რამ შემაყვარა, მაყვალა,“ — ხმამაღლა ღიღინს იწყებს. (სკოლაში სიმღერის ჯგუფებიც აქვთ, პირველკლასელი ლუკა სწორედ იქ მღერის). შემდეგ ჩხირს იღებს და სახლში დაწყებულ ჩაჩხვლეტებს აგრძელებს.

„ძალიან რთულია ანბანის სწავლა, თუ კარგად ვერ გაიგებენ, დიდხანს სჭირდებათ მუშაობა, პირველკლასელებს განსაკუთრებით ძალიან უჭირთ,“ — ამბობს იამზე ლებანიძე.

ტექტილური (შეხებითი) შეგრძნებების გამოუმუშავებისთვის სპეციალური სავარჯიშოები აქვთ. იამზე მასწავლებელს კლასში იმ კარადიდან, საიდანაც ბრაილის შრიფტით შესრულებული ნაწერები და ნახატები მოჩანს, ლობიოს, სიმინდის, ხორბლის, საზამთროს, გოგრის მარცვლებით სავსე ჭიქები გამოაქვს. ერთ-ერთი და მთავარი სავარჯიშო სწორედ ეს არის — შეხებით უნდა მიხვდნენ, რომელი რისი მარცვალია. ერთმანეთში არეული სხვადასხვა ტიპის მარცვალი ერთმანეთისგან უნდა განაცალკევონ.

გეომეტრიული ფიგურებიც შეხებით უნდა აღიქვან. სახაზავზე ამოჭრილი წრე, მართკუთხედი, კვადრეტი, სამკუთხედი, რომბი — ხელით და მასთან კონტაქტით უნდა გაარჩიონ და შეისწავლონ.



უსინათლოთა 202-ე სკოლა - პანსიონში 12 კლასი და 48 ბავშვია. პირველიდან მე-6 კლასამდე უკვე ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი გრიფირებული სახელმძღვანელოები აქვთ. წიგნების სიმცირეს არ უჩივიან, თუმცა ცდილობენ, ყველა ბავშვს შეუქმნან სრულყოფილი სასწავლო გარემო.

„ბევრ წიგნს ვერ ვბეჭდავთ, რადგან ერთადერთი ადამიანი მუშაობს ბრაილის შრიფტზე ძალიან კარგად, თავადაც უსინათლო და ძალიან გამოცდილია. სხვებიც ბეჭდავენ, მაგრამ მხედველს ძალიან უჭირს კორექტირება. პირველკლასელი თუ ნახავს ნაწერს შეცდომით, ურთულდება შესწავლა. ბრაილის შრიფტით წიგნის ბეჭდვას დიდი ხანი სჭირდება, ერთი ჩვეულებრივი წიგნი 5 ბრაილისშრიფტიან წიგნს მოიცავს. ახლა სწავლების პროცესში ნეტბუქიც ჩართეს, რაც ძალიან კარგია, მოუსმენს და თავადვე დაწერს ბავშვი, წიგნების თრეცეც აღარ მოუწევს,“ — ამბობს სკოლის დირექტორი ხათუნა ჯალაღონია.



სკოლაში ბრაილის საბეჭდი მანქანები აქვთ, რომელიც ხმოვანი პროგრამით ბეჭდავს ნაწერს. ბავშვებს შეუძლიათ თავისუფალ დროს შევიდნენ ინფორმატიკის კაბინეტში, კომპიუტერიდან ინფორმაცია მოიძიონ, გაკვეთილს მოუსმინონ ან სასურველი მასალა ამოებუქდონ.

თავად ინფორმატიკას დამხმარე საგნად სწავლობენ. კაბინეტში რამდენიმე კომპიუტერი და ბრაილის საბეჭდი მანქანა დგას. მასწავლებელი კახა ცხოვრებაშვილი შენიშნავს, რომ თითოეულ მოსწავლეს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება და ინდივიდუალურადაც ითვისებს მასალას. ბავშვი, რომელსაც დამატებითი ფსიქოსენსორული პრობლემა არ აქვს, კომპიუტერს ადვილად სწავლობს. მაგალითად, კახა მასწავლებელი ასახელებს მერვეკლასელს, რომელიც უკვე ოპერაციულ სისტემებს უცვლის ადგილს დამოუკიდებლად. თუმცა არის რამდენიმე მოსწავლე — აუტიზმით, ეპილეფსიით ან სხვა ნევროლოგიური დაავადებით — რომელთა ადაპტაციისთვის სკოლაში ფსიქოლოგი და სპეცმასწავლებელი მუშაობს. ისინი ყოველკვირულად აკვირდებიან ბავშვებს და გეგმებს წერენ, როგორ ჩართონ სასწავლო პროცესში ის მოსწავლეები, რომლებიც მართვას არ ექვემდებარებიან და გაკვეთილზე არ ჩერდებიან.

„აქცენტს ვაკეთებთ აბსოლუტურად ინდივიდუალურ მიდგომაზე. ბავშვების რაოდენობა გვამღვეს იმის საშუალებას, რომ იმის გათვალისწინებით მივუდგეთ თითოეულს, რა დაავადება სჭირს და როგორი ფსიქოსენსორული პრობლემა აწუხებს. პირველკლასელი ბავშვების უმრავლესობა არის პერსპექტიული და ისინი მიაღწევენ წარმატებას. მაგრამ არიან ბავშვები, რომლებიც, უბრალოდ, ვერ სწავლობენ და მათთან სხვანაირი მიდგომაა საჭირო,“ - ამბობს ინფორმატიკის მასწავლებელი კახა ცხოვრებაშვილი.

ფიზკულტურის კაბინეტში ვინაცვლებთ — ტრენაჟორები, ლეიბები, ველოსიპედები, ძელები... მოკლედ, მრავალგვარი სავარჯიშო. სამი მოსწავლე და ერთი მასწავლებელი გვხვდება. ოთახში მუსიკაა ჩართული. 35-40 წლის მასწავლებელი მამუკა ბაგრატიონი თეთრ მაისურს ისწორებს და მერვეკლასელ ბიჭს ძელით ავარჯიშებს. მათგან მარჯვენა 14-15 წლის იასამნისფერჯემპრიან და თმაწეულ გოგონას შემოუჭერია მხრებზე სავარჯიშო ჯოხი და ოთახში წელი ნაბიჯით დადის, მუსიკას უწყობს ფეხს. კიდევ ერთი, „პუტკუნა“ გოგონა ველოსიპედზე ვარჯიშობს. აქაც ყველაფერი ინდივიდუალურია, ძირითად ყურადღებას სუნთქვით ვარჯიშებს აქცევენ, რომ სისხლის მიმოქცევა ნორმალური იყოს. ამ ყველაფერს კი თვალის ექიმსა და სპეცმასწავლებელთან ათანხმებენ.

— მოვრიჩი, მამუკა მას., - მასთან მიდის მაკა, რომელიც ძალიან არის მხრებში გამართული. თურმე სქოლიოში ჰქონია და მასაყები დასჭირდა. ახლა სწორედ ამიტომ დადის ასე გაჭიმული.

— მუსიკას უსმინე და ისიერე. ბავშვები სეირნობასა და ვარჯიშს სიმღერის — „შუქი ანათებს ქვეყანას“ — ფონზე აგრძელებენ. მამუკა მასწავლებელი კი ჩვენთან მოდის და იმ ძირითად მიდგომებზე საუბრობს, რომლებსაც სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან იყენებს სწავლებისას.

„პირველ ყოვლისა, აუცილებელია პოზიტიური ენერჯია და მუსიკოთერაპია. შემდეგ უკვე თითოეულისთვის შერჩეული გვაქვს აბსოლუტურად ინდივიდუალური პროგრამა. უკვე ვიცი, ვის რა სჭირდება და იმას ვაკეთებინებ, ანუ იმ დატვირთვას, რომელიც შეესაბამება მის დიაგნოზს. ზოგისთვის სრული დატვირთვა არ შეიძლება. რაც მთავარია, მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს გონებრივი პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებაზე, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი,“ - ამბობს მამუკა ბაგრატიონი.



ფიზიკულტურის კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ ქიმიის კაბინეტში მხოლოდ ვიხედებით. დღეს გაკვეთილი არ არის, პარასკევია. როგორც სკოლის დირექტორი აღნიშნავს, იმის მიუხედავად, რომ სრულყოფილ ცდებს ვერ ატარებენ და დამხმარეები სჭირდებათ, მაინც დიდი შედეგი აქვთ ამ მხრივ.

„სასწავლო გეგმა იგივეა. თუმცა ქიმიამ არის რეაქციები, რომლებსაც ბავშვი დამხმარე პირის გარეშე ვერ გააკეთებს. ასევე, მათემატიკაში გეომეტრიული ფიგურის დახატვა მათთვის რთულია. როცა მხედველი ხატავს, შეცდომას ხედავს, უბრალოდ, გადახატავს და შლის. მან კი, რაც იწვალა იმ ჩაჩხვლეტებით, ყველაფერი თავიდან ბოლომდე, ხელახლა უნდა გააკეთოს,“ - ამბობს ხათუნა ჯალაღონია.

სკოლაში სულ 23 მასწავლებელი ასწავლის, მათგან 7 უსინათლო პედაგოგია. ერთ-ერთს ისტორიის გაკვეთილზე ვესტუმრეთ. კახა გლოველი შავი სათვალთ ზის მაგიდასთან და ბავშვებს ტესტებიდან უსვამს შეკითხვებს. წინ კომპიუტერი და დინამიკები დგას, საიდანაც გაკვეთილის ხმოვანი ჩანაწერი ისმის.

„ვსწავლობთ წერითი, ტესტური და შემაჯამებელი პრინციპით. დღეს რადგან აბიტურის გაკვეთილია, ძირითადად კითხვა-პასუხი გვაქვს ტესტის სხვადასხვა ვარიანტითა და დამხმარე მასალით. ამაში კომპიუტერულ



ჩანაწერებს ვიყენებთ. აუდიოლიტერატურით ძირითადად სახლში მეცადინეობენ, აქ კი გვაქვს დამატებითი ლიტერატურა, ვორდის ფაილებად ამობეჭდილი. იმასაც ვასმენინებთ, რაც პროგრამაში არ შედის, მაგრამ თემას ეხება,“ - ამბობს ისტორიის მასწავლებელი.

18-დან 25-მდე ბავშვი პანსიონში ღამეც რჩება, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით იქ ცხოვრობენ. პარასკევს მშობლებს მიჰყავთ შინ ორშაბათამდე, ხოლო რეგიონებიდან ჩამოსული ბავშვები შაბათ-კვირასაც პანსიონში რჩებიან. თუმცა, როგორც ხათუნა ჯალაღონია ამბობს, მოქმედებს სპეციალური აღმზრდელობითი პროგრამა — ბავშვები შაბათ-კვირას აღმზრდელებს გაჰყავთ სასურველ ადგილას ფეხით და საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ამით მათი ინტეგრირება ხდება საზოგადოებაში და, თან, ყოველი სიახლე აინტერესებთ.

„ექსკურსიები იგეგმება ხოლმე კლასების მიხედვით. ღონისძიებები და ჩართულობა არის ძალიან კარგი, არაერთ სკოლასთან გვქონია შეჯიბრება და დამეგობრებელი არიან,“ - ამბობს სკოლის დირექტორი.

თბილისის 202-ე სკოლა-პანსიონში შესვენებაა. 5 წლის ლუკა კლასელებთან ერთად დერეფანში დარბის, ჰო, დარბის, ფეხებს მძლავრად აჭერს იატაკს და მეგობარს უყვირის, დაჭერობანა ეთამაშოს.

მარი ახსიაშვილი



საქართველოში ჩატარებული პირველი ასტრობიოლოგიური კვლევების შესახებ

არის თუ არა სიცოცხლე მარსზე — ეს ხუმრობადექვეული კითხვა მეცნიერებისათვის არც ღიმილის მომგვრელია და არც რიტორიკული. ასტრობიოლოგია — ასე ეწოდება მეცნიერების დარგს, რომელიც სხვა პლანეტებზე სიცოცხლის არსებობის საკითხებს შეისწავლის. ქართული ასტრობიოლოგიური სკოლა რომ არ არსებობს, გასაკვირი არ არის, საბჭოთა კავშირში ასეთი ტიპის კვლევები ან მკაცრად გასაიდუმლოებული და უშუალოდ მოსკოვს დაქვემდებარებული იყო, ან — იგნორირებული. რაც შეეხება ქართველ ასტრობიოლოგებს, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ახალგაზრდა ქალბატონი მარიკა ტარასაშვილი დარგის პიონერია ჩვენს ქვეყანაში.

ცოტა რამ ასტრობიოლოგიის ისტორიიდან: ასტრობიოლოგიური კვლევები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ჯერ კიდევ წინა საუკუნის 40-იან წლებში მეცნიერმა გავრილ ტიხოვმა დაიწყო, თუმცა 60-იან წლებში, მისი გარდაცვალებისთანავე, შეწყდა. საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ არასერიოზულად და არაპერსპექტიულად მიიჩნია სხვა პლანეტებზე სიცოცხლის არსებობის პრობლემების შესწავლის გაგრძელება. სამა-გიეროდ, სწორედ ამ პერიოდში დაინტერესდა ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის სააგენტო - NASA - მეცნიერების ამ დარგით და დღეს სწორედ ამ უმსხვილეს ორგანიზაციას უკავშირდება მსოფლიოში ასტრობიოლოგიის განვითარებისა და პოპულარიზაციის საკითხი.



მარსზე, NASA-სა და ასტრობიოლოგიაზე ქალბატონ მარიკა ტარასაშვილს ვესაუბრეთ.

— ქალბატონო მარიკა, იმ ქვეყნის მოქალაქისთვის, სადაც ასტრობიოლოგიური კვლევების არანაირი

ტრადიცია არ არსებობს, თქვენი არჩევანი, ცოტა არ იყოს, რისკიანად გამოიყურება. როდის და როგორ გადაწყვიტეთ, მეცნიერების ამ დარგს გაჰყოლოდით?

— ალბათ მაშინ, როდესაც ბაბუას ბიბლიოთეკაში (პროფესიით ასტრონომი გახლდათ) რუსი მეცნიერის, გავრილ ტიხოვის, 1945 წელს გამოცემულ წიგნს მივაკვლიე, სახელწოდებით „ასტრობიოლოგია“. ის პეტერბურგის (მაშინ ლენინგრადის) მეცნიერებათა აკადემიის პროფესორის, მიხეილ მოისევის, ასპირანტი იყო და კარგა ხანს იქვე მუშაობდა. წიგნი ავტორმა აჩუქა და ამგვარად მოხვდა ჩემს ბიბლიოთეკაში. რომ წავიკითხე, ჩემი განცვიფრება გამოიწვია იმან, თუ როგორ იყო ამ მცირე ნაშრომში ერთმანეთში შერწყმული ორი ჩემი გატაცება: ბიოლოგია და ასტრონომია. წავიკითხე და.. ჩემი მომავალი ცხოვრებაც ამით განისაზღვრა.

— ასტრობიოლოგიას საქართველოში ტრადიცია პრაქტიკულად არ გააჩნია, ამის გამო, ალბათ, სირთულეებსაც წააწყდით...

— ასე თუ ისე, სტრატეგია არსებობდა და დღესაც არსებობს, თუმცა ყველაფერი ისე აეწყო, რომ ადამიანს უცნაურადაც კი შეიძლება მოეჩვენოს. ხომ იცით, საქართველოში როგორც ხდება, თუ ბიოლოგი ხარ, ასტრონომიაში არაფერი გესაქმება და პირიქით. ამიტომ 1997 წელს, თსუ-ს ბიოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, გადავწყვიტე, რომ მაინც ამელო ასტრონომის დიპლომი. არ შემიძლია არ ვახსენო ორი ადამიანი, რომლებსაც მთელი ცხოვრება მადლიერი ვიქნები. ესენი გახლავთ თსუ-ს მაშინდელი რექტორი, პროფესორი როინ მეტრეველი და მაშინდელი თსუ-ს ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი, პროფ. ჯემალ სოლოლაშვილი. ამ ადამიანებმა მხოლოდ პირადი განცხადებისა და გასაუბრების საფუძველზე დამრთეს ნება, რომ ასტრონომიის მაგისტრატურაში მისაღებ გამოცდებზე ბიოლოგის დიპლომით გავსულიყავი. ჩემი პირველი თემა ასტრობიოლოგიაში სწორედ მაგისტრატურაში დავიცავი პროფ. შალვა საბაშვილისა და პროფ. სიმონ წერეთლის ხელმძღვანელობით. დღემდე ვთანამშრომლობ ამ მეცნიერებთან.

გაცილებით რთული იყო ამ მიმართულებით ასპირანტურაში ჩაბარება და შემდგომ დოქტორანტურაში გადაბარება, რადგან საქართველოში არც ასტრობიოლოგია არსებობდა და ბიოლოგიის ფაკულტეტზეც არავინ იყო ისეთი, რომელიც ამ თემაზე მუშაობას დამთანხმდებოდა. თუმცა ერთ დღესაც ასპირანტურის მისაღებში შევხვდი პროფესორ ნუგზარ ალექსიძეს, რომელიც ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ფაკულტეტს ხელმძღვანელობდა. მინდა ვთქვა, რომ ამ სახელგანთქმულ მეცნიერსა და მოკრძალებულ ადამიანს აქვს კრედო, ახალგაზრდებს მისცეს შანსი. სწორედ მისი ხელმძღვანელობით ჩავაბარე დოქტორანტურაში ასტრობიოლოგიის ინდივიდუალური მიმართულებით.

2007 წელს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მივიღეთ მონაწილეობა და პირველი ასტრობიოლოგიური პროექტით გრანტიც მოვიპოვეთ. მინდა ხაზი გავუსვა, რომ საერთაშორისო ექსპერტებმა ჩვენი პროექტი უმაღლესი ქულებით (100 და 96) შეაფასეს. საპროექტო ჯგუფში ვიყავით (და დღემდე ვართ) მე და

ჩემი მასწავლებლები: პროფ. შალვა საბაშვილი, პროფ. სიმონ წერეთელი და პროფ. ნუგზარ ალექსიძე. პროექტი წარდგენილი იყო სათაურით — „მარსის ეკოსისტემის იმიტაცია პლანეტის ტერაფორმირებისათვის საჭირო ზოგიერთი პრაქტიკული ამოცანის გადასაჭრელად“ — და პლანეტა მარსის ათვისებისათვის საჭირო რთული და აქტუალური სამეცნიერო საკითხების გადაჭრას ეხებოდა. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ პროექტით პროფ. ელგუჯა მემმარიაშვილიც დაინტერესდა და დიდი დახმარებაც გაგვიწია.

ეს იყო პირველი ასტრობიოლოგიური კვლევა საქართველოში და იმედი მაქვს ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების ამ დარგის განვითარების დასაწყისიც.

— კონკრეტულად რას ითვალისწინებს პროექტი?

— უპირველეს ყოვლისა, ეს არის სამეცნიერო პროექტი, რომელიც NASA-ს და ESA-ს მიერ ერთობლივად შემუშავებული მარსის ათვისების პროგრამის - MEPAG-2005-ის ნაწილია. მინდა ვაღიარო, რომ პროექტის სათაური ამ საკითხში გაუთვითცნობიერებულ ადამიანებში მცდარ შთაბეჭდილებას აღძრავს და, ერთი ცნობილი რუსული ფილმისა არ იყოს, ჰგონიათ, რომ ჩვენ მარსზე სიცოცხლეს ვეძებთ ან, უკეთეს შემთხვევაში, იქ ხეების დარგვას ვაპირებთ. ამგვარი შეხედულებების გამო ჩვენ უამრავჯერ გავხდით დაცინვისა და თავდასხმის მსხვერპლნი. ეს იყო ძალზე საინტერესო, დინამიური და სირთულეებით აღსავსე პერიოდი, რომელმაც დაუღალავი შრომის, კამათისა და ახსნა-განმარტებების ქარიშხალში გამოგვატარა.

სინამდვილეში ჩვენი პროექტის ძირითადი მიზანი არის სამეცნიერო საკითხების დამუშავება იმ საკაცობრიო კოსმოსური მისიებისათვის, რომლებიც მარსზე 2017-დან არის დაგეგმილი. ის უშუალო შეხებაშია მთვარის ბაზებთან, რომლებიც უკვე 2050 წლისათვის აშენდება და მარსის დასახლებულ სადგურებთან, რომლებსაც დაახლოებით იმავე პერიოდში ჩაეყრება საფუძველი.

სხვა, ბევრად უფრო ამბიციური მიზანია ბიოტექნოლოგიურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენება, რომელთა გადატანაც მარსზე ამ პლანეტის ათვისებაში დაგეგმარება. ამ პროცესს „ეკოპოესი“ ეწოდება და მისი განხორციელებისათვის ყველა განვითარებულ ქვეყანაში მუშაობს მეცნიერთა, სულ მცირე, ერთი სპეციალური ჯგუფი. პირველ ეტაპზე ამ სამეცნიერო შრომის მიზანს წარმოადგენს ისეთი ექსტრემალური მიკრობებისა და სხვა ორგანიზმების შერჩევა, რომლებიც შეძლებენ მარსის პირობებში გადარჩენას და მისი გრუნტის გადამუშავებას, რაც, როგორც აღვნიშნე, მომავალში ხელს შეუწყობს პლანეტაზე ხანგრძლივი საკაცობრიო მისიების განხორციელებას და კოსმოსური სადგურების სტაბილურ, ხანგრძლივ ფუნქციონირებას.



— პროექტი ითვალისწინებდა არა მარსზე არსებული სიცოცხლის ფორმების კვლევას, არამედ იმის დადგენას, რა ტიპის ორგანიზმები შეძლებენ მარსზე ცხოვრებას სამომავლო პერსპექტივისთვის?

— შეიძლება ასეც ითქვას... საქმე იმაშია, რომ მარსზე სიცოცხლეს ეძებენ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ჩვენი პლანეტის უმსხვილესი კოსმოსური ცენტრები (დაინტერესებულ პირებს სათანადო მასალის მოპოვება ინტერნეტის მეშვეობით შეუძლიათ). გასაგებია, რომ საქართველოს მსგავსი კვლევების განხორციელებისათვის არც თანხები აქვს და არც ხელსაწყოები (თუმცა გამოირიცხებოდა არაფერია), მაგრამ მარსის ათვისების პროგრამაში ჩართვა თავისუფლად შეგვიძლია. ცხადია, მარსზე ვერ წავალთ, ამიტომ ლაბორატორიაში განვახორციელებთ პლანეტის პირობების იმიტაცია ჩვენ მიერ შექმნილი და პატენტირებული კლიმატოკამერის (რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა) მეშვეობით. NASA-ს მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე შევქმენით მარსის გრუნტის იმიტაცია და ჩავატარეთ უამრავი კვლევა ამ მიმართულებით.

— თქვენ ამბობთ, რომ გაივლის უამრავი წელი და შეიძლება მარსზე, ისევე როგორც ოდესღაც დედამიწაზე, სიცოცხლე გაჩნდეს?

— გაჩნდეს — მეტი, ვერ ვიტყვით.. თუმცა დღეს ამ დარგში მომუშავე თითქმის ყველა მეცნიერი თანხმდება იმაზე,

რომ ჩვენს მეზობელ “წითელ პლანეტაზე”, მარსზე, სიცოცხლის გარკვეული ფორმების შეტანა სავსებით შესაძლებელია, მით უმეტეს, რომ მის ნიადაგსა და ატმოსფეროში სულ ახლახან აღმოჩნდა წყალი.

გაივლის წლები და მარსი უსიცოცხლო რკინის უდაბნო აღარ იქნება და ამას არა მილიარდობით, არამედ მხოლოდ 300-400 წელი დასჭირდება. მილიარდობით წელს ჩვენ, მეცნიერები, მარტივად რომ ვთქვათ, ბიოტექნოლოგიისა და ფიზიკის მეშვეობით.. ”მოვიპარავთ”. აი, ასეთ საინტერესო დროში ვცხოვრობთ.

— კვლევის შედეგებს რაიმე გამოხმაურება მოჰყვა სამეცნიერო წრეებში?

— თავდაპირველად სამეცნიერო ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო შედეგებს საერთაშორისო დონეზე

განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია და, მართალი გითხრათ, იმის გამო, რომ პროექტზე მუშაობა დიდი ხანი არაა, რაც მიმდინარეობს, ამას არც ველოდით. თუმცა ჯერ კიდევ 2008 წელს მოვიპოვეთ აღიარება. 2007 წელს საერთაშორისო ასტრობიოლოგიურ სამეცნიერო კონფერენციაზე გამოვიტანეთ ნაშრომი ჩვენ მიერ შექმნილი მარსის გრუნტის იმიტაციის შესახებ, სადაც მივუთითეთ, რომ მარსზე დაშვებული აპარატების მიერ გადმოცემული მონაცემების მიხედვით, პლანეტაზე საკმაოდ დიდი რაოდენობით უნდა ყოფილიყო მინერალი — ცოლითი, რომელიც მიკროორგანიზმების განვითარებისათვის კარგ პირობებს შექმნიდა. იმ მომენტისათვის ეს იყო მხოლოდ ჩვენი ვარაუდი, თუმცა მას შემდეგ, რაც 2008 წელს მარსზე დაშვებულმა ლენდერმა „ფენიქსმა“ მარსის გრუნტში მინერალ ცოლითის არსებობა დაადასტურა, ამერიკის აერონავტიკისა და კოსმოსური კვლევების სააგენტო NASA-ს წარმომადგენლები დაგვიკავშირდნენ, ამერიკის შეერთებულ შტატებში მიგვიწვიეს და სპეციალური სიგელებითაც დაგვაჯილდოვეს.



— დღეს თქვენ საქართველოში NASA-ს ოფიციალური წარმომადგენლები ბრძანდებით... როგორ გაგრძელდა თანამშრომლობა ამ ორგანიზაციასთან?

— მე ვიტყვით, რომ ჩვენ ვართ NASA-ს ოფიციალური საკონტაქტო პირები საქართველოში. ჩვენთვის ცნობილია მათი კონცეფციები საერთაშორისო თანამშრომლობის დარგში, მათი სამეცნიერო გრანტების დაფინანსების პირობები. ამ მიმართულებით ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ, მათ შორის ობსერვატორიისა და ილიას უნივერსიტეტის კოსმოსის კვლევის ჯგუფთან ერთად. დასახული გვაქვს კონკრეტული გეგმები, რომ თანამშრომლობა უფრო ინტენსიური გახდეს და ამას, შესაძლოა, საკანონმდებლო ბაზაც დასჭირდეს. ვნახოთ,

წინასწარ ვერ ვიტყვი. სამწუხაროდ, ჩვენ ძალზე არასტაბილურ პირობებში გვიწევს მუშაობა.

— რამდენადაც ცნობილია, მარსის გრუნტის ნიმუშის ჩამოტანას NASA 2018 წლისათვის გეგმავს და ეს, ალბათ, თქვენი ჯგუფისთვისაც ძალიან საინტერესო შედეგების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს... თქვენ საქართველოში კოსმოსის კვლევების სამეცნიერო ცენტრი ჩამოაყალიბეთ. ამ მიმართულებით რა გეგმები გაქვთ?


— ჩვენი ერთ-ერთი მიზანი საქართველოში კოსმოსური მეცნიერებების პოპულარიზაციაა. კოსმოსის კვლევების სამეცნიერო ცენტრი არასამთავრობო სამეცნიერო ორგანიზაციაა და მასში გაერთიანებულია საქართველოში ამ მიმართულებით მოღვაწე ბევრი მეცნიერი. გეგმები სრულიად კონკრეტულია. მაგალითად, ფართო საზოგადოების ინფორმირებისათვის განკუთვნილი კოსმოსური დაწესებულებების დაარსება, რათა ხელი შევუწყოთ ჩვენი ბავშვებისა და ახალგაზრდების ასტრონომიული განათლების უზრუნველყოფას. ალბათ, ბევრს ახსოვს, წლების წინ მთაწმინდაზე პლანეტარიუმი ფუნქციონირებდა. უკვე დავიწყეთ მუშაობა მის აღსადგენად. სკოლებში ქიმიის, ბიოლოგიისა და თუ ფიზიკის სწავლებისათვის ლაბორატორიებს ვიყენებთ. ასტრონომიის ერთადერთი ე.წ. ლაბორატორია კი პლანეტარიუმი და ისინი მსოფლიოს თითქმის ყველა ქალაქში არსებობს. ჩვენი ახალგაზრდებისათვის ასტრონომია და სხვა კოსმოსური მეცნიერებები ბევრად უფრო გასაგები, საინტერესო და საყვარელი გახდება, თუ მათ თვალსაჩინოების სახით ასეთი თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალება ექნებათ. იმედი მაქვს, რომ საქართველოს მომავალი კოსმოსური მომავალია.

მარსის ათვისების სამეცნიერო ჯგუფები მთელ მსოფლიოში არსებობს. NASA-ში ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ეწყობა საერთაშორისო ასტრობიოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია, სადაც ქართველ მეცნიერთა ჯგუფსაც იწვევენ. მარსის ათვისების საკითხი ჯერ კიდევ შორეული პერსპექტივაა, მაგრამ მეცნიერები იმედს არ კარგავენ, რომ რამდენიმე ათეულ წელიწადში ეს პროცესი დაიწყება. ხელოვნური ეკოსისტემის შექმნა გარდაქმნის და დაარეგულირებს პლანეტა მარსის კლიმატს და მასზე სიცოცხლის შეტანა გახდება შესაძლებელი.

ნინო ქუთათელაძე: „გამოცდების ეროვნული ცენტრი მსოფლიო ბანკის მიერ ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად არის აღიარებული“

ინტერვიუ მსოფლიო ბანკის განათლების ექსპერტთან, ნინო ქუთათელაძესთან.

საზოგადოების ერთი ნაწილი თავდაპირველად სკეპტიკურად შეხვდა ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებას, ამ პროცესს გარკვეული ვნებათაღელვაც მოჰყვა. რა იყო ეროვნული გამოცდების მიმართ უარყოფითად განწყობილი პირების არგუმენტი?



ახალი სისტემისადმი ნდობის მოპოვება არ იყო ადვილი. კრიტიკულად დასკეპტიკურად იყვნენ განწყობილი არა მხოლოდ ძველი პრაქტიკის შენარჩუნების მსურველი უნივერსიტეტის თანამშრომლები, არამედ სტუდენტები და მათი მშობლებიც, ისინი, ვისთვისაც ამ ცვლილებებს სარგებელი უნდა მოეტანა. ეს არც ისე გასაკვირია, რამდენადაც უნივერსიტეტში ჩარიცხვის სისტემა უმაღლესი განათლების ყველაზე კორუმპირებულ სფეროდ ითვლებოდა და ძნელი წარმოსადგენი იყო ყველასათვის ამ სისტემის კორუფციისაგან მთლიანად გათავისუფლება და გამჭვირვალე გამოცდების პროცესის შემოღება. სწორედ კორუფციის აღმოფხვრა და ყველა აბიტურიენტისათვის თანაბარი პირობების, ცოდნაზე დაფუძნებული კონკურენტული გამოცდების შეთავაზება და გამჭვირვალე გარემოს შექმნა იყო მთავარი ამოცანა.

როგორც ცნობილია, კორუფციის აღმოფხვრის მიზნით გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ტესტები ინგლისში დაბეჭდა, ჩამოტანის შემდეგ კი ეროვნული ბანკის საცავებში განათავსეს და 14 საგამოცდო ცენტრში საპატრულო პოლიციის თანხლებით მიიტანეს...

რეფორმამდე თითოეულ უნივერსიტეტს თავისი საკუთარი საგამოცდო სისტემა ჰქონდა, რაც კიდევ უფრო ზრდიდა კორუფციის ალბათობას. სწორედ ამ მიზნით, სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, რეფორმატორებმა დააარსეს გამოცდების ეროვნული ცენტრი, ახალი დამოუკიდებელი დაწესებულება, რომელსაც დაევა საგამოცდო ტესტების შემუშავება და მისაღები გამოცდების ადმინისტრირება ცენტრალიზებულად. უნივერსიტეტის პროფესორები აღარ არიან ჩართულნი საგამოცდო ტესტების მომზადებასა და გამოცდების შეფასების პროცესში. ბალტიისპირეთის ქვეყნების, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, ისრაელისა და შვედეთის გამოცდილების გათვალისწინებით შეიქმნა ახალი, საკმაოდ დახვეწილი ქართული ერთიანი ეროვნული გამოცდები.

გარდა ამისა, წარმატების მისაღწევად და საზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად რეფორმატორებმა პრიორიტეტი პროცესის დაცულობასა და გამჭვირვალეობას მიანიჭეს. ტესტები, მართლაც, ინგლისში, კემბრიჯის უნივერსიტეტის სტამბაში, იბეჭდებოდა. შემდეგ დაბეჭდილი ტესტები იგზავნებოდა საქართველოში, პოლიციის მანქანებით მიჰქონდათ ეროვნული ბანკის საცავამდე, სადაც ინახებოდა გამოცდის დღემდე.

2005 წლის 11-28 ივლისს ჩატარებულ პირველ ეროვნულ მისაღებ გამოცდებში 31 000-მა აბიტურიენტმა მიიღო მონაწილეობა. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (IS-FED) დამკვირვებლები მონიტორინგს ატარებდნენ 14 საგამოცდო ცენტრში. მათ დაასკვნეს, რომ გამოცდები იყო სამართლიანი, გამჭვირვალე და კარგად ორგანიზებული. ამასვე ადასტურებს საზოგადოებრივი აზრის კვლევაც.

2005 წელს ჩატარებულმა საზოგადოებრივმა გამოკითხვამ უჩვენა, რომ სტუდენტები, მათი მშობლები და ადმინისტრატორები ახალი საგამოცდო პროცესით კმაყოფილი იყვნენ (საერთაშორისო გამჭვირვალობა, 2005). გამოკითხვის შედეგების თანახმად, რესპონდენტების უმრავლესობას (სტუდენტების 80%, მშობლების 80% და ადმინისტრატორების 90%-ზე მეტი) სჯეროდა, რომ ახალი პროცესი უნივერსიტეტში აღმოფხვრიდა კორუფციას. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ სტუდენტებისა და მშობლების უმრავლესობა კარგად იყო გარკვეული მისაღები გამოცდების პროცესში.

როდის შეიქმნა გამოცდების ეროვნული ცენტრი და რა წვლილი აქვს შეტანილი მსოფლიო ბანკს ამ სამსახურის ინსტიტუციურ ჩამოყალიბებაში?

გამოცდების ეროვნული ცენტრი 2002 წელს შეიქმნა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი. მანამდე მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარე განათლების პროექტში ჩართული იყო გუნდი, რომელიც სწორედ საქართველოში განათლების შეფასებისა და გამოცდების ახალი სისტემის შექმნაზე მუშაობდა. სწორედ ეს პროექტი დაედო საფუძვლად ცენტრის ჩამოყალიბებას. მსოფლიო ბანკის დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ამ გუნდის წევრებს შესაძლებლობა მიეცათ გასცნობოდნენ მთელ მსოფლიოში დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას ამ სფეროში, ემუშავათ ცნობილ და გამოცდილ საერთაშორისო ექსპერტებთან, გაეცნოთ მოწინავე ქვეყნების

გამოცდილება და დასწრებოდნენ სხვადასხვა სახის სპეციალიზებულ ტრენინგებს. პროექტმა, ასევე, დიდი როლი ითამაშა ცენტრისა და, საერთოდ, ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემის ჩამოყალიბებაში.

როგორ შეაფასებთ გამოცდების ეროვნული ცენტრის მუშაობას?

გამოცდების ეროვნული ცენტრი და მის მიერ დანერგილი მისაღები გამოცდების სისტემა მსოფლიო ბანკის მიერ ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად არის აღიარებული, მრავალი ქვეყანა უკვე დაინტერესდა საქართველოს გამოცდილების გაზიარებით. ახლახან მსოფლიო ბანკმა გამოსცა წიგნი „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში: საქართველოში გატარებული რეფორმების ქრონიკა“, რომლის ერთ-ერთი თავი სწორედ ამ საკითხს ეთმობა. გარდა ამისა, ცენტრი ჩამოყალიბდა, როგორც მდგრადი, მაღალი კლასის ექსპერტებით დაკომპლექტებული ორგანიზაცია, რომელიც წარმატებით უძღვება თავის საქმიანობას და მუდმივად ახერხებს პროცესების შემდგომ დახვეწას, ინოვაციების დანერგვას. ამის კარგი მაგალითია ახლახან შემოღებული სკოლის დამამთავრებელი კომპიუტერული გამოცდა, მისაღები გამოცდების შემდგომი დახვეწა და ა. შ.

ესაუბრა ლიკა ზაკაშვილი

„ფლექსი“ - ჩემი ამერიკული ოჯახი

„ფლექსი“ ამერიკული საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამაა, რომელიც საქართველოდან ყოველწლიურად 50 ბავშვს აგზავნის ამერიკის შეერთებულ შტატებში. მოსწავლეებს ერთი წლის განმავლობაში ამერიკულ სკოლაში განათლების მიღების საშუალება ეძლევათ.

„ფლექსის“ პროგრამის მთავარი ხიბლი ისაა, რომ ის სრულად ფინანსდება ამერიკული ორგანიზაციების მიერ. საქართველოდან წასული მოსწავლის სწავლას, ასევე, ერთი წლის განმავლობაში გაწეულ ყველაწარმო ხარჯს ამერიკული მხარე ფარავს.

ლელა ოქრომელიძე ორეგონის შტატის ქალაქ პორტლანდიდან შარშან, მაისში, ჩამოვიდა. ის ერთ-ერთი იმთავანია, რომელიც შარშან სხვა 50 მოსწავლესთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. ახლა იგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მედიცინის ფაკულტეტზე სწავლობს.

ლელას ამერიკაში „ფლექსის“ პროგრამის ფარგლებში მიღებული შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ. ჩვენი საუბარი ამერიკაში გატარებული პირველი ორი კვირის გახსენებით დაიწყო: „თავიდან ყველაფერი უცხო და უჩვეულო იყო, მაგრამ იმდენად საინტერესო გარემოში მოვხვდი, მოსაწყენად ნამდვილად არ მეცალა. ჩემი მასპინძელი ოჯახის წევრები ძალიან კარგი ადამიანები აღმოჩნდნენ — ძალიან მეხმარებოდნენ ადაპტაციაში. სახლის შესასვლელში, ჩემს ოთახსა და მთავარ ოთახში საქართველოს სურათები იყო გამოკრული, ჩემს ოთახში კი — საქართველოს დროშა და ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკის ფოტოები. ხშირად მიწყობდნენ ქართულ ვახშამს, ძალიან კარგი ხალხია“, — იხსენებს ლელა.

სკოლაში 1200-მდე ბავშვი სწავლობდა, მე-12 კლასში 204 მოსწავლე იყო. ლელამ სწავლა მე-12 კლასში განაგრძო, თუმცა კრედიტების შევსების მიზნით რამდენიმე არჩევითი საგნის დამატება მოუწია. როგორც თავად ამბობს, თავიდან საგნების არჩევა გაუჭირდა, არ იცოდა, რომელი საგანი და რა





პრიორიტეტის მიხედვით უნდა აერჩია. „იქ იყო ერთი პიროვნება, კონსულტანტი, რომელიც მეხმარებოდა საგნების არჩევაში. ავირჩიე ოთხი საგანი: მსოფლიო ლიტერატურა და კინო, ამერიკული ლიტერატურა, რადგან სამედიცინოზე ვაბარებდი — ანატომია, ფიზიოლოგია და ჯანმრთელობა. გართულებული ალგებრა ერთ-ერთი რთული კურსი იყო. არც ერთი საგნის აღება არ მინანია“.

ამერიკულ საჯარო სკოლაში მიღებული შთაბეჭდილებებიდან ლელა სასწავლო პროცესის მიმდინარეობასა და მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობას გამოყოფს. როგორც თავად აღნიშნავს, ამერიკაში ყოფნის დროს სკოლაში ბავშვისა და მასწავლებლის როლები განსხვავებულად დაინახა და შეაფასა.

„იქ მასწავლებელი ცდილობდა, რომ კლასში ყველა დაეინტერესებინა. კლასში იყვნენ ბავშვები, რომლებსაც არ აინტერესებდათ ამერიკული ლიტერატურა, არ კითხულობდნენ. ამათთვის მასწავლებელს მოჰქონდა აუდიო-ვიდეოები, თავისუფალ დროს ვუსმენდით აუდიოვერსიებს, მოსმენილი ყველას დაამახსოვრდა და ბოლოს ისე გამოვიდა, რომ „C“-ზე დაბალი ქულა არავის გამოჰყოლია“, - იხსენებს ლელა.

„მასწავლებელმა როცა გაიგო, ინგლისური ჩემი მშობლიური ენა არ იყო, ძალიან მეხმარებოდა, გაკვეთილის შემდეგ მტოვებდა, მიხსნიდა ჩემთვის გასაგები ენით. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ იქ მასწავლებელი საგაკვეთილო დროს მხოლოდ დაფისა და ცარცისთვის არ იყენებს. ბავშვი ძალიან აქტიურადაა ჩართული საგაკვეთილო პროცესში და ეს პედაგოგის დამსახურებაა“, - ამბობს ლელა.

ლელას თქმით, სწავლა ამერიკაში უფრო ადვილი იყო. პირველ კვირას ის პედაგოგს გაკვეთილის მოსაყოლად არ გამოუძახებია, ამან კი მისი გაკვირვება გამოიწვია. შემდეგ აღმოაჩინა, რომ გაკვეთილის ზეპირ გამოკითხვაზე უფრო ხშირად მოსწავლის ცოდნას პედაგოგები ტესტირებით ამოწმებდნენ. ლელას შეფასებით, გამოკითხვის ეს ფორმა ძალიან კარგია, რადგან მოსწავლე ზეპირი გამოკითხვის დროს დამაბულია, რაც მას ცოდნის სათანადოდ გამოვლენაში უშლის ხელს.

ამერიკაში გატარებული ერთი წლის შთაბეჭდილებებს, სკოლას, სასწავლო პროცესსა და სკოლის შემდგომ აქტივობებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მოხალისეობა ლელასათვის უცხო არ იყო, მაგრამ, როგორც ამბობს, ამერიკაში განსხვავებული გამოცდილება მიიღო და მოხალისეობის არსი განსხვავებულად აღიქვა.

„ძალიან საინტერესო იყო, იმდენი რამ ვნახე, საკუთარ თავს ძილის უფლებას ვერ მივიცემდი, რაც არ მქონდა ნანახი, დავდიოდი მოხალისედ, საქართველოზე ვაკეთებდი პრეზენტაციებს. . . ჩემი კოორდინატორი ასაკოვანი ქალი იყო, მას მოხუცთა თავშესაფრებთან ჰქონდა კავშირი, ხშირად დავყავოდი ბავშვები, მე, ძირითადად, ქართულ ცეკვებს ვასრულებდი. ძალიან საინტერესოა, როცა სხვებს შენს ქვეყანას, კულტურასა და ტრადიციებს აცნობ, ჩემი იქ ყოფნის ერთ-ერთი მიზანიც ეს იყო“.

საუბრის დასასრულს, ლელას ფლექსის პროგრამის მომავალი მონაწილეებისათვის რჩევის მიცემა ვთხოვეთ. როგორც ლელამ აღნიშნა, პირველი ტური ძალიან ადვილია. მეორე ტურში მან ესე დაწერა. როგორც შემდგომ უთხრეს — და ამას თავადაც მიხვდა — ესე შეფასების დროს კომისია კონკურსანტის პიროვნულ უნარებსა და აზროვნებას აფასებდა და ამის მიხედვით გადაწყვედათ ბავშვები მესამე ტურში. ტექსტის გრამატიკული გამართვა შეფასების დროს



მეორეხარისხოვანია. „მესამე ტურში გადინარ გასაუბრებაზე. ამერიკული საბჭოების წარმომადგენლები გხვდებიან. გისვამენ ჩვეულებრივ, სიტუაციურ შეკითხვებს, მაგალითად, რატომ გგონია, რომ შენ უნდა ავირჩიონ ამერიკაში წასასვლელად, ამოწმებენ შენ ფსიქოლოგიას, ამიტომ, რასაც წერ, რასაც საუბრობ, უნდა იყოს შენ შესახებ“, - ამბობს ლელა.

ლელას თქმით, „ფლექსის“ პროგრამაში მონაწილეობა ამერიკაში ყოფნით არ სრულდება. „ფლექსის“ კურსდამთავრებულთათვის თბილისში, ამერიკული საბჭოების ოფისში, იხსნება კლუბი, სადაც კურსდამთავრებულები სხვადასხვა აქტივობაში ერთვებიან, სხვა საჯარო სკოლის ბავშვებს შთაბეჭდილებებს უზიარებენ და ა. შ.

„ფლექსში“ მონაწილეობამ დამაჯერებლობა შემმატა, სამშობლოში დაბრუნებულმა გავაცნობიერე, რომ ცხოვრება ბევრად საინტერესოა, შეგიძლია იმ გარემოზე ზემოქმედება, რომელშიც ცხოვრობ და შეგიძლია გააკეთო ის, რაც გინდა. მთავარი მოქმედებაა“, - ასე დავასრულეთ ლელასთან საუბარი.

„ფლექსის“ პროგრამის იდეა სენატორ ბლინ გრედლის ეკუთვნის. პროგრამის მიზანი თავდაპირველად პოსტსაბჭოთა ქვეყნების ამერიკასთან დაკავშირება იყო. 1992 წელს ამერიკის კონგრესმა დაამტკიცა პროგრამა და ის 1993 წელს შევიდა ძალაში. ამავე წელს საქართველოდან ამ პროგრამით პირველი ნაკადი გაიგზავნა. ამჟამად პროგრამაში მონაწილეობას იღებენ მე-9, მე-10, მე-11 კლასელები. კონკურსი ცხადდება სექტემბრის დასაწყისში, ტარდება სამ ტურად, საქართველოს მასშტაბით ტესტირების 9 ცენტრი იხსნება.

პირველი ტესტირება, როგორც პროგრამის კოორდინატორი თამილა ვაჭაკიძე ამბობს, ყველაზე მარტივია. ის 15 წუთს გრძელდება, ბავშვებს კითხვებზე ოთხი სავარაუდო პასუხიდან ერთ-ერთის შემოხაზვა ევალებათ. შედეგები იმ დღესვე სწორდება და სკოლის საინფორმაციო დაფაზე აკრავენ. მეორე ტური იმართება მეორე დღეს.

„მეორე ტური შედარებით რთულია, არის კითხვითი და მოსმენითი სავარჯიშოები, ასევე ბავშვები წერენ თემას. მეორე ტურის შედეგები უკვე იგზავნება ამერიკაში, სადაც სპეციალური კომისია მუშაობს, რომელიც ამოწმებს ბავშვების ნაწერებს და არჩევს ფინალისტებს. 3-4 კვირაში ფინალისტების სიაც ცნობილი ხდება. შემდეგ ვურეკავთ მათ და ვუნიშნავთ მესამე ტურს“, - ამბობს პროგრამის ხელმძღვანელი თამილა ვაჭაკიძე.

მესამე ტურისათვის გასაუბრების საფუძველზე 50 ფინალისტს არჩევენ. გამგზავრებამდე ბავშვებს უტარდებათ სამდღიანი მოსამზადებელი ტრენინგები. „ვაწვდით ინფორმაციას ამერიკული კულტურის შესახებ, იმ სირთულეების შესახებ, რომლებსაც შეიძლება წააწყდნენ. ეს სამდღიანი ტრენინგი წარმატებულად ამზადებს ბავშვებს იქ საცხოვრებლად“, - განმარტავს თამილა ვაჭაკიძე. ამერიკაში ცხოვრების დროს ბავშვები სტიპენდიასაც იღებენ.

თამილა ვაჭაკიძის თქმით, 2003 წლიდან მოყოლებული, პირველ ტურში გასვლის მსურველი ბავშვების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება (2006 წელს იყო - 2400, 2007-ში - 3400, 2008-ში - 3000, 2009-ში - 4000, ხოლო 2010-ში 3800-მა მოსწავლემ მიიღო პირველ ტურში მონაწილეობა). პროგრამისადმი ინტერესის ზრდას თამილა ვაჭაკიძე საინფორმაციო პოლიტიკასაც უკავშირებს. ინფორმაციას პროგრამის დაწყებამდე ავრცელებენ. თანამშრომლობენ რესურს-ცენტრებთან, მათ აწვდიან ინფორმაციას, ხშირად სკოლებშიც მიდიან, აკრავენ პლაკატებს, არიგებენ საინფორმაციო ბუკლეტებს. . .



უცხოელებისათვის გაზიარებული გამოცდილება

გამოცდების ეროვნული ცენტრის ექსპერტები სხვადასხვა ქვეყნის განათლების სისტემის რეფორმირებაში მონაწილეობენ

გამოცდების ეროვნული ცენტრის გამოცდილების გაზიარების სურვილი უკვე რამდენიმე ქვეყანამ გამოთქვა. ქართული მოდელები უცხოური ქვეყნებისათვის საინტერესო შინაარსობრივი, ტექნოლოგიური თუ ლოგისტიკური მხარეებით გახდა.

ერთიანი ეროვნული გამოცდები ითვალისწინებს სტანდარტიზებულ შერჩევას, უნარებისა და ცოდნის კომპლექსურ შეფასებას, სახელმწიფო გრანტის გაყვანას საუკეთესო სტუდენტებზე, ფართო არჩევნის შესაძლებლობას. უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ასეთი მოდელის დანერგვას გამოხმაურება სხვა ქვეყნებშიც მოჰყვა.

გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტს იხსენებს: „როდესაც მითხრეს, რომ მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტს ჩვენს ოფისში სტუმრობა სურდა, მოულოდნელობისაგან ცოტა დავიბენი — ასეთი რანგის სტუმრის მიღება ძალიან დიდი პატივი იყო ჩვენი ორგანიზაციისათვის. ბატონი ფილიპ ლე რუს დამაბული გრაფიკიდან გამომდინარე, ვიფიქრე, რომ შეხვედრა ხანმოკლე იქნებოდა, თუმცა სტუმარმა ყურადღებით მოისმინა ჩვენი პრეზენტაცია ელექტრონული გასწორების, ნაშრომებისა და შედეგების ინტერნეტში გამოქვეყნების, ჩარიცხვების შესახებ და პირველი კითხვაც დასვა: „ეს ყველაფერი დაპატენტებული გაქვთ?“ ეს კითხვა, ალბათ, ყველაზე დიდი კომპლიმენტი იყო ჩვენთვის... და, ცხადია, იმის მანიშნებელიც, რომ ჩვენი საქმიანობა სხვა ქვეყნებისათვისაც საინტერესო იქნებოდა.



საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი დავით ჭანკოტაძე

გამოცდების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფის ხელმძღვანელი დავით ჭანკოტაძე:

„გამოცდების ეროვნული ცენტრი დიდი ხანია თანამშრომლობს მსოფლიო ბანკთან. 2005 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების მოზადებასა და ჩატარებაში ამ საერთაშორისო ორგანიზაციამ დიდი მხარდაჭერა გაგიწია. მოდელი, რომელიც საქართველომ აირჩია, იმთავითვე გახლდათ ორიგინალური. ეს იყო არსებული მოდელების გაანალიზების საფუძველზე საკუთარ ქვეყანას მორგებული სისტემის შექმნა. ამ პროცესში უცხოელი კონსულტანტებიც იღებდნენ მონაწილეობას. შემდგომმა წლებმა უფრო სრულყო ეს მოდელი. განვითარების პროცესმა განსაკუთრებით დაინტერესა უცხოელი ექსპერტები, რომლებიც 2005 წელს თანამშრომლობდნენ გამოცდების ეროვნულ ცენტრთან. მათი შეფასებით, ამ სფეროში დავნერგეთ სრულიად ახალი მიდგომები. ეს მეთოდები ბევრ განვითარებულ

ქვეყანას ან მცირე მასშტაბით ჰქონდა რეალიზებული, ან წლების შემდეგ გეგმავდნენ მსგავსი სიახლის დანერგვას — ვგულისხმობ გამოცდების შემდეგ ნაშრომების გამოქვეყნებას, აბიტურიენტისათვის დეტალური ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში ინტერნეტით მიწოდებას, ე. წ. eMarker-ს, ანუ გასწორების ელექტრონულ სისტემას, რომელიც ცენტრში შეიქმნა. ანონიმურობის სრულ დაცვასა და მაქსიმალურ გამჭვირვალობას. 2011 წელს ამას გამოსაშვები გამოცდები დაემატა — სისტემა, რომლის დანერგვასაც კარგად კომპიუტერიზებულმა ქვეყნებმაც ვერ გაართვეს თავი.

პირველი შემთავაზებები გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა 3 წლის წინ მიიღო. დღეს უკრაინაში, ყაზახეთში, ყირგიზეთში გადაცემით ჩვენს პარტნიორებს ჩვენს გამოცდილებას უცხოელ კონსულტანტებთან ერთად.

გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები კონსულტაციებს უცხოელ კოლეგებსაც რომ უწევენ, ამის შესახებ ცენტრის უცხოური ენის ჯგუფის ხელმძღვანელი ივა მინდაძეც საუბრობს.

ივა მინდაძე: „ჩვენი სხვადასხვა თანამშრომელი სხვადასხვა პროექტშია ჩართული. მაგალითად, ასეთი ქვეყნებია ყირგიზეთი, უკრაინა... კონტაქტები და შეხვედრები გვაქვს როგორც სომხეთის საგამოცდო ცენტრთან, ასევე აზერბაიჯანთან. ეს შეხვედრები კი საკმაოდ ხშირი და რეგულარულია.“

მისივე თქმით, უცხოელები გამოცდების ორგანიზების საკითხით ინტერესდებიან. მათ ინტერესს იწვევს აბიტურიენტთა ელექტრონული რეგისტრაცია, ასევე, ნაშრომების ელექტრონული გასწორება და, საერთოდ, კომპიუტერული ნაწილი.

ივა მინდაძე: „ჩვენი საგამოცდო სისტემა არის მდგრადი, გამჭვირვალე და მეთოდურად გამართული. ვფიქრობ, რომ ამით ბევრად წინ ვართ არა მარტო პოსტსაბჭოთა, არამედ სხვა ქვეყნებთან შედარებითაც. მაგალითად, გამოცდების ამგვარი სისტემით დაინტერესებულია სლოვენია. ისინიც იწყებენ აბიტურიენტთა ნაშრომების ელექტრონულ გასწორებაზე გადასვლას მაშინ, როცა საქართველოში უკვე რამდენიმე წელია, რაც ეს სისტემა არსებობს. გასწორების ანონიმურობა, მაქსიმალური გამჭვირვალობა მათ ინტერესს იწვევს.“

გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ია კუტალაძე უცხოელების

დაინტერესების ობიექტად გამოსაშვებ გამოცდებსაც მიიჩნევს.

ია კუტალაძე: „ყველაზე დიდი ინტერესი საზღვარგარეთ გამოიწვია 2011 წელს გამოსაშვები გამოცდების სისტემამ, რომელიც ტარდება ე. წ. კატის სისტემით. სისტემა შექმნილია რამდენიმე ქვეყანაში. პირველ რიგში კი —



საგნობრივი და კვლევის დეპარტამენტის უფროსი ია კუტალაძე

ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ ისეთი მასშტაბით, როგორც ეს საქართველოში ჩატარდა, სხვაგან არ ყოფილა. იქ უფრო ვიწრო, პატარა ჯგუფზეა გათვლილი. ჩვენთან იყო პირველი პრეცედენტი, როცა ეს მეთოდოლოგია ასეთი მასშტაბით გამოვიყენეთ.“

როგორც ცნობილია, გამოსაშვები საატესტატო გამოცდები პირველად შარშან ჩატარდა. მანამდე გამოცდების ეროვნული ცენტრის მეთოდებით დაინტერესდნენ პოსტსაბჭოური ქვეყნები. აგრეთვე არაერთი განვითარებული ქვეყანაც.

ია კუტალაძე: „ინტერესი გამოხატეს განათლების საკითხებზე მომუშავე დაინტერესებულმა პირებმა. ბევრი თვალსაზრისით ეს სისტემა იყო უნიკალური. მაგალითად, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ხარისხი, რომელიც აქვს ამ სისტემას, ბევრისათვის დასაფასებელია, ანონიმურობა-კონფიდენციალობა... თუნდაც ის, აბიტურიენტს საკუთარი ნაშრომის ნახვის უფლება რომ აქვს —

მეზობელი და სხვა ქვეყნების საგამოცდო სისტემებს უმეტეს შემთხვევაში ეს არ აქვს.“

ია კუტალაძე იმ გასვლითი კონფერენციის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც გამოცდების ეროვნულ ცენტრს ბელფასტში ჰქონდა.

„ეს იყო cat-ის სისტემასთან დაკავშირებული პრეზენტაცია, რომელმაც ნამდვილად დიდი ინტერესი გამოიწვია. ექსპერტების ინტერესი ეხებოდა ყველაფერს: გამოცდების მეთოდოლოგიურ მხარეს, პროგრამებს, რომლებიც ამ გამოცდებისათვის შეიქმნა, ლოგისტიკის კუთხეს და ა. შ. ასეთი მასშტაბით ეს მეთოდოლოგია არ იყო გამოყენებული. გარდა ამისა, ინტერესს იწვევდა ისიც, რომ შეზღუდულ ვადებში მოახერხა ცენტრმა ამის განხორციელება მაშინ, როცა ამ გამოსაშვები გამოცდების ჯერ კიდევ დაანონსებისას (ანუ, როცა განვაცხადეთ, რომ ერთ წელიწადში უნდა ჩავატარებინა ამ სისტემით გამოსაშვები გამოცდები) ჩვენმა უცხოელმა ექსპერტებმა ბევრ რისკვაქტორზე მიგვითითეს. საბოლოო ჯამში, გამოვიდა ის, რომ წარმატებით დაინერგა პროგრამა. ყველა კონფერენციაზე ჩვენ ჩვეულებრივ წარვადგენთ ხოლმე პროგრამებს, განვიხილავთ რის-კებს... არც იმაზე ვამბობთ უარს, თუ ჩვენს ნამუშევარზე კრიტიკული აზრი აქვს ვინმეს. პირიქით, ეს კარგია, რადგან გვეხმარება განვითარებასა და უფრო მეტ წინსვლაში.“ - აცხადებს ია კუტალაძე.



გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე ივა მინდაძე

„რომ გადახედოთ ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემას, ნახავთ, რომ ის მუდმივად განიცდის ცვლილებას. მივადწიეთ, რომ ნდობა სისტემისადმი ყოფილიყო მაღალი. პირველსავე წელს ითქვა და მრავალი ექსპერტის მიერ ბევრ ცნობილ გამოცემაში დაიწერა ამის შესახებ. მსოფლიო ბანკის ანგარიშებში კი მოხვდა, როგორც ერთ-ერთი წარმატებული პროექტი“, - დასძინა ქალბატონმა იამ.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ექსპერტები ამ დროისათვის კოსოვოში მუშაობენ და კოლეგებს იქაური საგამოცდო სისტემის შექმნაში ეხმარებიან.

ია კუტალაძე: „წარმომადგებლობა გვყავდა უკრაინაშიც. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა სპეციალურად აქ ჩამოვიდნენ აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან... რაც შემთხვევაში ეს ხანგრძლივი თანამშრომლობის ხასიათს ატარებს, ზოგჯერ კი ჩამოდიან იმისათვის, რომ გაეცნონ აქ არსებულ საგამოცდო სისტემას. გარდა ამისა, როცა ჩვენ ჩვენი პროექტის პრეზენტაციას ვაკეთებთ საერთაშორისო კონფერენციაზე, ინტერესი მართლაც მაღალია და მე შემძლია ვთქვა, რომ ამ საგამოცდო სისტემას და, ზოგადად, გამოცდების ეროვნული ცენტრის მუშაობას მთელი მსოფლიოს საგამოცდო სივრცეში იცნობენ ძალიან კარგად. ჩვენ ყოველთვის გვაქვს კონტაქტები და ვცდილობთ მივიღოთ უკუკავშირიც.

მარი ოთარაშვილი

ბიოლოგია

1. სურათზე მოცემულ ბაიას წყალში მოთავსებული, წყლის ზედაპირზე მოტივტივე ფოთლები განსხვავებული აქვს. ამდაგვარ ცვლილებას უწოდებენ:



მუტაციურს
მოდულირებადი
კომბინაციურს
ონტოგენეზურს

2. დალტონიზმი სქესთან შეჭიდებული დაავადებაა. როგორი გენოტიპის შვილები შეიძლება ეყოლოთ სურათზე მოცემულ ცოლ-ქმარს?




$X^D X^D$; $X^D X^d$; $X^D Y$; $X^d Y$
$X^D X^d$; $X^d X^d$; $X^D Y$; $X^d Y$
მხოლოდ $X^d X^d$; $X^D Y$
მხოლოდ $X^D X^d$; $X^D Y$

3. სურათზე წარმოდგენილმა მცენარე სემპოლიამ ლურჯის ნაცვლად გაიკეთა ვარდისფერი ყვავილი. რით არის გამოწვეული მცენარის ფერის ამდაგვარი ცვლილება?




სომატური მუტაციით
მოდულირებადი ცვალებადობით
კომბინაციური ცვალებადობით
ონტოგენეზური ცვალებადობით

4. ბარდაში თესლის შეფერილობა და ფორმა მემკვიდრული ნიშნებია. მოწოდებული ინფორმაციით დაადგინეთ, როგორი სახის გამეტები წარმოიქმნება F_1 -ის ჰიბრიდებში.




მხოლოდ AB
მხოლოდ AB და ab
მხოლოდ Ab და aB
AB, Ab, aB, ab

5. ბარდაში თესლის შეფერილობა და ფორმა მემკვიდრული ნიშნებია. მოწოდებული ინფორმაციით დაადგინეთ, როგორი გენოტიპის შთამომავლობა მიიღება F_1 -ში.



AABB, AaBB, aaBB, aabb
AaBb, Aabb, aaBb, aabb
AAbb, aaBB, Aabb, aabb
AaBB, aaBB, AAbb, Aabb

6. მოცემულია პომიდორში ნაყოფის შეფერილობისა (წითელი და ყვითელი) და ფორმის (სფეროსებრი და ოვალური) მემკვიდრეობა. მოწოდებული ინფორმაციით განსაზღვრეთ მშობლების გენოტიპები.



AABB x aaBb
AaBb x AaBb
AABB x aabb
AAbb x aaBB

7. ბადის მარწყვში ნაყოფის წითელი შეფერილობა არასრულად დომინანტობს თეთრზე, მათი შთამომავლობა ვარდისფერნაყოფიანია. განსაზღვრეთ ფენოტიპური დათიშვა F₁-თაობაში.



ყველა წითელნაყოფიანი
ყველა ვარდისფერნაყოფიანი
1 წითელნაყოფიანი : 1 ვარდისფერნაყოფიანი
3 წითელნაყოფიანი : 1 ვარდისფერნაყოფიანი

8. ადაპტაციის რომელი ფორმის მოქმედების შედეგად განუვითარდათ ფრინველებს ორის მაგივრად ერთი საკვერცხე, რაც სხეულს მსუბუქს ხდის და ფრენას აადვილებს?

სეზონური	ბ)მორფოლოგიური	დამცველობითი	ქცევითი
----------	----------------	--------------	---------

9. გოგრაში როგორი გენოტიპის მცენარეების შეჯვარებით მიიღება სურათზე მოცემული შედეგი?



AA x aa	Aa x Aa	Aa x aa	AA x AA
---------	---------	---------	---------

10. ჰემოფილია სქესთან შეჭიდული დაავადებაა. როგორი გენოტიპის შვილები ეყოლება სურათზე მოცემულ ცოლ-ქმარს?




X ^H X ^H და X ^h Y
X ^H X ^h და X ^h Y
X ^h X ^h და X ^H Y
X ^H X ^h და X ^H Y

11. მცენარე ჰორტენზიაში ყვავილის შეფერილობას ნიადაგის განსხვავებული მჟავიანობა განაპირობებს. ამდაგვარ ცვალებადობას ეწოდება:




მუტაციური
მოდულირებადი
კომბინაციური
ონტოგენეზური

12. სურათზე მოცემულია ფაგი, შიდსის გამომწვევი ვირუსი, ლეიკოციტი და ქალამანა. რომელს შეუძლია ამეზოიდური მოძრაობა?



1
2
3
4

13. მოწოდებულ სურათზე უჯრედული ციკლის ფაზები აღნიშნულია ციფრებით. რომელი ციფრით არის აღნიშნული ტელოფაზა?



1
3
4
5

14. რომელი ფაქტორის მოქმედებით არის გამოწვეული რადიოაქტიური ნარჩენებით ოკეანის დაბინძურება?

I – ბიოტური II – აბიოტური III – ანთროპოგენური

I	II	III	I და III
---	----	-----	----------

15. რამდენი წყვილი ნერვი გამოდის ზურგის ტვინიდან?

12	22	31	32
----	----	----	----

16. პირის ღრუში არსებული ცილებიდან რომელი იცავს მას მიკრობებისაგან?


I _ ლიზოციმი II _ პტალინი

არც ერთი	მხოლოდ I	მხოლოდ II	ორივე
----------	----------	-----------	-------

17. კვების როგორი ტიპი ახასიათებთ ორგანული ნივთიერებების დამშლელებს (რედუცენტებს)?


ფოტოტროფული	ქემოტროფული	საპროფიტული	პარაზიტული
-------------	-------------	-------------	------------

18. სურათზე მოცემულია ბალნის შეფერილობის მიხედვით განსხვავებული ძაღლების შეჯვარებით მიღებული შთამომავლობა. განსაზღვრეთ F_1 -ში მიღებული შთამომავლების გენოტიპები.




AA და aa	AA და Aa	Aa და aa	მხოლოდ Aa
----------	----------	----------	-----------

19. რომელი ციფრითაა აღნიშნული თავის ტვინის ის ნაწილი, რომელიც არეგულირებს წონასწორობას?



1	4	5	6
---	---	---	---


20. რომელი ციფრითაა სურათზე აღნიშნული კუჭქვეშა ჯირკვალი?



2	3	4	5
---	---	---	---

გეოგრაფია

- რომელ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციაში მიედინება მდ. ალაზანი?
 - ქართლში
 - კახეთში
 - რაჭაში
 - გურიაში
- რომელი ოკეანის აუზს მიეკუთვნება გვინეის ყურე?
 - წყნარი
 - ატლანტის
 - ინდოეთის
 - ჩრდილოეთი ყინულოვანი
- რომელი კუნძული მდებარეობს ინდოეთის ოკეანეში?
 - კუბა
 - მადაგასკარი
 - სიცილია
 - ისლანდია
- რა ეწოდება მოსახლეობის გადაადგილებას საცხოვრებლად დროებით ან მუდმივად ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორეში?
 - მოსახლეობის დინამიკა
 - მოსახლეობის აღწარმოება
 - მოსახლეობის მიგრაცია
 - მოსახლეობის დაბერება
- სქესობრივ-ასაკობრივი (დემოგრაფიული) პირამიდის მიხედვით, ჩამოთვლილი ასაკობრივი ჯგუფებიდან რომელია უფრო მრავალრიცხოვანი?
 - 10-14
 - 45-49
 - 65-69
 - 85-89



- საქართველოს მუნიციპალიტეტებიდან (ადმინისტრაციული რაიონებიდან) სად არის უფრო მეტად თოვლის ზვავის წარმოქმნის საშიშროება?
 - მესტიის
 - ზუგდიდის
 - თერჯოლის
 - ზესტაფონის
- რომელი უღელტეხილია აღნიშნული საქართველოს კონტურულ რუკაზე კითხვის ნიშნით?
 - ქლუხორის
 - რიკოტის
 - გუდამაყრის
 - მამისონის



- მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ბოლო ყველაზე დიდი ცვლილება მოხდა:
 - I მსოფლიო ომის შემდეგ
 - ცივი ომის დამთავრების შემდეგ
 - II მსოფლიო ომის შემდეგ
 - სპარსეთის ყურის კონფლიქტის შემდეგ
- რომელ რეგიონში შედის პორტუგალია?
 - ცენტრალური ევროპის
 - ჩრდილოეთი ევროპის
 - სამხრეთი ევროპის
 - სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის
- რომელი აღკვეთილი არ მდებარეობს კახეთის ტერიტორიაზე?
 - ილტოს
 - გარდაბნის
 - ჭაჭუნას
 - ივრის

11. ცხრილის მიხედვით, რომელ წელს მიაღწია ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ პიკს?

- ა. 1980
- ბ. 1987
- გ. 2000
- დ. 2005

წელი	ყველა სახის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა (მლნ. ტ/კმ)
1970	31.7
1975	47.4
1980	72.9
1985	74.5
1987	79.7
1996	74.1
2000	50.1
2005	67.7

12. რომელი მტკიცებულებაა მართებული?


- ა. საქართველოს ნაპირებთან შავი ზღვა მხოლოდ ქ. ფოთის მიდამოებში იყინება
- ბ. შავ ზღვაზე ქარს ზამთარში ციმბირული ციკლონი განაპირობებს
- გ. საქართველოს ნაპირებთან შავი ზღვა მთელი წლის განმავლობაში არ იყინება
- დ. შავი ზღვა ყველაზე ღრმაა ქ. ბათუმის სანაპირო ზოლში

13. საქართველოს რომელ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებს ესაზღვრება ჩეჩნეთის ავტონომიური რესპუბლიკა?

- ა. ფშავსა და ხევსურეთს
- ბ. ხევსურეთსა და თუშეთს
- გ. ხევსა და ფშავს
- დ. მთიულეთსა და თუშეთს

14. რომელი დიაგრამა ასახავს კლიმატს, რომელშიც მხოლოდ ნახევარი წლის განმავლობაშია ჰაერის ტემპერატურა დადებითი?

- ა. A
- ბ. B
- გ. C
- დ. D



15. რომელი ლათინური ასოთია აღნიშნული საქართველოს კონტურულ რუკაზე სუფსის ნავთობის საბადო?

- ა. A
- ბ. B
- გ. C
- დ. D



16. რომელი მდინარე მიეკუთვნება შავი ზღვის აუზს?

- ა. ქსანი
- ბ. მტკვარი
- გ. თერგი
- დ. სუფსა

17. რომელ ფოტოზეა ასახული მეწყერი?

- ა. ა
- ბ. ბ
- გ. გ
- დ. დ



18. რომელია ალადასტურის ჯიშის ყურძნის გავრცელების მთავარი არეალი?

- ა. კახეთი
- ბ. აფხაზეთი
- გ. ქართლი
- დ. გურია

19. რომელ ღონისძიებას არ მიმართავენ ღვარცოფის თავიდან ასაცილებლად?

- ა. კალაპოტში ჯებირების აგებას
- ბ. კალაპოტის ნაშალისგან გაწმენდას
- გ. ხეობის ფერდობებზე ტყის ჭრას
- დ. ხეობის ფერდობებზე ტერასების მოწყობას

20. რომელი სახელმწიფოა სამივე ორგანიზაციის - გაეროს, ევროპის კავშირისა და ნატოს - წევრი?

- ა. თურქეთი
- ბ. უკრაინა
- გ. ლატვია
- დ. რუსეთი

ქიმიის დავალებათა ნიმუშები

1. რომელი ქიმიური ელემენტია გამოსახული საბავშვო საღებავი რეზინის ეტიკეტზე?

- ა) კალიუმი
- ბ) კალციუმი
- გ) კადმიუმი
- დ) კალა



1. მარმარილოს ძირითადი შემადგენელი ნაწილია ნივთიერება, რომლის ფორმულაა: $CaCO_3$
ეს ნივთიერება მიეკუთვნება


- ა) ფუძე ოქსიდებს
- ბ) მჟავა ოქსიდებს
- გ) ფუძეებს
- დ) მარილებს

2. რომელია აზოტ(IV)-ის ოქსიდის ქიმიური ფორმულა?


- ა) NO
- ბ) NO₂
- გ) N₂O
- დ) N₂O₅

3. რამდენი ელექტრონი აქვს ფოსფორის ატომს გარე ელექტრონულ შრეზე?

- ა) 1
- ბ) 3
- გ) 5
- დ) 7






4. მოცემულია რეაქციის ტოლობა:



ტოლობაში გამოტოვებული ნაერთის ფორმულა იქნება

- ა) BaSO₃
- ბ) Ba₂SO₃
- გ) BaSO₄
- დ) Ba₂SO₄

5. A, B, C და D ელემენტებს უმადლეს ჟანგბადნაერთებში ერთნაირი ვალენტობა აქვთ. როგორია პერიოდულ სისტემაში ამ ელემენტების ურთიერთგანლაგება?



6. ჰეპტანის წვის რეაქციაა:



(რეაქცია არ არის გათანაბრებული).


გათანაბრების შემდეგ ჟანგბადის კოეფიციენტი იქნება

- ა) 4
- ბ) 8
- გ) 11
- დ) 22

7. ნაერთში MgO ჟანგბადის მასური წილია

- ა) 20%
- ბ) 40%
- გ) 50%
- დ) 60%

8. მოცემულია ჟანგვა-აღდგენის რეაქცია:




ამ რეაქციის დროს იჟანგება, ხოლო აღდგება.

- ა) ალუმინი / ქლორი
- ბ) ალუმინი / წყალბადი
- გ) ქლორი / ალუმინი
- დ) წყალბადი / ალუმინი

9. რომელ ფორმულებშია სწორად მითითებული გოგირდის ჟანგვის ხარისხი?

I – S+2O2 II – S+4O2 III – S+4O3 IV – S+6O3


- ა) I და III
- ბ) I და IV
- გ) II და III
- დ) II და IV



10. როგორი სახის ბმის წარმოქმნაა ნაჩვენები მოცემულ სქემაზე?

- ა) იონური ბმის
- ბ) წყალბადური ბმის
- გ) არაპოლარულ-კოვალენტური ბმის
- დ) პოლარულ-კოვალენტური ბმის

11. ჭარბ მარილმჟავაში მარმარილოს ნატეხი მთლიანად იხსნება და შეინიშნება აირის გამოყოფა. ვთქვათ, გვაქვს მარმარილოს 3 სხვადასხვა ზომის ნატეხი.



მოცემულია 3 შემთხვევა:

- I – მარილმჟავაში მოთავსებულია A ნატეხი
- II – მარილმჟავაში მოთავსებულია a1 ნატეხი
- III – მარილმჟავაში მოთავსებულია a1 და a2 ნატეხები.


რომელ შემთხვევაში იქნებოდა აირის გამოყოფის სიჩქარე უფრო მაღალი?

- ა) I შემთხვევაში
- ბ) II შემთხვევაში
- გ) III შემთხვევაში
- დ) სამივე შემთხვევაში ერთნაირი სიჩქარით გამოიყოფოდა

12. გრაფიკზე მოცემულია ქიმიური რეაქციის დროს A, B და C ნივთიერებების კონცენტრაციის დამოკიდებულება დროზე:

ამ გრაფიკიდან გამომდინარე, ქიმიური რეაქციის დროს:

- ა) A-დან მიიღება B, ხოლო C კატალიზატორია
- ბ) A-დან მიიღება C, ხოლო B კატალიზატორია
- გ) C-დან მიიღება A, ხოლო B კატალიზატორია
- დ) C-დან მიიღება B, ხოლო A კატალიზატორია



13. ელექტროსადენების აალებისას ხანძრის ჩასაქრობად იყენებენ სპეციალურ ცეცხლმაქრს, რომლის ბალონშიც დაჭირხნული აირია.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ეს აირი?

- ა) წყალბადი
- ბ) ჟანგბადი
- გ) ნახშირბად(II)-ის ოქსიდი
- დ) ნახშირბად(IV)-ის ოქსიდი



14. ნატრიუმის ნაჭერი წყალში ჩააგდეს. რეაქციის შემდეგ ხსნარში ჩააწვეთეს ინდიკატორი ლაკმუსი. ხსნარი გალურჯდა. ჩამოთვლილთაგან რომელი ნივთიერების წარმოქმნამ გამოიწვია ხსნარის ასეთი შეფერვა?

- ა) მჟავა ოქსიდის
- ბ) ტუტის
- გ) ფუძე მარილის
- დ) საშუალო მარილის

15. მოცემულია ქიმიური რეაქცია:




რამდენი მოლი მარილი მიიღება, თუ რეაქციაში შევა 1 მოლი NaOH?


- ა) 1/3 მოლი
- ბ) 2/3 მოლი
- გ) 1 მოლი
- დ) 3 მოლი

16. მოცემულია ორი ალკანი: რას წარმოადგენს ისინი ერთმანეთისთვის?

- ა) იზომერებს
- ბ) ჰომოლოგებს
- გ) იზოტოპებს
- დ) ალოტროპებს



17. ნახშირბადოვანი ჩონჩხის რომელი სქემატური გამოსახულება შეესაბამება აცეტილენის რიგის ნახშირწყალბადს?





18. მოცემულია ერთ-ერთი ნახშირწყალბადის ბურთულოვანი მოდელი: რომელი ზოგადი ფორმულის მქონე ნახშირწყალბადებს მიეკუთვნება ეს ნაერთი?

- ა) $\text{C}_n\text{H}_{2n+2}$
- ბ) $\text{C}_n\text{H}_{2n-2}$
- ბ) C_nH_{2n}
- დ) $\text{C}_n\text{H}_{2n-6}$






19. ჩამოთვლილთაგან რომელია არომატული ამინი?

- ა) NH_3
- ბ) $\text{C}_2\text{H}_5\text{NH}_2$



20. ჩამოთვლილთაგან რომელია ალდეჰიდი?




ფიზიკა

1. რომელი ერთეული შეესაბამება მ/წმ-ს?

- ა) ჰც.მ ბ) მ/ჰც გ) ჰც.წმ დ) წმ/ჰც


2. მოცემულია წრფივად მოძრავი სხეულის სიჩქარის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი. $t=0$ მომენტიდან რა დროში გაივლის სხეული 40 მ-ს?

- ა) 2 წმ ბ) 2,5 წმ
გ) 3 წმ დ) 4 წმ



3. ნახაზ a-ზე გამოსახულია გარკვეულ მომენტში სხეულის სიჩქარისა და აჩქარების ვექტორები. ნახაზ b-ზე გამოსახული ოთხი ისრიდან, რომელი გვიჩვენებს ამ მომენტში სხეულზე მოქმედი ძალების ტოლქმედის მიმართულებას?

- ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4




4. ჰორიზონტალურ რელსებზე უხახუნოდ მიგორავს ურიკა. მას ადგილიდან შეახტა ბიჭი ურიკის მოძრაობის მიმართულების მართობულად. ურიკის სიჩქარე გაიზარდება, უცვლელი დარჩება თუ შემცირდება ამის შედეგად?


- ა) შემცირდება ბ) უცვლელი დარჩება გ) გაიზარდება
დ) პასუხი დამოკიდებულია ურიკისა და ბიჭის მასების ფარდობაზე

5. ორი მოთხილამურე, S და T, ჯოხების დაუხმარებლად ჩამოსრილდა გორაკის A წვეროდან მოყინულ გზაზე და სხვადასხვა გზით მიაღწიეს B სათხილამურო ბაზას. T მოთხილამურე მოძრაობისას უფრო დაბლა დაეშვა, ვიდრე S მოთხილამურე. (იხ. ნახ.). სათხილამურო ბაზასთან რომელი მოთხილამურის სიჩქარეა მეტი? ხახუნის უგულვებელყავით.

- ა) აქვთ ტოლი სიჩქარეები
ბ) მეტია T-ს სიჩქარე
გ) მეტია S-ის სიჩქარე
დ) პასუხი დამოკიდებულია მოთხილამურეთა მასებზე




6. ნახაზზე გამოსახული 1 კგ მასის ერთგვაროვანი ბერკეტი წონასწორობაშია. მარცხენა სხეულის მასაა 2 კგ. რისი ტოლია მოდებული F ძალა?



- ა) 0,5 ნ ბ) 1 ნ გ) 5 ნ დ) 10 ნ


7. კუბი ჩაძირულია სითხეში. სითხის წონით გამოწვეული წნევა კუბის ზედა წახნაგზეა P. ქვედაზე კი 1,2 P. სითხის ზედაპირიდან რა სიღრმეზეა ჩაძირული კუბის ზედა წახნაგი, თუ კუბის წიბოს სიგრძეა L?

- ა) 3L ბ) 5L გ) 6L დ) 8L



8. ერთნაირი ზომების ორი ძელაკი ტივტივებს ერთი და იგივე სითხეში ისე, როგორც ნაჩვენებია ნახაზზე. h ძელაკების სიმაღლეა. განსაზღვრეთ ძელაკების ნივთიერებათა სიმკვრივების ρ_1/ρ_2 შეფარდება.


- ა) 1/2 ბ) 2/3 გ) 3/2 დ) 2



9. სხეულის რხევის ამპლიტუდაა 0,2 მ. რისი ტოლია სხეულის გადაადგილება რხევის პერიოდის განმავლობაში?


- ა) 0 ბ) 0,2 გ) 0,4 დ) 0,8

10. გრძელი თოვის გასწვრივ ვრცელდება განივი ტალღა. ABCDEFG მრუდი წარმოადგენს თოვის ფორმას დროის ერთ-ერთ მომენტში. ტალღის სიგრძეს შეესაბამება შემდეგი სიგრძე




- ა) AC მონაკვეთის სიგრძე ბ) BF მონაკვეთის სიგრძე გ) ABC რკალის სიგრძე
დ) ABCDE რკალის სიგრძე

11. რომელ ნახატზეა სწორად წარმოდგენილი ელექტრომეტრთან დამუხტული ღეროს მიახლოების (და არა შეხების) შედეგი?



- ა) 1 ბ) 2
- გ) 3 დ) 4


12. ქვემოთმოყვანილიდან რომელი აღნიშვნა შეესაბამება რეოსტატს?



- ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4


13. რომელი ნათურა (ნათურები) აინთება K_2 ჩამრთველის ჩართვისას (იხ. ნახ.)?

- ა) არც ერთი არ აინთება ბ) მხოლოდ I ნათურა
- გ) მხოლოდ II ნათურა დ) ორივე ნათურა




14. რისი ტოლია R წინაღობა ნახატზე გამოსახულ წრედში?

- ა) 1 ომი ბ) 2 ომი
- გ) 4 ომი დ) 6 ომი




15. რომელ ნახატზე გამოსახული სქემა გამოგვადგება გამტარის R წინაღობის გასაზომად?



- ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4

16. არაგამტარსადგამებზე მოთავსებულია A და B ლითონის დაუმუხტავი ბურთულები ეხებიან ერთმანეთს (ნახ. (a)). A ბურთულას მიუახლოვებს შეხების გარეშე უარყოფითად დამუხტული ღერო (ნახ. (b)). შემდეგ, ღეროს გაუნძრევლად, B ბურთულა დააშორეს A ბურთულას, რის შემდეგაც ბურთულებს მოაშორეს დამუხტული ღერო (ნახ. c). როგორი მუხტები იქნება ბურთულებზე ამის შემდეგ?




- ა) ორივეზე დადებითი ნიშნის ბ) ორივეზე უარყოფითი ნიშნის
- გ) A-ზე დადებითი, B-ზე უარყოფითი დ) A-ზე უარყოფითი, B-ზე დადებითი

17. რა გზით გადაეცემა მზიდან დედამიწას სითბო?


- ა) კონვექციით ბ) მხოლოდ თბოგამტარობით
- გ) მხოლოდ გამოსხივებით დ) გამოსხივებით და თბოგამტარობით

18. დიაგრამაზე გამოსახულია ოთხი სხეულის C სითბოტევადობა და m მასა. რომელ სხეულს აქვთ ტოლი კუთრი სითბოტევადობა?

- ა) 1-სა და 3-ს ბ) 2-სა და 4-ს
- გ) 1-სა და 2-ს, აგრეთვე 3-სა და 4-ს
- დ) 1-სა და 4-ს, აგრეთვე 2-სა და 3-ს



19. რომელი იქნება ნახაზზე ნაჩვენები ისრების გამოსახულება სარკეში?



- ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4

20. დაალაგეთ ყვითელი, წითელი და იისფერი სინათლე მინაში მათი სიჩქარის ზრდის მიხედვით უმცირესიდან - უდიდესისაკენ.

- ა) სამივეს სიჩქარე ერთნაირია ბ) წითელი, ყვითელი, იისფერი
- გ) იისფერი, წითელი, ყვითელი დ) იისფერი, ყვითელი, წითელი

სწორი პასუხები:

ბიოლოგია:

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
ა			X																	
ბ	X	X			X			X			X					X				
გ						X	X		X			X		X	X		X	X		X
დ				X						X			X						X	

გეოგრაფია:

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
ა						X									X					
ბ	X	X	X				X	X		X	X		X				X			
გ				X	X				X			X		X					X	X
დ																X		X		

ქიმია:

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
ა															X	X		X		
ბ	X		X			X		X	X		X	X		X						
გ				X	X		X													X
დ		X								X			X				X		X	

ფიზიკა:

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
ა	X			X	X				X			X								
ბ			X				X			X				X				X		
გ								X			X					X	X		X	
დ		X				X							X		X					X